# საერთო გაზეთი

№39 (678)
ოთხშაბათი
30 ნოემბერი, 2022წ.
ფასი 1.50 ლ.



# უმადური ერი

**სტალინი:** მე ყოველთვის მეგონა, რომ „დემოკრატია“ ხალხის ძალაუფლებაა, მაგრამ მეგობარმა რუზველტმა ამიხსნა, რომ „დემოკრატია“ – ეს ამერიკელი ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს.



## გოგა ხაინდრავა:
## პირველად გვყავს ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხზე და ქვეყანაზე ფიქრობს

საქართველო არავის თითის გაქნევაზე აღარ ივლის, ჩვენი ქვეყანა ფოტიგების და კუბილიუსების არასდროს იქნება, ეს დრო წარსულს ჩაბარდა!



## ედიშერ გვენეტაძე:
## ამერიკა და რუსეთი მალე ჩინეთს დარჩება?!

ღმერთმა ქნას, ამ პროცესმა რუსეთის ოკუპაციის შერბილება გამოიწვიოს და საქართველომ დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნოს, მაგრამ მეორე მხრივ, ერთი რამ ყველაზე მეტად მაწუხებს – რუსეთის მარცხის შემთხვევაში დღევანდელი გადაგვარებული ლიბერასტიზმი მთელ მსოფლიოს წალეკავს!



## პეტრე მამრაძე:
## ვანოს შურისძიება: სააკაშვილი – ციხეში, ხაბეიშვილი – „ნაცმოს“ თავმჯდომარედ!

ვანო მერაბიშვილი სააკაშვილს არწმუნებდა საქართველოში დაბრუნებულიყოო. დიახ, ასე იძია შური ვანო მერაბიშვილმა სააკაშვილზე, რომლის უკანონო ბრძანებების შესრულების შედეგად, იგი შვიდი წელი ციხეში იჯდა.

## ის, რაც ხაშურში, ცხრამუხის მონასტერში მოხდა, ეკლესიის ისტორიის ყველაზე მძიმე მოგონებებს აცოცხლებს



გარდა ეროვნული ტრაგედიისა, რთულია რაიმე სახელი შეურჩიოთ ამ გაუგონარ ფაქტს, რომლის მსგავსი მხოლოდ ქვეყნის სრულად განადგურების მოსურნე მტრის შემოსევების დროს თუ მომხდარა საქართველოში და ისიც ყოველთვის არა.

როგორ მივედით აქამდე?!

– ყოველგვარ ქმედებას წინ აუცილებლად უძღვის მოტივაცია, საკრალურის შეურაცხყოფას კი - დამახინჯებული იდეოლოგია, რომელიც დესაკრალიზაციის გზით ხსნის ყველა ბარიერს და პროფანაციას ეწევა იმისა, რაც მასაზრდოებელი უნდა იყოს ადამიანთა სულიერი ცხოვრებისა.

გამალებული და ორგანიზებული ანტიეკლესიური კამპანია მასმედიის ზოგიერთ საშუალების („მთავარი არხი“, „ტვ პირველი“, „ფორმულა“), „თეოლოგის“ თუ „ექსპერტის“ მხრიდან, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნა, მისი ეკონომიური აღმასვლა და პოლიტიკური გამარჯვებები მართლმადიდებლური ეკლესიის სრული რეორგანიზაციით ან, საერთოდ, დაშლით უნდა მოხდეს, მოსახლეობის ნაწილზე მძიმე გავლენას ახდენს.

ადრეც განვაცხადეთ, რომ 2021 წელს მარტვილის რეზიდენციაში შეჭრა შესაძლოა, „რეპეტიციად“ ქცეულიყო შემდგომი მოვლენებისა. გავიხსენოთ მედიის ცილისმწამებლური კამპანია ბოდბის დედათა მონასტრის დედებისადმი, როდესაც მათ არც მეტი, არც ნაკლები, მოსახლეობის მკვლელობის ორგანიზებაში დასდო ბრალი „მთავარმა არხმა“ (ბოდიში არავის მოუხდია დღემდე). რა ხდება ამ ყველაფრის შემყურე ავაზაკის გონებაში, რომელსაც ხალხის არ რცხვენია? თუ ხედავს, რომ დასაშვებია ეკლესიის გამუდმებული დადანაშაულება ოკუპანტი ქვეყნის პოლიტიკის გატარებაში, თუ ხედავს, რომ დასაშვებია, სვეტიცხოვლის ეზოში სვეტიცხოვლობა დღეს სასულიერო პირებს „ბანდიტები“ უწოდოს („ტვ პირველი") ჟურნალისტმა, თუ დასაშვებია მსახურებების ჩაშლა („მთავარი არხის" ჟურნალისტის მიერ მარტვილის ტაძარში) და პატრიარქის ქვეყნის მტრად გამოცხადება, რაღა რჩება იქიდან, რისი დაშვებაც შესაძლებელია იმ ავაზაკი ადამიანის გონებაში, რომელსაც ღმერთის არ ეშინია?! - ის, რაც მოხდა დღეს ხაშურის დედათა მონასტერში.

საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის დაკნინების მცდელობებს უკავშირდება ოჯახური ტრადიციების ნგრევაც, რაც ოჯახური კონფლიქტების სიხშირით ვლინდება. ერთი-ერთი ასეთი შემთხვევა გუშინ მომხდარი ოჯახური ტრაგედიაცაა, ქალზე ძალადობის საშინელი ფაქტით.

საზოგადოების კრიზისი და ტრაგედია - სწორედ ასეთი შეიძლება იყოს აღქმა მონასტერში ასაკოვან მონაზონზე განხორციელებული ძალადობისა არა მომხდური მტრის, არამედ საკუთარი თანამოქალაქის მხრიდან. საჭიროა, ეს ტრაგედიები თითოეულმა ჩვენგანმა, როგორც საკუთარი ოჯახის ტრაგედია, ისე მივიღოთ, თითქოს ჩვენს სახლში, ჩვენს ოჯახის წევრს მიაყენეს ენით გამოუთქმელი ტკივილი და გავიაზროთ ერთი რამ: თუ საზოგადოებაში ვთესავთ ღვარძლს, მისი ნაყოფი აუცილებლად ჩვენამდეც მოაღწევს და, სამწუხაროდ, ყველაზე მძიმე შედეგებით.

P.S. ჩვენ თვალწინ მზადდება ის სურათი, რაც ხდებოდა ეკლესიის დევნის უმკაცრეს ეტაპებზე. დიოკლეტიანეს დევნაც მოტივირებული იყო სწორედ იმ მოსაზრებით, რომ ქრისტიანები იყვნენ მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი რომის იმპერიის ეკონომიური თუ პოლიტიკური გამარჯვებებისა.

ანდრია ჯალმაიძე

**„საერთო გაზეთი" – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# უმადური ერი

## როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც კი ვერ გაამარჯვებინებს!



ჩემი ახლობელი და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პოეტი არცთუ დიდი ხნის წინ შემომჩიოდა: ოცი წელია, ერთსა და იმავე კითხვაზე ვითხოვ პასუხს, მაგრამ დღემდე არავინ მიპასუხა — რატომ უთმობენ ჭკვიანები სამშობლოს სულელებსო?

რა უნდა მეპასუხა, — ალბათ, იმიტომ, რომ ჭკვიანებიც და სულელებიც, ორივე ბრჭყალებში უნდა მოიაზრებოდეს-მეთქი. ჩაფიქრდა და თავი უიმედოდ გააქნია, ერთი სურათი არ მშორდება მეხსიერებიდან, რა მოვუხერხო, არ ვიციო და მიამბო:

„1988 წელი იყო. ერთ-ერთ მიტინგზე ერთი ძალიან კარგი მწერალი, შესანიშნავი პუბლიცისტი, მიკროფონთან არ მიუშვეს. ვიღაც წვერგაუპარსავმა ხეპრემ, ალბათ, მიტინგის ერთ-ერთმა თავკაცმა, ხელი თვალშისაცემად უხეშად ჰკრა და განზე მიაგდო. არასოდეს დამავიწყდება იმ მწერლის შეცბუნებული სახე და გაოცებული თვალები...

მიტინგის მონაწილეებს ხეპრე არ დაუტუქსავთ, არავინ უთხრა: რას აკეთებ, ვიგინდარავ, ასაკოვან ადამიანს როგორ ექცევიო. არადა, მომიტინგეები საქართველოს გადასარჩენად, საქართველოს თავისუფლებისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დიადი იდეის სახელით იყვნენ იმ მოედანზე შეკრებილნი და ომახიანად აქუხებდნენ: „გა-უ-მარ-ჯოს!“

ამ სცენის შემყურეს მაშინ პირველად გამკრა ეჭვმა, რომ ვერ გავიმარჯვებდით, რომ დამარცხებისთვის ვიყავით განწირულები — ეს ხეპრე და მას მიმატებული კიდევ სხვა მრავალი ხეპრე, დროის ცვლილებათა წყალობით ფსკერიდან ზედაპირზე ამოტივტივებული, დიდ განსაცდელს, დიდ ფათერაკს გადაგვყრიდნენ აუცილებლად.

სულ მცირე ხანში ასეც მოხდა...

აი, მაშინ რომ ჩაბღუჯეს ხეპრეებმა მიკროფონი, მას შემდეგ ხელიდან არ გაუშვიათ.

მოედნებიდან მათ ახლა ტელეეკრანებზე გადმოინაცვლეს და იქიდან გვმოძღვრავენ.

თითქოს ვიღაც უჩინარი სელექციონერი სპეციალურად კრებს შლეგებისა და სულელების გუნდს, მერე ამ გუნდს ორად ჰყოფს — ერთს ხელისუფლებას არქმევს, მეორეს — ოპოზიციას და ერთმანეთს მიუსევს საშაიროდ და საძიძგილაოდ.

არადა, ეს ერთი გუნდია, ერთი „მწვრთნელის“ ერთი გუნდი, ძირითად და სათადარიგო შემადგენლობად გაყოფილი.

რა თქმა უნდა, „სათადარიგოები“ არაფრით სჯობიან „ძირითადებს“ ან პირიქით, მაგრამ „გულშემატკივართა“ შორის მაინც დიდი დავა და კამათია.

ამ დროს საერთოდ არ ჩანს გუნდი, რომელსაც საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი ჰქვია...

არადა, ეს გუნდი არსებობს — საქართველოს ჰყავს ჭკვიანი, ნიჭიერი, განათლებული, გონიერი ადამიანების საკმაოდ მრავალრიცხოვანი გუნდი; თავის ქვეყანაზე შეყვარებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე გუნდი, რომელიც „ლიცენზიის მიმნიჭებელი საიდუმლო კომისიის“ მიერ სამუდამოდ არის „დაშტრაფული“, — დაასრულა გულიდან ამოვარდნილი სინანულშეზავებული უსასოობა პოეტმა და კვლავ უიმედოდ გააქნია თავი. ის კაცი ცხონებული ვახტანგ ხარჩილავა იყო...

ამ დღევანდელობის შემხედვარეს, ახლა მე ამიტყდა უიმედოდ თავისქნევა — დამზაფრა უახლოესი წარსულისა და აწმყოს საოცარმა მსგავსებამ...

ვიღაც იტყვის, პატარა ქვეყნის უკუღმართ შვილებს უკუღმართი კომპლექსი უჩნდებათ ისტორიული ძნელბედობის გამო და, როგორც ჩანს, ქართველებსაც ეს გაგვიჯდა სისხლში, რაც დღემდე ბოგინობს ჩვენს ხასიათშიო — მართალიც იქნება!

„ხან თურქთან, ხან სპარსთან, ხან მონღოლთან, ბოლოს კი რუსთან ძმობითა და მეგობრობით აშინებდა ერთი ქართველი მეორეს და, ხშირ შემთხვევაში, მთლიანად საქართველოს.

თავიანთი „კარგიბიჭობის“ დამადასტურებელი საბუთები, როგორც წესი, გარედან მოჰქონდათ და მას ხან შაჰის ბეჭედი ერტყა და ხან რუსის იმპერატორისა. რის ფასად და რისთვის იძლეოდნენ ასეთ „საბუთებს“ უცხო ქვეყნის „კანცელარიებში“, ამას, ჩვენი აზრით, ახსნა და განმარტება არ სჭირდება, ვიტყვით მხოლოდ ერთს: ძალაუფლების სიყვარულმა და ზედმეტმა ამბიციებმა, შეიძლება, კაცი საკუთარ სამშობლოს მტრად მოჰკიდოს. სამწუხაროდ, ამისი ბევრი მაგალითი ახსოვს ჩვენს ისტორიას...

ქართველებს ადრე თუ მოსკოვიდან ჩამოჰქონდათ ერთი ყუთი კონიაკის ფასად გაიმასქნებული კაიბიჭობის დამადასტურებელი „მოწმობები“, ახლა სიტუაცია შეიცვალა და იმავე სახის „მოწმობებს“ ვაშინგტონიდან ეზიდებიან მარიფათიანი ქართველები და საქართველოს ცხვირწინ უფრიალებენ. ხშირ შემთხვევაში ეს „მოწმობები“ ისეთივე ბლეფია, როგორც სააკაშვილის სამი დიპლომი, „დემოკრატიის შუქურობა“ და მისი 36 სახის დაავადება. სამწუხაროდ, ამ ბეჭედს, ერთ დიდ პროვინციად ქცეული ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გამოქვათაყურებულ ნაწილში ჯერ კიდევ აქვს გასავალი.

ტრაგიზმი შექმნილი სიტუაციისა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ეს „მოწმობები“ ყალბია, დასავლური ორიენტაციის პოლიტიკურ ძალად მონათლული „ერთიანი ნაციონალური ნოძრაობის“ ყველა განშტოება თავიდან ბოლომდე რუსული წარმოშობისაა და, შესაბამისად, ორი ბატონის მსახურია,“ — წუხდა ჩვენი ვახტანგი.



ტყუილი ყოფილა, ერთდროულად ორ სკამზე ვერ დაჯდებიო; ორი ბატონის მსახური ვერ იქნებიო — თურმე იქნები და ძალიან კარგადაც!

ორი ბატონის მსახურებს ორივე ბატონისგან ერგოთ ძღვენი და თუ მათ მსახურებას განაგრძობენ, ყველა შემთხვევაში ისევ მიიღებენ, მაგრამ ხალხს, რომელიც მთლიან საქართველოს წარმოადგენს, აუწონელი ძღვენი მხოლოდ ერთმა ადამიანმა მიართვა — გაათავისუფლა 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმისგან და დღემდე არიდებს სისხლისღვრას.

იმ კანკალის წლებში, როდესაც ადამიანები ჩურჩულით ლაპარაკობდნენ და ისიც ყოველმხრივ დაშლილი მობილურების სხვა ოთახში გატანის შემდეგ, საქართველოს დანგრეულ ხილვად რეალობაში უცნაური ძვრები დაიწყო, უსახსრო ქვეყანაში ვიღაც უხილავი აღმშენებელი საუკუნის პროექტად წოდებული სამების ტაძრის საძირკვლის გაჭრას დაეშურა; ვიღაც უხილავი ლიბოწყალშემდგარ რუსთაველის სახელობის თეატრს მოევლინა მფარველ ანგელოზად; ვიღაც უხილავი ყოველგვარ ეროვნულზე ირჯებოდა, მაგრამ მისი სახელი იყო — „არ სურს ვინაობის გამჟღავნება“...

ვიღაც უხილავი, უხილავად, ვინაობის გამჟღავნების გარეშე აკეთებდა სიკეთეს და სანაცვლოდ არათუ რამეს ითხოვდა, პირისახესაც არავის უჩვენებდა, მათ კი, ვინც მისი ვინაობა იცოდა, საიდუმლოს შენახვას სთხოვდა...

მუდმივად დაფარული არაფერია ამ ქვეყნად და გამჟღავნდა, ეს „უხილავი“, საფრანგეთში მცხოვრები, წარმოშობით ქართველი მილიონერი, ჭორვილელი, ვინმე ბიძინა ივანიშვილი ყოფილაო.

მერედა, რას იმალებაო? — არ უყვარს თავის გამოჩენაო, — ამგვარი საუბარი ისმოდა ხალხში; მერე, — არა, კაცო, მილიონერი კი არა, მილიარდერიაო.; მერე, — „არიოლ-რეშკას“ აგდებდნენ, ეს კაცი ივანიშვილია თუ ივანაშვილიო? მერე, — 7 ნოემბერს მაგის ფულით ნაყიდი „დუბინკები“ დაგვცხეს ხალხს, ვის რად უნდა მაგისი აშენებული სამებაო; მერე, — საქართველოს მტარვალ ხელისუფლებას, თავის პატრულ-პოლიციიანად ეგ აფინანსებსო; მთაწმინდაზე რაღაც სიმახინჯეს სასახლედ იშენებსო; მერე, — საქართველოს მხოლოდ მისნაირი

> „მე ყოველთვის მეგონა, რომ „დემოკრატია“ ხალხის ძალაუფლებაა, მაგრამ მეგობარმა რუზველტმა ამიხსნა, რომ „დემოკრატია“ – ეს ამერიკელი ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს“.
>
> სტალინი

კაცი სჭირდება ქვეყნის წინამძღოლადო; ამ დროს მტარვალი ხელისუფლება გასუსული იყო, კრინტს არ სძრავდნენ „მიშავიზიები“ — „ნატვრისთვალი“ მათი იყო...

ერთ მშვენიერ დღეს ამ კაცმა ფარდა გადაწია და გამოაცხადა: „მე მოვედი!“

უიო, ერთხმად იხუვლა ყველამ, აქეთ — გველეშაპის ტყვეებმა, იქით — თვით გველეშაპმა, ხალხმა — იმედით, საქართველოს ხელისუფლებამ — შიშით.

ხელისუფლების „ბიძინა-ნატვრისთვალი“ იმავე ხელისუფლებისთვის უეცრად რუსეთის პროექტად და „ბორისად“ გადაიქცა, ცოტაც და, ლამის 9 აპრილის სისხლიანი დილის ერთ-ერთ ირიბ მონაწილედაც კი; ეს კი არა და, მისი „მტრული წარმოშობის“ დასადასტურებლად გვარი „ივანიშვილის“ ფუძის ძიებაში იქამდეც მივიდნენ, რომ დასკვნა გამოაცხვეს: თუ ფუძე „ივანა“ იქნებოდა, ქართველი ყოფილა მისი უხსოვარი წინაპარი, ხოლო თუ „ივანი“ — რუსი (ისე, რა სასაცილოა, როცა თბილად მოკალათებული გვარგადაკეთებული ან დედის გვარით ქართველებად აღრიცხული სომხები, ქურთი თუ აისორი, სხვის ეროვნებას რომ არკვევენ); შემდეგ მეცენატი კაცი „ფულის ტომარა“ გახდა — ზის თავის „მწვანე შუშის სახლში“ და იქიდან იმზირებაო... იმასაც ამბობდნენ, ეტყობა, იმ მწვანე სახლის შუშის მწარმოებელმა ფირმამ უხარისხო მასალა შეატყუა, რაგინდ გაუწმინდონ, მრუდედ აჩვენებს გარე სამყაროსო;

ბევრ სხვა რამესაც ამბობდნენ...

ასეა თუ ისე, დასკვნა ერთია — პოლიტიკა სხვა რამეა!

რაც უნდა უწოდონ ამა თუ იმ ადამიანს, „ფულის ტომარა“ იქნება, „ოქროს თევზი“ თუ „ნატვრისთვალი“, შეცდომის უფლება არ აქვს, სწორ გზაზე უნდა იაროს, გარს მღილი არ უნდა შემოიხვიოს...

წაგვიყვანა ამ კაცმა შემოვლითი გზებით და დღემდე გვარიდებს ყველა იმ უბედურებას, რაც 9 თვის უკანვე უნდა დაგვამრთნოდა და საკუთარი საფლავის „რეშოტკები“ ერთი პირი უკვე შეღებილი უნდა გვქონდეს — რა უმადური ერი გამოვდექით ასეთი სასწაული?

როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც კი ვერ გაამარჯვებინებს მას! — თქვა კონსტანტინე გამსახურდიამ და იცოდა, რასაც ამბობდა...

არა, მაინც რას გადაგვეკიდა ასე უშნოდ ეს მწარედ გამქარვებელი, მოჩვენებებთან მოსაუბრე ბაიდენის ხელისუფლება, რა გველი შევუწვით ამ „ომისმოყვარე“ პარტიას, რატომ უნდა ჩვენი გაქრობა, რა ბევრნი ჩვენა ვართ, რომ დედამიწას ვამძიმებდეთ?

იან კელიდან დაწყებული, ყველაზე აგრესორი მსოფლიოში ე.წ. კოლექტიური დასავლეთი, პირდაპირ არის გადმოსული შეტევაზე და გვიმტკიცებენ, რომ ქართველებზე დიდი ქართველები არიან და უნდა გაგვათავისუფლონ ბიძინა ივანიშვილისგან, რადგან თურმე ეს მათი მოვალეობაა.

ვლადიმირ ვისოცკიმ იმ შავბნელ დროში, როდესაც ინტერვიუს აძლევდა უცხოელ ჟურნალისტებს, საბჭოთა კავშირზე შეკითხვას მოკლედ და გასაგებად უპასუხა: მე მაქვს პრეტენზიები ჩემს ქვეყანასთან, მაგრამ მათ ჩამოთვლას და განხილვას თქვენთან არ ვაპირებო. ასეა დღეს ჩვენი საქმეც, სამშობლოს მოყვარული საქართველოს მოქალაქეებისა — ვიღაც ვიგინდარებთან მათ განხილვას არ ვაპირებთ! ვისაც ეს ასე არ ესმის და სამშობლოს გამყიდველი უკანალმოშიშვლებული ჭორიკანა კაცია (ქალია), დავით აღმაშენებლის ყველაზე დიდ სარზემც უნებივრია...

ნერვები აღარ არის!

30 წელი თუ ვირყევით გამუდმებით და საჭმელად ვარგისი ნაყოფი ვერ გამოგვისხამს, სწორედ ამ უცხო ქვეყნების ტვინგენმოდიფიცირებული თესლების ბრალია...

ვის დაჰკარგვია ვიღაც ფოტიგა, ფეხარეული უსაქმური, რომ შემოგვითვალა: თქვენს თავს აღარ ეკუთვნით ქართველები, „კოლექტიურ დასავლეთს“ გვეკუთვნით და ვინც ასე არ ფიქრობთ, გამოგააშკარავებთ: მე, იან კელი, კრამერი, გონჩარენკო, გორგაძე და მამულაშვილიო. კელი დეგნანი დაავიწყდა და ჯონ მაკკეინის სული კიდევ!... ნეტავ, საკუთარი ნაკრები დაანახათ ჭეშმარიტი ქართველის თვალით... არული კუდიანებს!

„ტვიტერი“, ფოტიგა: „ საქართველო ეკუთვნის კოლექტიურ დასავლეთს. ქსელი, რომელიც ცდილობს, ქვეყანა რუსული სამყაროს გავლენის ქვეშ შეინარჩუნოს, უნდა გამოაშკარავდეს და ჩვენ სწორად უნდა მივუდგეთ ამ პრობლემას და დავრწმუნდეთ, რომ საქართველოს მომავალი ტრანსატლანტიკურ ოჯახშია.“

ეს ის კრამერი ხომ არ არის, 2019 წელს კობახიძე-თალაკვაძემ დიდი პატივით რომ მიიღეს? — იმას ჰგავს...

ასეა, ბიძიებო! სანამ თავაზიანი, მაგრამ კატეგორიული „არას“ თქმას არ ისწავლით, ფეხზე დასმული ღორის ტილი თავზე აგაცოცდებათ!.. — ეს ერთი. მეორე — როგორც ეს პოლიტიკურად ამძუვნებული ე.წ. „კოლექტიური დასავლეთი“ 30 წელია საქართველოსთან მიმართებაში იქცევა, ასეთი არ დაგვამრთნია. თუ დღეს ოკუპირებული ტერიტორიები გვაქვს, ისიც ამათი „თავისფლებისა და ზედემოკრატიული“ შეკიჟინებით გვჭირს და „სტრატეგიული პარტნიორობით“.

რა „სიკეთეები“ გაგვიკეთეს ამ 30 წლის განმავლობაში?

რაღაც 6 მლრდ რომ ახსენა ორპირა დეგნანმა — ვისაც შეატენა აშშ-მ ის 6 მლრდ, იმას დააყვედროს — თავიანთ ხელისბიჭებსა და გოგოებს; დანარჩენი? სრულად მოგვიშალეს: განათლების სისტემა, მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკა, ჯანდაცვის სისტემა, სოფლის მეურნეობა და ა.შ. აბსოლუტურად ყველაფერი, რაც ქვეყნის განვითარების უპირველესი საფუძვლებია და ჩაროზად დაამატეს სულიერების გამოფიტვა; სექსუალური ალვირახსნილობისა და ძალადობის წახალისება, რაც „რაღაც უფლებების დაცვად“ შეფუთეს და აბსოლუტურად ყველაფერი, რაც ყველანაირად ეწინააღმდეგება ყველაფერ ქართულს — თვით ჩვენი ენა და ეროვნება უქციეს მათივე მეცადინეობით ტვინგანამჯაბულ ქართველებსვე სამარცხვინოდ...

ელჩად წოდებული უსირცხვილო ქალი — 3 საათი იჯდა ბიძინა ივანიშვილთან საქართველოს დაქცევაზე შესათანხმებლად, მაგრამ ვერ გატეხა, ვერ ათქმევინა „ჰოობა“. კელი-მეფისნაცვალი ირწმუნებოდა, ხმა არ გამიცია, არათუ მენახაო. ეს ცრუ! ცრუ! ცრუ და ფლიდი!

დევიდ კრამერი — კაცი მაწაკი, გამომდგარა და, ჩვენ სანქციების დაწესებას ბიძინა ივანიშვილისთვის ვითხოვთ, ქართველი ხალხისა და საქართველოს საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო. ქალი რომ მაწაკობს, კიდევ აიტან, მაგრამ კაცი და მაწაკი? ეს ის კრამერი ხომ არ არის, ირმა ინაშვილზე ხელით რომ გაიწია? — იმას ჰგავს!

ამ უგვანო კაცმა განა არ იცის, მაგრამ მაინც ვინმემ ყურში ჩაჰყვირეთ, რომ უპირველესად საკუთარი და ნამდვილი ოლიგარქები დაასანქციონ გაზებპარია ჯოს კორუმპირებული ოჯახიდან დაწყებული, ნებისმიერით დამთავრებული და შემდეგ — რა ქველმოქმედებაც ბიძინა ივანიშვილს აქვს გაწეული და კვლავ ეწევა საქართველოში, მსგავსი არავის გაუკეთებია და მისი სანქცირებით საქართველოსა და ქართველების გარდა, სხვა ვინ დაზარალდება?

რასაც დღეს ვხედავთ, ეს არის პირდაპირი თავდასხმა საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩეულ საქართველოს ხელისუფლებაზე და თავდამსხმელი რანაირად შეიძლება ჩაითვალოს ამ ქვეყნისა და ამ ხალხის მეგობრად, ვერაფრით მივმხვდარვართ. რაო, „ევროპული მომავალი“ მძევლად აიყვანეს და სავაჭრო საგნად აქციეს ამ „კოლექტიურმა ჩარჩებმა?“




მაინც, რა ოცნებებს არ უსრულებს ბიძინა ივანიშვილი ამ მუქთახორა „კოლექტიურ დასავლეთს“, გარდა იმისა, რომ „ნაცმოძრაობას“ არ აძლევს გასაქანს და რუსეთთან ომს არ იწყებს? რა ესობათ ასე მწარედ დატრენინგებულ ტვინში, კაცმა შეგნებულად ამოშანთული სიტყვა „სამშობლო“ რომ დააბრუნა, ცუდად ენიშნათ უსამშობლო ქართველებსა და გადამთიელ უსამშობლოებს? ხომ ცნობილი ნათქვამია, „რაც ბებერმა ბოზმა ევროპამ ნაგავი და ჭუჭყი მოიგდო თავზე, ამერიკის კონტინენტზე გადატყორცნა კრიმინალების, ნარკომანების, ლოთებისა და ბოზების სახითო“...

არ გახლავართ „ამ კაცის“ ნაცნობი, მეგობარი, ნათესავი და, საერთოდ, არაფერი მაკავშირებს მასთან, მაგრამ, რადგან ძალიან შემაწუხა ერის უმადურობამ, მომინდა, შეძლებისდაგვარად ჩამომეთვალა „ამ კაცის“ საქმით ნათქვამი რეალობა 2012 წლამდე, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გავიგებდით, რომ ასეთი კაცი საერთოდ არსებობდა. 2012 წლამდე ვამბობ მხოლოდ იმიტომ, რომ არ გამქრალა მისი სიყვარული სამშობლოსადმი და სურვილი, რომ, რამდენადაც შეძლებს, მიუხედავად ამდენი ზეწოლისა და უმადურობისა, მაინც განაგრძოს სამშობლოს აღმშენებლობა.

კაცი, რომელმაც საკუთარი სურვილით საქართველოს საკეთილდღეოდ, მისი წინსვლისთვის უხმაუროდ დახარჯა საკუთარი მილიარდები, არ არის ვიღაც მართლაც „ძუნძგლიანების“ სახსენებელი და შენიშვნის მისაცემი, არათუ გასაქილიკებელი.

რა ვქნათ, თუ ბატონმა ივანიშვილმაც ისევე დაიჯერა ე.წ. „ახალგაზრდა რეფორმატორებისა“ შევარდნაძის ძირმომპალი ხელისუფლების დროს, როგორც მრავალმა სხვამ, საქმეში ჩაუხედავმა, და ყველანაირად შეეხიდა გარკვეულ დრომდე სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს ქვეყნის განვითარების კუთხით მისივე სამშობლოს გასალამაზებლად და ცივილიზებული სახის მისაცემად? სააკაშვილმა და მისმა ბანდა საკუთარ თავზე რომ მიიწერა და ბევრ გამოქვათაყურებულს დღემდე ასე ჰგონია, იქნებ, შეუვიდეთ თივთიკა ტვინში.

სახელმწიფო ადმინისტრაციული პროექტები, კულტურა, მეცნიერება, უმრავი რეკონსტრუქცია (ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო მოღვაწეობამ დანგრევას გადარჩინა, რესტავრაცია და გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა 534 ტაძარსა და ძეგლს), განათლება, ჯანდაცვა, სპორტი — რომელი ერთი ჩამოთვალოს კაცმა?

ამის შემდეგ კიდევ რამდენი გაილო და რა გაკეთდა?

და დღეს შტერი ზვიად კუპრავა ომარ ნიშნიანიძეს ნიშანს უგებდა, „მიშამ სუში შეჭამა“ რომ გაგიდიოდათ და ივანიშვილი ხოხბებს აშენებს შესაჭმელად, ეგ არაფერიაო? აბა, ახლა მითხარით, რამდენი „კუპრავაა“ საქართველოში და დიდად აღარ გაგიკვირდებათ ბევრი რამ...

გაათრიეთ საქართველოდან ისეთი „დემოკრატია“, რაც გათახსირებული კოლექტიური დასავლეთის საქართველოზე ბატონობის სურვილს ნიშნავს!

ცხონებული ვახტანგ ხარჩილავას კითხვაზე: როდემდე დაუთმობენ ჭკვიანები სამშობლოს სულელებს? ვფიქრობ, პასუხი გაუცემელი აღარ დამრჩება — აღარ დაუთმობენ, ჩემო ვახტანგ, აღარ!

**ნინო დაუშვილი**



# დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის თავზე პირველად გვყავს ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხზე და ქვეყანაზე ფიქრობს

## საქართველო არავის თითის გაქნევაზე აღარ ივლის, ჩვენი ქვეყანა ფოტიგების და კუბილიუსების არასდროს იქნება, ეს დრო წარსულს ჩაბარდა!



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:*

**— ბატონო გოგა, დემოკრატმა სენატორმა ჯინ შაჰინმა საქართველოში დემოკრატიის უკუსვლაზე ისაუბრა და აღნიშნა: ამერიკამ შესაძლოა საქართველოსთან ურთიერთობას და დახმარების პაკეტებს გადახედოსო. 30-წლიანი პარტნიორობის მანძილზე, შაჰინმა პირველად იკითხა: ღირს კი საქართველოს დახმარება? რამ განაპირობა ეს ყოველივე?**

— ეს მხოლოდ ერთ რამეზე მიანიშნებს — მსოფლიო პოლიტიკური ელიტა იმდენად დეგრადირებულია, რომ ვერც საკუთარ საქმეებში ერკვევა და საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებითაც მისი ქცევები საღ აზრს მოკლებულია. სხვის თვალში ბეწვს ეძებენ მაშინ, როცა ჯერ საკუთარ თვალში დირე ვერ უპოვიათ. გადავხედოთ, რა ხდება ამერიკაში: შუალედურ არჩევნებში მიცვალებულებმა მიიღეს მონაწილეობა და კონგრესმენებად მკვდრები აირჩიეს; პირველივე გადაწყვეტილება, რაც კონგრესში გამარჯვებულმა პარტიამ მიიღო, პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნაა, რომლის ოჯახი კორუფციულ გარიგებებშია ჩართული, როგორც ჩინეთში, ისე უკრაინაში. ვფიქრობ, დემოკრატიის უკუსვლის შეჩერებაზე საკუთარ ქვეყანაში უნდა იზრუნონ და არა საქართველოში. იმიტომ, რომ პირველივე კითხვა, რომელიც დაისვა, შემდეგია — რა იგულისხმება დემოკრატიის უკუსვლაში. დარწმუნებული ვარ, დემოკრატი სენატორი ბობ მენენდესი, საერთოდ, აზრზე არ არის, თუ რას გულისხმობს დემოკრატიის უკუსვლაში. ვერც ჯინ შაჰინი გაგცემთ პასუხს — რა ხდება რეალურად საქართველოში. უფრო სწორად, **ყველაფერი შშვენივრად იციან, უბრალოდ, იმ ხელისუფლების შეცვლა სურთ, რომელმაც პირველმა გაბედა და მსოფლიოს გასაგონად თქვა: ჩვენთვის ჯერ საკუთარი ხალხის, ქვეყნის ინტერესებია პრიორიტეტი და მერე სხვა დანარჩენიო**. ჯინ შაჰინს, კელი დეგნანს, იან კელის, დევიდ კრემერს და სხვებს, სურდათ, საქართველოს მეორე ფრონტი გაეხსნა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

დიახ, პირველად 30 წლის მანძილზე საქართველოს ხელისუფლებამ გაბედა და თქვა: ჩვენ თქვენს მითითებებს არ შევასრულებთ, რადგან ეს ჩვენი ქვეყნისთვის საზიანოაო. ასეთი მითითება იყო 2008 წელს ომის დაწყებასთან დაკავშირებით, რაც სააკაშვილმა პირნათლად შეასრულა. მანამდე ამერიკის მითითებებს შევარდნაძე ასრულებდა. დღეს აღნიშნული მითითებები აღარ სრულდება, რამაც აშშ-ის აღშფოთება გამოიწვია — როგორ ბედავს ეს პატარა საქართველო, ჩვენს მოთხოვნებს რომ ეწინააღმდეგებაო.

**— ჯინ შაჰინი 2012 წლიდან „ნაცმოძრაობას“ ლობირებს. რისი გაკეთება შეუძლია „ქართულ ოცნებას“ ამის საპირწონედ?**

— ღმერთმა დაგვიფაროს ჯინ შაჰინის მსგავსი ლობისტებისგან! „ქართულ ოცნებას“ ასეთი ლობისტები არ სჭირდება! ჩვენ გვჭირდება სამართლიანი ადამიანები, რომლებიც, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის პრესტიჟზე იზრუნებენ. ის, რასაც ჯინ შაჰინი, იან კელი, კელი დეგნანი სჩადიან, უპირველესად, ჩვენს ქვეყანას კი არა, თავად ამერიკის ინტერესებს ვნებს. საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა. ამიტომ მათ წარმოუდგენლად მიაჩნიათ, რომ საქართველომ საკუთარი ინტერესები ჰეგემონის ინტერესებზე წინ დააყენოს. დღეს მსოფლიოში შექმნილი ვითარება ჩვენნაირ ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს, თავისი სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, თვითმყოფადობა და ისტორიული გამოცდილება შეინარჩუნოს და წინა პლანზე დააყენოს. ასეთი რეალობაა. აღნიშნული სენატორები გუშინწინდელ დღეში ჩარჩნენ, რაზეც ბევრი რამ მეტყველებს, განსაკუთრებით, მათი განცხადებები და მოქმედება. ეს მათი პრობლემაა და არა ჩვენი. მათგან განსხვავებით ჩვენ წინ მივდივართ. თუ ვინმეს მაინცდამაინც უკუსვლაზე სურს საუბარი, საკუთარ თავს და მოქმედებას დააკვირდეს. შეხედონ, რა ვითარებაა ავღანეთში, ასევე, რა მოხდა ერაყში, ვიეტნამში, კამბოჯაში და აქედან გამომდინარე გამოიტანონ დასკვნები, თუ ვის აქვს დემოკრატიაში უკუსვლა.

**— დიდი ხანია, შაჰინისგან მსგავსი განცხადებები არ გვსმენია. ახლა რა მოხდა?**

— კელი დეგნანმა დაიჩივლა: თურმე, მას საქართველოში ავიწროვებენ. ბობ მენენდესმა განაცხადა კიდეც: ჩვენს ელჩზე თავდასხმები ხორციელდებაო. რეალურად, მსგავსი არაფერი ხდება. კელი დეგნანთან მიმართებით ისმის ძალიან მარტივი კითხვები, რასაც ამერიკის ელჩი ასე პასუხობს — ეს კრემლის პროპაგანდა, რუსული ნარატივიაო. საინტერესოა, რა არგუმენტებს დაასახელებდნენ, პუტინი რომ არ არსებობდეს. კრემლის პროპაგანდასა და რუსულ ნარატივზე აპელირება სიცრუეა და მეტი არაფერი. სინამდვილეში, მათ უმსგავსო საქციელებზე, რასაც საქართველოს მიმართ სჩადიან, ელემენტარული კითხვები გვაქვს. მათ კი პასუხები არ აქვთ და არც ლოგიკური აზროვნება ჩანს იმაში, რასაც აკეთებენ — ამიტომ იწყება ტრენდზე აპელირება. ასეა ჩვენს ბეც ოპოზიციაშიც, რომელსაც არანაირი არგუმენტები არ აქვს და ტრენდზე საუბარს იწყებს. კრემლი და პუტინი რომ არ არსებობდეს, რა ეშველებოდათ, არ ვიცი. სამწუხაროდ, კრემლიც არსებობს, პუტინიც და რუსეთის აგრესიაც უკრაინაში. აგრესიას ერთსულოვნება, ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა უნდა დაუპირისპირონ, მით უმეტეს, ისეთი ქვეყნის მიმართ, როგორიც საქართველოა და რომელიც რეგიონში ამერიკის ერთადერთი დასაყრდენია.

დიახ, არცერთი სხვა ქვეყანა არ წარმოადგენს ისეთ დასაყრდენს, როგორსაც საქართველო. **მართლაც უგუნური და პოლიტიკური ბეცი უნდა იყო, რომ ზუსტად იმ ქვეყანას, მის ხელისუფლებას ებრძოდე, რომელიც რეგიონში, სადაც ასე ძალიან გიჭირს, შენი ერთადერთი საყრდენია!** ასეთი მოქცევის მერე მსოფლიო ვითარებაც შესაბამისია. როცა ბარბაროსმა დაინახა, რომ მსოფლიოში აღარც სამართლიანობაა, აღარც დემოკრატია, აღარც კეთილგანწყობილი ურთიერთობები, ევროპაში მესამე მსოფლიო ომი გააჩაღა. სწორედ ეს არის შედეგი იმ უგუნურების, ამპარტავნების, სიბრმავის, პოლიტიკური სიბეცის, რასაც ე.წ. დასავლურ სამყაროში ვხედავთ.

**— ხშირად გვახსენებენ, რომ საქართველოს სუვერენიტეტის გასაძლიერებლად ამერიკამ ბევრი რამ გააკეთა...**

— სუვერენიტეტის გასაძლიერებლად რა გააკეთა ამერიკამ, მე არ ვიცი. თუმცა, რა თქმა უნდა, თავად ამერიკელი ხალხისგან ბევრი დახმარება მივიღეთ. სამწუხაროდ, ამერიკელი ხალხის ინტერესებს ამ ქვეყნის ელჩები საქართველოში ვერ წარმოადგენენ. ასე იყო ჯონ ტეფტის შემთხვევაშიც, იან კელისაც და ასეა კელი დეგნანის მოღვაწეობის პერიოდშიც. თუ საჭირო გახდა, ამას დოკუმენტურად დავუმტკიცებ ტეფტსაც, კელისაც და დეგნანსაც. ისინი საქართველოში ამერიკელი ხალხის დავალებას ვერ ასრულებენ, რაც მათი პრობლემაა. ამერიკელ ხალხს მისდამი კეთილგანწყობილი საქართველო სჭირდება, რომელიც მას გვერდში დაუდგება და მის ინტერესებს განახორციელებს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ჩვენი სუვერენიტეტი კითხვის ნიშნის ქვეშ 2008 წელს დადგა. როგორი დახმარება აღმოგვიჩინეს მაშინ ამერიკის პოლიტიკურმა წრეებმა, ყველას კარგად გვახსოვს. კი ბატონო, ჩვენ არასდროს დაგვავიწყდება საქართველოსადმი ამერიკელი ხალხის მხარდაჭერა, მაგრამ არა პოლიტიკოსების. ამ ყველაფერს კარგად ვხედავთ. უბრალოდ, აქამდე არ ვლაპარაკობდით, რადგან ელიტისადმი ტრადიციული კეთილგანწყობა ძლიერი იყო და თავს ვიკავებდით. მაგრამ დღეს სახეზეა პოლიტიკური სიბეცე, გადაგვარებული დემოკრატია არამარტო აშშ-ის პოლიტწრეებში, არამედ ევროპის პოლიტიკურ ბიუროკრატიაშიც, რაზეც ვალდებულნი ვართ, ვილაპარაკოთ. მაგრამ როგორც კი ამ პრობლემას ვეხებით, მაშინვე გვეუბნებიან: ეს კრემლის პროპაგანდააო. **თურმე, სიმართლის თქმა პრორუსულობა, კრემლის პროპაგანდაა. ვერ ვიგებ, აშშ-ზე, ევროკავშირზე სიმართლის თქმა დემოკრატიის უკუსვლა რატომ არის?! როცა დასავლეთს მიუთითებ, რომ არასწორად იქცევა და ეს, პირველ რიგში, მისსავე ქვეყანას ვნებს, ესეც კრემლის პროპაგანდად ითვლება.** ეს ყველაფერი საბჭოთა კავშირის დროს გავიარეთ და დღეს აღარ მოქმედებს. მათ რაც უნდა წერონ და ილაპარაკონ, ამის „გაპრავებაში“, აქაური ხუთდოლარად ნაყიდი „კიკუები“ ვერ უშველიან.

**— ჩვენ ამერიკის პარტნიორი ქვეყანა ვართ და არა მონები. ეს ჯერ ვერ გააცნობიერეს?**

— **მონური დამოკიდებულება ისტორიას ჩაბარდა. ასეთი რამ საქართველოში აღარასდროს იქნება.** საბედნიეროდ, დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის თავზე, საქართველოს პირველად ჰყავს ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხზე, ქვეყანაზე ფიქრობს და მერე მათზე, ვინც ჩვენთვის დავალების მოცემას არიან ჩვეულნი. ამ დრომ ჩაიარა. ზოგადად, რა მდგომარეობა იქნება მსოფლიოში სამომავლოდ, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან ყოველგვარმა კავშირებმა უკვე საკუთარი თავი ამოწურა — როგორც აღმოჩნდა, როცა ბარბაროსმა მსოფლიოში საკუთარი ძალის დემონსტრირება გადაწყვიტა, ამის შეჩერება ვერანაირმა ინსტიტუტებმა ვერ შეძლეს და ისინი თვალთმაქცობის, სიცრუის, ფარისევლობის იმედად არიან დარჩენილნი. მსოფლიო ყველაფერს ხედავს. მსოფლიო მხოლოდ დასავლეთი როდია, არამედ აღმოსავლეთიც, სამხრეთიც, ჩრდილოეთიც, რომლის არსებობა ჩვენთვის საკმაოდ მძიმეა, რაც ნათლად ჩანს თბილისიდან 30 კილომეტრში, სადაც რუსული ტანკები დგას. ასე რომ, იმის ახსნა, თუ რას ნიშნავს რუსული აგრესია, არ გვჭირდება. თავად, დასავლეთი დაფიქრდეს, რა ელის, თუ დროულად გონს არ მოეგება. დასავლეთმა რეალურად პარტნიორული ურთიერთობა არ დაიჭირა იმ ქვეყნებთან, რომელბიც მზად არიან ამ ყველაფერში საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ ჩაერთონ, როგორც ეს საქართველომ არაერთხელ გააკეთა. ცხადია, როცა ბოროტ, ბარბაროსულ ძალას უპირისპირდები, პირველ რიგში, საფრთხის ქვეშ საკუთარ ქვეყანას აყენებ. **საქართველო რუსეთს დაუპირისპირდა, რაც ყველა მათ წინააღმდეგ მიღებულ რეზოლუციაში აისახა, მაგრამ ეს ვერ დაინახა ვერც შაჰინმა, ვერც დეგნანმა, ვერც კელიმ, ვერც კრემერმა და ა.შ. იმიტომ, რომ ისინი მიჩვეულნი არიან მათ თითის გაქნევაზე საქართველო ისე მოიქცეს, როგორც მოესურვებათ. ამის იმედი ნუღარ ექნებათ. ეს დრო წარსულს ჩაბარდა!**



**— კარდინმა განაცხადა: ბრიუსელშიც ხედავენ საქართველოს უკუსვლას და ამიტომ არ მიანიჭეს კანდიდატის სტატუსიო. მართლა ასეა?**

— მაგ სიმართლით იაროს კარდინმა! **საინტერესოა, რას ხედავენ ბრიუსელში ფოტიგა**

7 გვ.

# ამერიკა და რუსეთი მალე ჩინეთს დარჩება?!

## სააკაშვილი საავადმყოფოში ფერმის ბუღასავით არის, რისი გამოაშკარავებაც არ სურთ!

*გვესაუბრება
ისტორიის დოქტორი,
პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. რა გამოიკვეთა, როგორ ნაწილდება მსოფლიო?**

— რუსეთ-უკრაინის ომი თანდათან დასასრულისკენ მიდის. ჩემი აზრით, მხარეები მოლაპარაკებისთვის ნიადაგს სინჯავენ. დასამალი არ არის, რომ ამ პროცესში უკრაინა მარიონეტია. იგი არაფერს წარმოადგენს, მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლის ველია. მთავარი მოთამაშეები ე.წ. კოლექტიური დასავლეთი და რუსეთი არიან. ასევე, რუსეთთან კავშირში მყოფი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები — ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და ა.შ. ფაქტობრივად, სამყარო ორ ბანაკად არის გაყოფილი, რაც, უპირველესად, მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებასთან არის დაკავშირებული. 21-ე საუკუნის ათიანი წლების მეორე ნახევრიდან სახეზეა მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი, რაც კაპიტალისტური წყობის თანმდევია. სწორედ კაპიტალისტური ეკონომიკური კრიზისის შედეგად წარმოიშვა ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრცის ტერიტორიაზე ორი ომი — 2008 წლის აგვისტოში საქართველოში და 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში. ეს გახლავთ ბრძოლა გადანაწილებული მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისთვის, აგრეთვე, გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილებებისთვის. საქმე ისაა, რომ რუსეთს მის საზღვართან ახლოს ნატოს ყოფნა არ სურს. დასავლეთს კი უნდა, რუსეთი თავის კარში მოიმწყვდიოს. ზემოთ ვახსენე, რომ ომი მალე დასრულდება. ამის თქმის საფუძველს ერთი გარემოება მაძლევს — CIA – ის დირექტორი ბილ ბარნსი მის რუს კოლეგას სერგეი ნარიშკინს ანკარაში შეხვდა, რაც არ ხმაურდებოდა. ყურადსაღებია, რომ აღნიშნული შეხვედრა მაშინ შედგა, როცა დიდი ოცეულის სამიტი უნდა გამართულიყო, სადაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო მიწვეული. სერგეი ლავროვს ობსტრუქცია მოუწყვეს, რაც ჩვეულებრივი ამბავია. მიმაჩნია, რომ რუსეთ-უკრაინის ომი გლობალურ მასშტაბებში არ გადაიზრდება. გაბატონებულ წრეებს სულაც არ სურთ, საკუთარი ოჯახები, სიმდიდრე საფრთხის ქვეშ დააყენონ. ასე რომ, ბირთვული ომის საფრთხე ნაკლებ სავარაუდოა. თუმცა, გამორიცხული არაფერია. ომი ყველაზე მეტად რიგით მოქალაქეებს ვნებს. ასევე, ეს ცალკეულ ქვეყნებზეც აისახება ეკონომიკის გაუარესების კუთხით. აღმოსავლეთ უკრაინის მოსახლეობა კი, აშკარად ჩანს, რომ პირდაპირ გაწირეს. უკრაინის სახელმწიფო ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა. უკრაინის პრეზიდენტი და მისი გარემოცვა არაფერს წარმოადგენენ. ეს იგივეა, საქართველოში 2014 წელს უკრაინაში მოწყობილი გადატრიალების მსგავსი რომ მოხდეს და პრეზიდენტად ვანო ჯავახიშვილი და მისი შოუს გუნდი მოვიდეს.

**— თქვენ ამბობთ, რომ ეს ომი გლობალურ მასშტაბებს არ მიიღებს, თუმცა რიგი ექსპერტები მას მესამე მსოფლიო ომს უწოდებენ...**

— ეკონომიკური პროცესების თვალსაზრისით, ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს, მაგრამ ბრძოლების წარმოების კუთხით იგივეს ვერ ვიტყვი. ამ მხრივ მესამე მსოფლიო ომის ნიშანწყალიც არ არის. დავაკვირდეთ, ამჟამად რა ვითარებაა — გაგანია ომი მიდის და ამ დროს საოცარი რამ ხდება — მილში გაზი მიედინება და იქედან რუსეთში დოლარები მოდის. ეს რას ნიშნავს, ვინმე ამიხსნის?! პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს მსგავსი არაფერი მომხდარა. ანუ, კაპიტალიზმისთვის მთავარია მოგება და კიდევ მოგება. რუსეთი ენერგეტიკის მიწოდებაში იღებს ფულს, აშშ — ნიადაგის. მეტიც, აშშ ამ ომით სხვა კუთხითაც არის დაინტერესებული. კერძოდ, „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის გაზის მილების აფეთქება შემთხვევით არ მომხდარა. ამ გაზით, ძირითადად, გერმანია მარაგდებოდა, რომელიც ევროპის უმთავრესი წამყვანი ქვეყანა და ევროკავშირის წევრი ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოა. იგი ევროკავშირის ეკონომიკაში წამყვან როლს ასრულებს. დღევანდელი ომის შემდეგ გერმანია აშშ-ზე დამოკიდებული ხდება.



**— ბატონო ედიშერ, ისმის მოსაზრებები, რომ რუსეთი მარცხდება. რეალობა როგორია, თან ზამთრის მოახლოების ფონზე?**

— რუსეთი ზამთრის ომებში ძალიან გამოცდილია. სწორედ „გენერალმა ზამთარმა“ გადაწყვიტა ნაპოლეონისა და ჰიტლერის ბედი. როცა კერენსკი ომის წინ ჰიტლერს შეხვდა, მას უთხრა: არავითარ შემთხვევაში ზამთრის პერიოდში რუსეთს არ ეომოო. ჰიტლერმა არ დაუჯერა და შედეგიც ვიცით. შემთხვევითი სულაც არ გახლავთ ის, რომ რუსეთი დღეს იმ ობიექტებს ბომბავს, საიდანაც უკრაინა ელექტროენერგიას იღებს. მოსახლეობა გამოუვალ სიტუაციაშია — კიევის უმეტეს ნაწილს დენი არ აქვს (ხოლო მათ, ვინც ამ პროცესებს სათავეში უდგას, გათბობაც აქვთ, წყალიც, ელექტროენერგიაც, გაზიც და ფულიც). ანალოგიურ სიტუაციაშია უკრაინის სხვა დიდი ქალაქებიც, რამაც მოლდოვაზეც დიდი გავლენა იქონია — მაია სანდუ იხვეწება: მიშველეთო. იგი ყველაზე მეტად საკუთარი თავის გამო წუხს, რადგან მოლდოვაში გამოსვლებია დაწყებული. ამიტომ, უაღრესად რადიკალმა ლიბერასტმა სანდუმ მშვენივრად იცის, რაც დაემართება. რუსეთი ამ ობიექტებს მიზანმიმართულად ბომბავს, რათა უკრაინის ხელისუფლება დააჩოქოს. ასე თუ მოხდა, შედეგად, დასავლეთსაც დააჩოქებს. ნატოს გენერალური მდივანი თავად ამბობს: თუ უკრაინა დამარცხდა, ნატოც დამარცხდებაო. ნატო ხომ კოლექტიური დასავლეთია. აქედან გამომდინარე, პუტინი მეთოდურად მოქმედებს, შემთხვევით არაფერი ხდება. რუსეთის მხრიდან გაუაზრებლად არც ის ნაბიჯი მიმაჩნია, როდესაც ჯარმა ხერსონი დატოვა და დნეპრის მარცხენა სანაპიროზე გადაინაცვლა. მეტიც, როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსეთი მარცხდება, როდესაც მას ომამდე უკრაინის ორი ოლქი — დონეცკი და ლუგანსკი ჰქონდა ოკუპირებული, ახლა კი ზაპოროჟიე და ხერსონის ნაწილიც მიიმატა. საუბრები რუსეთის მარცხზე მხოლოდ საინფორმაციო ომის შემადგენელი ნაწილია. ამ ხალხს სპეციალურად აქვს მიღებული დავალება, რომ რუსეთის ვითომ მარცხზე ილაპარაკოს. ნეტავ, ასე იყოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ **რუსეთის ამ ომში დასუსტება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ვითარების შედარებით შერბილებას გამოიწვევდა. მაგრამ აქვე სხვა რამ მაფიქრებს: ღმერთმა ქნას, ამ პროცესმა რუსეთის ოკუპაციის შერბილება გამოიწვიოს და საქართველომ დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნოს, მაგრამ მეორე მხრივ, ერთი რამ ყველაზე მეტად მაწუხებს — რუსეთის მარცხის შემთხვევაში დღევანდელი გადაგვარებული ლიბერასტიზმი მთელ მსოფლიოს წალეკავს!** არ ვამბობ, რომ რუსეთი კონსერვატორულ იდეებს იცავს. არა, რუსეთი დიქტატორული სახელმწიფოა, რომელიც ერთი პიროვნების ხელშია მოქცეული, რაც რუსული ხასიათიდან, ბუნებიდან გამომდინარე გასაკვირი არ არის. მაგრამ შევხედოთ, რა ვითარებაა დღევანდელ მსოფლიოში — გადაგვარებულ ლიბერალიზმს სურს კონსერვატორ, ტრადიციის მიმდევარ ადამიანებს ყელში მარწუხივით მოეჭიროს. ამაზე, ისეთი პატარა ქვეყანა როგორიც საქართველოა, უნდა დაფიქრდეს.



**— ბატონო ედიშერ, პოლონეთში ჩამოვარდნილი რაკეტა რამდენად შეიძლება საგანგაშო ზარად მივიჩნიოთ. ეს ერთგვარი, რეპეტიცია ხომ არ იყო?**

— პოლონეთის პრეზიდენტმა ისიც კი განაცხადა: მეორე რაკეტა ვერ ვნახეთო. ეს რას ნიშნავს, ესე იგი, რაკეტა სადღაც გაქრა?! ჯერ, ერთი ამბავი ატყდა: ორი რაკეტა ჩამოვარდაო, მერე უკრაინის ხელისუფლებამ განაცხადა: რაკეტა რუსეთიდან ისროლესო. თავად დასავლეთმა და აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადეს: რაკეტა რუსეთიდან არ უსვრიათო. ეს რაზე მეტყველებს?! ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს და მათ გლობალური ომი არცერთ შემთხვევაში არ სურთ. გონიერი ადამიანები უკვე ხვდებიან, თუ რა ძალების ინსპირირებულია ეს კაცთამჟლეტი ომი. ასეთი ექსპერიმენტი ჩავატარე: სოცქსელში დავწერე — შეწყდეს მართლმადიდებლებს შორის ომი, გაუმარჯოს კაცთა შორის მშვიდობას და სათნოებას-მეთქი. უმეტესობამ ეს პოსტი არ დამილაიქა, რადგან ომი, კაცთა ჟლეტა სისხლში აქვთ გამჯდარი. დააკვირდით, რა მოწოდებები ისმის: მიაწოდეთ იარაღი, დახოცეთ. ვფიქრობ, ადამიანთა გარკვეული ნაწილი სისხლს, ჟლეტას, ნგრევასაა მოწყურებული, რითაც ძლიერნი ამა სოფლისა სარგებლობენ.

**— დღეს მსოფლიო პოლიტიკის ორი მთავარი მოთამაშე, ასევე, მესამე — ჩინეთიც, სერიოზული პრობლემების წინაშე არიან. მომავალი ამ სამ ქვეყანას შორის წყდება?**

— ჩემი აზრით, მომავალი ჩინეთს აქვს. იგი რბილი ძალის პოლიტიკას ძალიან დახვეწილი სახით ახორციელებს. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩინეთის რბილი ძალა შემოსულია, გახსნილია ჩინური კაბინეტები, სადაც ჩინურ ენას, კულტურას, ისტორიას ასწავლიან. ერთი შეხედვით ეს ვითომ არაფერია, მაგრამ ჩინეთი მთელი მსოფლიოს მასშტაბით იგივეს აკეთებს. მოგეხსენებათ, როგორი დიასპორა ჰყავს ჩინეთს თავად აშშ-ში. უფრო მეტიც, ამერიკას ჩინეთის ვალი 31 ტრილიონი დოლარი აქვს. გარდა ამისა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ჩინეთის ეკონომიკა 17%-ით ვითარდება. ასევე, დავაკვირდეთ ჩინეთის დემოგრაფიულ ექსპანსიას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათი ტექნოლოგიების განვითარებას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, იაფ მუშახელს და ა.შ. აქვე გურამიშვილის ლექსი მახსენდება, ორი მამალი რომ ჩხუბობს და ორივე დავარდება: „და ორნივე დაღალულნი, ძაღლმა ნახოს, პირი ჰკიდოს“. ამერიკა და რუსეთი მალე, ალბათ, ჩინეთს დარჩება.

**— მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ „ნაცმოძრაობაში“ არსებულ კრიზისზე ვისაუბროთ. რა პროცესები მიდის ოპოზიციაში?**

— ნაცებს ჯერ დათვი არ მოუკლავთ და უკვე მის ტყავს ინაწილებენ. ჩემი აზრით, „ნაციონალური მოძრაობა“ ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა. აბა, სხვა რა უნდა ითქვას, როცა ნაცების თავმჯდომარედ უვიცი, გაუნათლებელი, მუტრუკი ხაბეიშვილის დანიშვნა განიხილება. ეს გახლავთ შედეგი იმისა, რისკენაც ეს საშინელი რეაქციული, რეპრესიული ძალა 19 წელია მიდის. კეზერაშვილისა და სააკაშვილის მომხრეებს შორის დიდი დაპირისპირებაა. ერთმანეთს მხოლოდ და მხოლოდ გავლენის სფეროებისა და ფულისთვის ებრძვიან. ქართველი ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ. იმედია, საქართველოში ისეთი ოპოზიციური ძალა გაჩნდება, რომელიც ქვეყნის განვითარებაზე და არა ნგრევაზე იქნება ორიენტირებული. „ნაცმოძრაობა“ თავისთან გაიყოლებს ჭიჭიკო ვაშაძეს, პატიკო მანჯგალაძეს, მომსახურების ზონიდან დიდი ხნის გასულ შალიკოს, გუბაზს, ხატიასებრთა ოჯახს და ა.შ. პოლიტიკური ნაგვები ისტორიის სანაგვეს ჩაბარდება, რაც ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისთვის ძალიან კარგი იქნება. აქვე კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო ხელი-

11 გვ. →

# ბანქოს თამაში ქართულად

## ბატონო პრემიერო, გაითვალისწინეთ შეიხ აბდულა აზამის სიტყვები!

ამბობენ, ბანქო სატანის მოგონილიაო. შესაბამისად, ქართული პოლიტიკური სივრცის შედარება ბანქოს თამაშთან და თვით სიტყვა „თამაშიც“ კარგად ესადაგება პოლიტიკას.

მართალია, თითოეული ადამიანი ცალკე ინდივიდია, მაგრამ, ნებსით თუ უნებლიედ, მაინც აერთიანებთ გარკვეული „თამაშობანი,“ ვთქვათ, ნერვების დასაგლეჯ-დასაფლეთი — სახელად „პოლიტიკა“, რომელიც ხშირად სასიკვდილოც კი არის, როგორც გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით და ამის არა ერთი და ორი მაგალითი ახსოვს როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ისტორიას.

დღეს „ბეზკოზირაა“ დარიგებული და ისეთ თამაშშია ჩაბმული საქართველო, რომელსაც არც სახელი აქვს, არც თამაშის წესი, თამაშობს ყველა კარტი და ერთმანეთშია არეული ბანქოს თამაშის ყველა სახეობის მსოფლიო ნაკრები. საქართველო, მრავლისმნახველი მოთამაშე, ფაქტობრივად, უჯოკროდ ეთამაშება მსოფლიოს და თავისი ჭკუით რაღაცას ეშულერება ყვავის ექვსიანით, როცა ჯოკრები ამოღებულია ბანქოს დასტიდან, ესეც ხომ ჯოკრობსო...




7-იანამდე კარტებს სათვალავში არავინ აგდებს — ეს ხალხია, ისინი, რიგით მოქალაქეებს რომ უწოდებენ და ალაგ-ალაგ, მხოლოდ არჩევნების მოახლოებისას ახსენდებათ; 7-იანიდან ათიანის ჩავთვლით — წვრილფეხობა, აგიტ-საჯარო მოხელეები არიან „რა იცი, რაში გამოდგნენ“ ხალხი; მათ მოსდევს მსუყე ფიგურები იერარქიის მიხედვით; ოთხი „კაზიონნი სახლი“ — შსს, იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, პარლამენტი და ორი მასხარა, რეალურად — ორი მკვლელი, ანუ ჯოკერი.

2012 წლის 1-ელ ოქტომბერს გახსნილი „ფურთით“ („კონჩინა“), ანუ ყველა კარტის მონაწილეობით რომ დაიწყო თამაში და ითქვა, პატიოსნად ვარიგოთ და ტყუილებს არ ვიყოთო, თვალსა და ხელსშუა გადაიზარდა „დურაკაში“ და მოვედით დღემდე, როცა ხალხის მოთხოვნა სწრაფად და კატეგორიულად უახლოვდება მისი ვითომდა გამდურაკებელი ვიღაც სტრატეგიული პარტნიორებისა თუ მატყუარა მეგობრებისთვის იმ სახელის დარქმევას, რასაც რეალურად წარმოადგენენ. დაინახა ხალხმა, რომ არა ერთი და ორი „3-იანი“, ხან „კაროლებად“ და, ხან „დამებად“ შეატყუეს; ერთი კარტია ახალი დასტიდან — „აგურის მეფე“ და თითქმის ყველა დანარჩენი კარტი მას დასდევს გასაჭრელად, არ აქვს მნიშვნელობა, ბანქოს რა ნიშანი აქვს მინიჭებული.

პარადოქსივით გამოვიდა — „აგურის მეფე“, ანუ ირაკლი ღარიბაშვილი იყო ის შს მინისტრი, რომელის მიმართაც საზოგადოების დიდი უმრავლესობა, კანონმორჩილი თუ კანონდამრღვევი, ერთნაირი ნდობითა და სიმპათიით იყო განწყობილი. მსოფლიოს რომელ ქვეყანაში მომხდარა მსგავსი რამ, ქვეყნის შს მინისტრი აზვირთებული ხალხის მასაში გარეულიყო განსაკუთრებული დაცვის გარეშე, კვერცხებით, ცოცხებითა და ბოთლებით შეარაღებული ყოფილი პატიმრების, გარდაცვლილი პატიმრების ჭირისუფლების, პატიმრობაში მყოფი პირების გულშემატკივრების, უკანონობით გათანგული ხალხის მასაში და მისი დანახვით იმედმიცემულ მასას ერთდროულად დაეწყო შს მინისტრის სახელის სკანდირება „ირაკლი!“ (საჯარო ბიბლიოთეკასთან); ვის და სად უნახავს, ან გაუგია, რომ ხელისუფლების მხრიდან ქვეყანაში უსამართლობის განცდა პიკს აღწევდეს და ხალხისთვის მაინც მისაღები იყო იმ ქვეყნის პრემიერი — ეს მხოლოდ საქართველოში მოხდა, რადგან პრემიერი იგივე ირაკლი ღარიბაშვილი იყო და დღესაც არის.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ უყვარს ხალხს ღარიბაშვილი?

პასუხი ცალსახაა: იმიტომ, რომ მას არანაირი სურვილი არ აქვს, მოატყუოს ხალხი.

პირველი მნიშვნელოვნად დიდი სიმართლე, რაც მან თქვა და ისე ჩაატარეს, ყურადღება არ გაამახვილეს: „ჩვენთვის მიუღებელია მოსახლეობისთვის ცრუ მოლოდინების შექმნა და შემდეგ მოსახლეობის იმედგაცრუება. NATO-სთან დაკავშირებული მოლოდინები მცდარი არ უნდა იყოს.“ თქვა მაშინ ბარაკ ობამამ, თქვა საქართველოს პრემიერმა, მაგრამ მაინც, არაო, სწორად ვერ გაიგეთო, ხალხის ბოლომდე „გადურაკებას“ აპირებდნენ მაინც ცალკეული თვით „დურაკები“...

ამ სიტყვების თქმისთანავე დააფიქსირა ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ საკუთარი აზრი, რომ ამ სიმართლის თქმის გამო ირაკლი ღარიბაშვილს კიდევ უფრო დაუპირისპირდებოდნენ იმდროინდელ კოალიციაში შემავალი აშშ-ის ლიბერასტი განშტოების ლიბერასტი ქართველი მსახურები.

ფეხდაფეხ მეორე — „გამოვდივარ ინიციატივით, რომ კონსტიტუციაში შევიტანოთ ჩანაწერი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა — ასე მოიქცა ლატვია, შარშან კი ხორვატია, ევროკავშირში შესვლის წინ“ და ა.შ. არადა, ეს სიტყვები მაშინ ითქვა, როცა ხალხმა ჯერ არ იცოდა, მაგრამ ხელისუფლების შიგნით კარგად იცოდნენ, რომ „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ უნდა მიეღოთ, თავსხემოთ ძალა არ ჰქონდათ, რადგან ძალიან ნორჩები იყვნენ. მოულოდნელობისგან გაწბილებულ პოლიტპირებს „ქორწინების“ ნაცვლად „ოჯახის“ ხსენებამ მრავალფეროვანი სპეკულაციის გასაქანი მისცა, თუმცა ღარიბაშვილის დამცველად სწორედ „რესპუბლიკელი“ თინა ხიდაშელი გამოენთო: „რა თქმა უნდა, პრემიერი ქორწინებას გულისხმობდა — ძალიან სასაცილო და არასერიოზულია, როდესაც ასე სიტყვაზე გამოეკიდებიო“, მაგრამ ყველა როდი მიხვდა, რომ თინათინი ორ კურდღელს ერთად წაეპოტინა, ქვეტექსტში ღარიბაშვილის კომპეტენტურობა გააქილიკა, საქმით კი ღარიბაშვილის (ხელისუფლების) პოზიცია ვითომ დაიცვა.

არცთუ უმნიშვნელო მესამე — ვის, როდის და რატომ უყვარდა ჟურნალისტი ინგა გრიგოლია, მისი პირადი საქმეა, მაგრამ, როცა გრიგოლიასა და ტელემაყურებლის სიყვარულს ეხება საქმე, ცოტა სხვაგვარად დგება საკითხი. მას შემდეგ, რაც ინგა გრიგოლია ბატონი რეზო ამაშუკელის მიერ „ჰალსუხიან ხვლიკად“ სახლდებულ „გიორგი თარგამაძესა და კამპანიას“ მიეკედლა და „პომადიან ბულდოგად“ იქცა „პოლიტგაგებაში“, თავფეხიანად მოეცხო სხვისი წილი ტალახიც; შემდეგ კი, ფენიქსივით ფერფლიდან აღმდგარი, როგორც ვითომდა მიუკერძოებელი ჟურნალისტი (ბევრი მისი კოლეგის მსგავსად), ისეთი შესაშური თანადგომით გამოირჩეოდა და დღემდე გამოირჩევა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ყოფილი ჟანდარმების მიმართ, რომ სოციალური ქსელი წაილეკა არა მხოლოდ მისი კრიტიკით, აბსოლუტურად მიუღებელი უცენზურო შეფასებებითაც. როცა პირისპირ ვერავინ გაბედა და შეჰკადრა ჟურნალისტს, ირაკლი ღარიბაშვილი არაორაზროვნად პირდაპირ ჩაეძია: „... ეს არის მანიპულირება და სპეკულაციები თქვენი საყვარელი პარტიის მხრიდან. უკაცრავად, არ არის თქვენი საყვარელი?“ არ ელოდა ინგა ფაქტის წინაშე დაყენებას, მაგრამ კატასავით მაინც არ დაეცა ზურგზე: „მართლა ასე ფიქრობთ, რომ ჩემი საყვარელი პარტიაა (იგულისხმებოდა „ენმ“) თუ იხუმრეთ?“ პრემიერი: „რა თქმა უნდა. არა, ვიხუმრე, წამომცდა... ისე როგორც მაშინ „ძირგამომთხრელი საქმიანობა...“ გრიგოლია: „მე ვერ დავიჯერებ, რომ პრემიერ-მინისტრები შემთხვევით ისროდნენ ხოლმე ფრაზებს, ასე რომ... ხო, ჩავთვალოთ, რომ უბრალოდ, იხუმრეთ და არ წამოგცდათ...“

არც ხალხს უფიქრია, რომ პრემიერს რაიმე წამოსცდა და ერთგვარად გული მოიოხა... — არაერთი ამგვარი წვრილმან-მსხვილმანია ბატონი ღარიბაშვილის ანგარიშზე, ყველას რა ჩამოთვლის, მაგრამ ხალხის ღარიბაშვილისადმი ნდობისა და პატივისცემის ხარისხის პირდაპირპროპორციულია გარკვეულ პირთა და ძალათა სიძულვილი მის მიმართ, მიზანი კი იყო და არის ერთი — ხელისუფლების სადავეს რამენაირად ჩამოაშორონ კაცი, რომელიც მათთვის მრისხანე იარაღად მოჩანს ხალხის გვერდზე. ბრძენის სიტყვებია, „ბრძოლის დროს მთავარი ის როდია, ვინ დგას შენს წინ, არამედ ის, ვინ დგას შენს გვერდზე“ და ვის უნდა მოწინააღმდეგე, რომელსაც გვერდზე ხალხი დაუდგება?

რატომ არ უყვართ ღარიბაშვილი?

იმიტომ, რომ ქართულად აზროვნებს... იმიტომ, რომ სახელმწიფოებრივად აზროვნებს და არა მონურად... იმიტომ, რომ ამბობს იმას, რასაც ფიქრობს... კახურად იცის მიხლა, ხისტიაო — იყოი, რაა!

იმ დროს, როდესაც ყველა პოლიტიკოსი მაქსიმალურად ცდილობს, „ზედმეტად ეროვნული“ არაფერი წამოსცდეს, ახალდროებაში ასეთი „წამომცდენი“ ივანიშვილი გახლდათ, ახლა ღარიბაშვილია. შესაბამისად, დიდად სანდო არ არის ე.წ. დასავლეთისთვის ღარიბაშვილი, მაგრამ სანდოა ხალხისთვის (ბატონი ბიძინა რომ სანდო არ არის, კელი დეგნანს დიდი ბეჭედი აქვს ამაზე დარტყმული — სამი საათი ეყაყანა და ვერ მოდრიკა საქართველოს გასაუბედურებლად).

როგორც აღვნიშნეთ, ყველა „აგურის მეფეს“ ემტერება და, შესაბამისად, ყველა მხრიდან. ზოგმა „ჰაკიმ ფაშა“ დაარქვა, ზოგი მის ქართულ წარმომავლობას აყენებდა ეჭვქვეშ, ზოგი მისი სანათესავოს წარსულს ჩხრეკს, ზოგი — მეუღლის მხარეს ესხმის თავს, თუმცა ვერაფრით მოეცხო ტალახი და თვითონვე მოსწყინდათ ჭორების თხზვა, უბრალოდ, სხვა ხელობა არ იციან...

სხვადასხვა დროს ნათქვამ, საზოგადოებისთვის ცნობილი მხოლოდ ერთი პატივსაცემი ადამიანის სიტყვებს გაგახსენებთ და გვირგვინიც შემოევლება, რას ემსახურება ეს ყველაფერი და ვისი ხელით.

ელიზბარ ჯაველიძე ამბობდა (როდესაც ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტი პირველად გადაიბარა): ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც ქართველი კაცი, გახდება მთავარი სამიზნე „ნაცებისა“ და ლიბერასტული პროვოკაციების! ეს „სოროსელები“ ყველანაირად ეცდებიან, რომ ახალ პრემიერ-მინისტრს დაუპირისპირონ რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობები და ის „არაცივილიზებული, შავბნელი ქართველი ხალხის“ წარმომადგენლად შერაცხონო.

ვერაფერი ხინჯი მოუძებნეს დიპლომიდან დაწყებული, პრემიერს დღემდე და ერთხანს მისი სიმამრის საშუალებით დააპირეს მისი მოთხრა, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხეს და ახლა სახლთან ჩაუსაფრდნენ მის შვილს, მაგრამ ვერ აიყოლიეს საპროვოკაციოდ და ამ კუთხით შეტევაც მოსწყინდათ. ახლა ახლიდან გამოაგორეს თავგზაარეული რაღაც კავშირები ვიღაც რუსთან...

სხვათა შორის, ამ „გაუგებრობებაში“ ასევე არასასურველად გაისმა ბატონი ივანიშვილის სახელიც, შესაძლოა, გარე ძალებს გაურიგდეს პრემიერთან დაკავშირებითო; მანამდე ითქვა, რომ ივანიშვილს ე.წ. დასავლეთი ატრიალებს თავის ნებაზე, რაც, თავის მხრივ დადასტურებულად თქვა იმ დროს სატელევიზიო ჩართვაში მიხეილ სააკაშვილმა; უფრო ადრე, რომელიღაც წლის 17 მაისს ითქვა, რომ მეუფე იობს დაურეკა ბიძინა ივანიშვილმა და მოსთხოვა, მანდ შეკრებილი 100 000 კაცი დაშალე, 200-მა ლესბოსელმა და გეიმ უნდა გაიროს რუსთაველზეო და მეუფემ რომ უპასუხა, ამას სიკვდილი მირჩივნიაო, მხოლოდ ამის შემდეგ-და გაიყვანეს ყვითელი ავტობუსებით გეი-პარადის ორგანიზატორებიო — რას ემსახურებოდა და ემსახურება ასეთი განცხადებების გავრცელება, ვითომ ვერ ვხვდებით და ვართ ასე გატრუნულები ერი და ბერი, აქაოდა, სწორედ არეულობა აწყობთ და არ ავყვეთო. აღარ არის ნერვები და ივსება მოთმინების ფიალა!

ერთადერთი, რაც ფაქტად გვიდევს, ის არის, რომ მართლაც რაღაცის გამო უკან დახევის კვალდაკვალ შემოგვიგდეს საცერივით ქვეყანაში კოჰაბიტაციაც, ყოფილი ხელისუფლების მაღალი რანგის სისხლის სამართლის დამნაშავე მოხელეების ხელშეუხებლობაც, ანტიდისკრიმინაციული კანონიც და სხვა, უკვე ხილული თუ სამომავლოდ თავში ხელშემოსარტყავი „წესრიგი“. იმ დროს და იმ სიტუაციაში ვერაფერი სახეირო იყო იმაზე წუწუნი, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება ვერ უძლებდა საელჩოების ზეწოლას და ვიღაც დასავლეთის მძევლის სახით დადიოდა, მაგრამ ახლა ხომ შეგვიძლია ცოტა მეტად გავფხუკიანეთ და გავჯიქდეთ...

ერთნი ამბობენ, პოლიტიკა ბინძური საქმეაო, მეორენი არ ეთანხმებიან, პოლიტიკა ბინძური ადამიანების ხელში ხდება ბინძურიო, — მოდი და არკვიოს სუფთა ადამიანმა, რომელი თეზა შეესაბამება სიმართლეს, არადა, რაც პოლიტიკის გარშემოა,



ირაკლი ღარიბაშვილი

## „ჩვენ ყველა ქვეყანას ვცემთ პატივს, მაგრამ ყველაზე მეტად ჯერ ჩვენი ქვეყანა გვიყვარს

ყველაფერი მართლაც სიბინძურესთან ასოცირდება, დაწყებული ცალკეულ პირთა (ან პირთა ჯგუფის) სახელისა და ღირსების შემლახავი ტყუილ-მართალი ვიდეო-აუდიო თუ ჭორად გაბნეული ინფორმაციების გავრცელებით, დამთავრებული — არასასურველ პირთა მოკვდინებით.

საბჭოთა ციხეებში „შავი სამყარო“ ხშირად თამაშობდა „მეოთხეს“ („მეხუთე,“ „მეექვსე“ და ა.შ). „მეხუთეს“ თამაში (სრულიად ალოგიკურის და სასტიკის), ძირითადად, „სვაბოდაზე“ ხდებოდა — ძალზე პოპულარული იყო სკვერებში, სკამზე ცარცით ჯვრის მიხატვა და ვინც მასზე დაჯდებოდა, მისი სიკვდილი. როდესაც კონკრეტულ სკამზე თვალი უჭირავს ვინმეს (ან ვინმეებს, კონკრეტულ ძალას) ვითომ ნაკლებად სასტიკია პოლიტიკური თამაშები?

კარგად მახსოვს, საეჭვოდ გადაკარგულმა ირაკლი ალასანიამ პირდაპირ რომ დაიქადნა, არავის ვურჩევ დინების საწინააღმდეგოდ სვლასო. დიახ, ეს დაქადნება იყო და არა გაფრთხილება, რადგან ეს სიტყვები მხოლოდ ერთადერთ ადამიანთან ასოცირდება საქართველოში, საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილ (მოკლულ) ზვიად გამსახურდიასთან, რომელმაც არ ისურვა, „მკვდარი თევზივით“ გაჰყოლოდა ე.წ. დასავლურ დინებას და დასამარხ-გადასაშენებლად გაეწირა ქართული ეროვნული ფასეულობები, ადათ-წესები, ტრადიციები, ქალისა და კაცის ტრადიციული ცნებების უფლისეული არსი...

ცხადია, ალასანიას არცკი გაუფიქრია, რომ ვინმე ზვიადს ჩამოჰგავს, უბრალოდ, საიქიოსკენ მიმავალი გზა შეახსენა ვიღაცებს, ვინც მაინცდამაინც „დიდ ქართველობას“ მოინდომებს.

რამდენადაც შულერობა და ბანქოს თამაში, თავის მხრივ კი პოლიტიკა და პოლიტიკოსები ერთდროულად გაჩნდნენ, ხანდაზმულობიდან და, შესაბამისად, უდიდესი პრაქტიკიდან გამომდინარე, ორივე შემთხვევაში შეუძლებელია რაიმე ახალი ყალთაბანდური ილეთის მოგონება, ამდენად, კლასიკური შულერული ილეთები უცვლელია და დღემდე წარმატებით აკეთებენ თავის საკეთებელს, ილეთები კი მრავალგვარია და რაც მეტად გამობრძმედილია მოთამაშე, მით მეტი აზარტით ეკიდება თამაშს.

ბატონი ივანიშვილი დიდ ასპარეზზე მოთამაშედაა მიჩნეული და არც თვითონ უარჰყოფს, რომ აზარტული მოთამაშეა, მაგრამ ახალგაზრდა პრემიერი ღარიბაშვილი? ჯერ კი ჰყოფნის მოთმინება, ალღო და ნერვები, იტანს და ადეკვატური რეაქციაც აქვს ხელოვნურ გამღიზიანებლებზე, მაგრამ როდემდე აიტანს ყოველივეს, არადა, გამუდმებით გამოცდაზეა...

„კანდიდატის სტატუსი, რა თქმა უნდა, არის მნიშვნელოვანი, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი არის ჩვენი ქვეყნის გაერთიანება!

შესაძლოა, ჩვენს პარტნიორებთან გვქონდეს გარკვეული განსხვავებული შეხედულებები, მოსაზრებები — ეს ბუნებრივია, ვინაიდან ჩვენ ვართ სუვერენული სახელმწიფო და რაც ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს სჭირდება, ჯერ ის უნდა გავაკეთოთ!

დამთავრდა ის დრო, როდესაც ჩვენ უნდა შევასრულოთ ჩვენი ქვეყნისთვის საზიანო დირექტივები!

ჩვენ ყველას მოვუსმენთ, მაგრამ რაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას, იმას გავაკეთებთ!

მიუღებელია, როცა უცხო ქვეყნების ხელისუფლების მოქმედი თუ ყოფილი წევრები თავს ესხმიან ჩვენი ხელისუფლების მოქმედ თუ ყოფილ წევრებს!

ჩვენ ყველა ქვეყანას ვცემთ პატივს, მაგრამ ყველაზე მეტად ჯერ ჩვენი ქვეყანა გვიყვარს!“ — თქვა პრემიერმა ხისტად, მაგრამ მკაფიოდ. სიხისტეს შინ უწუნებენ პრემიერს, თორემ, როგორც ჩანს, „გარეთ“, პირიქით, მოხიბლულები არიან მისი მიუკიბავ-მოუკიბავი აზრის გამოხატვით ევროპელი კოლეგები, მოკითხვებსა და მადლობებს უთვლიან...

ბატონო პრემიერო, მოგეხსენებათ, რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის, ამიტომ გაითვალისწინეთ შეიხ აბდულა აზამის სიტყვები: „მშობლიური ქვეყნის დასაცავად მუდამ გქონდეთ 10 ტყვია პისტოლეტში, 1 – თავდამსხმელისთვის, 9 — მოღალატისთვის!...

**P.S.** მე, საქართველოს ერთ რიგით მოქალაქეს, მიყვარს ჩემი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრემიერი, რომელიც ღირსეულად აგრძელებს ახალ ხელისუფლებაში პირველი პრემიერის დაგებულ გზაზე სვლას და სულაც არ ვაპირებ, დავმალო მადლიერების გრძნობა!

**ნინო დაუშვილი**

# პირველად გვყავს ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხზე და ქვეყანაზე ფიქრობს

← 4 გვ.

**და კუბილიუსი?! ფოტიგამ შემოგვითვალა, თურმე საქართველო ქართველებს კი არა, არამედ კოლექტიურ დასავლეთს ეკუთვნისო. დიახ, თურმე ჩვენ აღარ გვეკუთვნის, არამედ ფოტიგას, შაჰინს, კუბილიუსს და ა.შ აი, ამათი ყოფილა საქართველო. ფოტიგას და კარდინის ფიქრები არც მე და არც საზოგადოებას აღარ აინტერესებს. კარდინს ქაღალდზე დაუწერეს: უნდა თქვა, საქართველოში დემოკრატიის უკუსვლააო და არც იცის, რას ნიშნავს ყოველივე. მე თუ მკითხავთ, ალბათ, არც საქართველო იცის, სად არის და ამერიკის შტატი — ჯორჯია ჰგონია.** ეს არც გამიკვირდება, რადგან ნახევარი ამერიკა ჯორჯიის შტატის რაგბის ფედერაციას ულოცავდა, საქართველომ უელსს რომ მოუგო.

**— სამაგიეროდ, ევროკომისარმა ვარჰეიმ გადაასხა ცივი წყალი საქართველოში დემოკრატიის უკუსვლის თემას...**



— არამარტო ვარჰეიმ, არამედ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმაც. ვისაც სიმართლის დანახვა სურს, კიდეც ხედავს. შაჰინი და კარდინი კი ილუზიებში არიან და ჰგონიათ, რომ მსოფლიოში ბატონყმობა ისევ გრძელდება. მაგრამ ასე არ არის, რასაც ამერიკა მშვენივრად იაზრებს. **ბატონ კარდინს და ქალბატონ შაჰინს მინდა ვთხოვო: ჩაიხედონ, რა წერია ამერიკის არჩევნების კოდექსში და მიხვდებიან, სად არის დემოკრატიის უკუსვლა.**

**— ქართულმა ოპოზიციამ ვარჰეი რუსეთის აგენტად მონათლა, სამადაშვილმა ისიც კი თქვა: უნგრელია, თან საქმეში ჩაუხედავი და იმიტომ გააკეთა პოზიტიური განცხადებებიო.**

— მათ ოპოზიციას ნუ ეძახით. ისინი საქართველოში გავლენის აგენტები არიან და სწორედ იმ ფინანსებით საზრდოობენ, რითაც დევიდ კრემერი და სხვები იკვებებიან. ყველამ კარგად ვიცით, საიდან მოდის ეს ფული. ასე რომ, **ეს ოპოზიცია არ გახლავთ.** ჭეშმარიტი ოპოზიცია ისევე უნდა ზრუნავდეს, ფიქრობდეს და უყვარდეს საქართველო, როგორც ქართველ ხალხს უყვარს. **ესენი კი „კიკუ“ ვაშაძის თამადობით თავადაც კიკუები არიან.** აბა, სხვა რა კომენტარი უნდა გავაკეთო „კიკუ“ სამადაშვილზე, ხაბეიშვილზე და ა.შ. **აქ მხოლოდ კელი დეგნანს შეუძლია, ხაბეიშვილი და ლომჯარია საზოგადო მოღვაწეებად წარმოაჩინოს.**

**— ბატონო გოგა, ევროპის სახალხო პარტიამ მწვავე რეზოლუცია გამოაქვეყნა და დასავლელ პარტნიორებს მოუწოდა, ქვეყნის ჩრდილოვან მმართველს — ივანიშვილს სანქციები დაუწესეთო. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— ევროპის სახალხო პარტია არის კორუფციონერების კრებული, რაც ამ რეზოლუციით კიდევ ერთხელ დაადასტურეს. მათი რეზოლუცია გახლავთ მანიფესტი პოლიტიკური გარდაცვალების შესახებ. ეს არის პარტია, რომლის თავმჯდომარე და ოცდარვა წევრი ევროპარლამენტიდან სამარცხვინო სკანდალის — კორუფციული საქმიანობის გამო გამოაძევეს. ასე რომ, ევროპის სახალხო პარტია — კორუფციონერების გაერთიანება რას წერს და რას კითხულობს, ეს ჩვენთვის საინტერესო არ არის.

**— კიდევ ერთი პარტია „ალდე“ გვარამიას გათავისუფლებას ითხოვს. რას წარმოადგენს ეს პარტია?**

— მე არ ვიცი, ეს პარტია რას წარმოადგენს და რა მოთხოვნები აქვს. იქნებ, პრეზიდენტ სარკოზის მსჯავრისგან გათავისუფლება მოითხოვონ. ის ხომ საფრანგეთის მსჯავრდებული პრეზიდენტია. რატომ არ ითხოვენ, რომ გათავისუფლდეს?! რაც შეეხება გვარამიას, იგი სამარცხვინო პიროვნება გახლავთ, რომლის პროკურორობის დროს უდანაშაულო ადამიანებს აპატიმრებდნენ და მერე საპატიმროებში აწამებდნენ. გვარამია წამებას მხარს უჭერდა, მეტიც, ამ პროცესებში თავადაც მონაწილეობდა. ამიტომ მის გათავისუფლებაზე საუბარიც ზედმეტია. მისი გათავისუფლების მოთხოვნა კიდევ ერთხელ ევროპაში პოლიტიკური კლასის დეგრადირების დონეზე მეტყველებს. გარდა ამისა, რა უფლება აქვს „ალდეს“, სხვა ქვეყანას მსჯავრისგან პატიმრის გათავისუფლება მოსთხოვოს?! სად გაგონილა მსგავსი რამ! ქართულმა სასამართლომ გვარამიას პატიმრობა მიუსაჯა. არსებობს შესაბამისი ინსტუტუტები და იქ გაირკვევა, რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო ქართულმა მართლმსაჯულებამ. „ალდეს“ მოთხოვნა პატარა ქვეყნისადმი იმპერიალისტური მიდგომაა. ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისგან, სადაც ადამიანის ზოოპარკები არსებობდა. როგორც ჩანს, ეს დეპუტატები, ვინც დღეს პარლამენტში სხედან, მშობლებს იმ ზოოპარკში დაჰყავდათ, სადაც გალიაში ადამიანები ისხდნენ, რომელთაც როგორც ცხოველებს ისე ათვალიერებდნენ. ასე რომ, ჭკუას, ღირსებასა და ღირებულებებს ნუ გვასწავლიან, სჯობს, საკუთარ თავს მიხედონ.

**— რაც შეეხება დეოლიგარქიზაციის კანონს, ევროკავშირი ითხოვს, იგი სამართლებრივი დასკვნისთვის ვენეციის კომისიას გადავუგზავნოთ.**

— ამ საკითხში ვერ ვერკვევი, არც მაინტერესებს. ეს გასართობი თემაა ისევე, როგორც სტატუსის არმონიჭების სამარცხვინო საკითხი. რაღაც სტატუსი მოიგონეს და თვითონაც არ იციან, მას რა ღირებულება აქვს. თურქეთი 30 წელია, ევროკავშირის კანდიდატია. წარმოიდგინე, ჯერ სტატუსს უნდა მიაღწიო და მერე შეიძლება 30 წელი კანდიდატი იყო! საერთოდ არ მესმის, დეოლიგარქიზაცია რას ნიშნავს მაშინ, როცა ევროპის უამრავ ქვეყანაში, მათ შორის, აშშ-ში ხელისუფლების სათავეში მილიარდერები არიან, კონგრესსა და სენატში უამრავი მილიონერია. ამიტომ საქართველოში დეოლიგარქიზაციაზე ლაპარაკი, სასაცილოა. თანაც მაშინ, როცა მთელი მსოფლიო აღებ-მიცემობაზეა გადასული. მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც ყატარში ტარდება, თან ზამთარში, რითაც მსოფლიო ჩემპიონატების მთელი სტრუქტურა, ფილოსოფია, მსოფლმხედველობა სრულიად შეიცვალა. მაგრამ ყატარმა იმდენი ფული გადაიხადა, რომ ყველაფერი შეცვალეს, ლუდის დალევაც კი აკრძალეს. ყველაფერმა ფასი დაკარგა — აღარც დემოკრატიაა მთავარი, აღარც პატივისცემა, აღარც თავმოყვარეობა, აღარც ღირებულებები, არამედ მსოფლიოს მთავარი მამოძრავებელი ძალა დღეს ფულია.

**— ოპოზიცია ხელისუფლებას ადანაშაულებს — იმას გვაგუებენ, რომ კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემენო. რეალურად, რა არის ამის მიზეზი?**

— გახრწნილი, კორუმპირებული და გადაგვარებული ბიუროკრატიული ევროპის ნაწილი არასდროს ვიქნებით, იქ არაფერი გვესაქმება. რაც შეეხება ევროპას, ორი ათასი წელია მისი ნაწილი ვართ. თუმცა, მიუხედავად ამისა, ყოველთვის მარტო ვიყავით და ვუპირისპირდებოდით იმ ბნელ ძალას, რომელიც ცდილობდა, ევროპისგან მოვეწყვიტეთ. ეს მცდელობა იყო საუკუნეების მანძილზე. რაც შეეხება ევროპასთან ერთობას, მასთან დაახლოების მცდელობა ჯერ კიდევ სულხან-საბას დროიდან იყო და დღემდე ისე მოვედით, ჯერ კანდიდატის სტატუსიც კი არ მიგვიღია. ამაზე ევროპამ იდარდოს, და არა — ჩვენ. სამყარო ნაბუქოდონოსორის დროს დაუბრუნდა, როცა ძალა ალმართს ხნავდა. მიუხედავად ამისა, მადლობა ღმერთს, ქართველი საზოგადოების გადაწყვეტილებით, დღეს საქართველო არის სახელმწიფო, რომელსაც საკუთარი ინტერესები გააჩნია და მისი დაცვის ძალაც აღმოაჩნდა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# სანქციების მსოფლიო ისტორია

## „ქვეყანა მუდამ იცოცხლებს“ - როგორ უმკლავდება სირია აშშ-ისა და ევროპის ზეწოლას?

**უკვე 40 წელზე მეტია, რაც სირიაზე საერთაშორისო სანქციები ხორციელდება. თავიდან ეს იყო იმპორტსა და ექსპორტზე მკაცრი შეზღუდვები, რაც „ტერორისტული ორგანიზაციების სპონსორობის“ გამო დაუწესეს, შემდეგ „არაბული გაზაფხულის“ პერიოდში მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების დაუნდობლად ჩახშობა და ბოლოს, უკანასკნელი ომის მსვლელობისას ქიმიური იარაღის გამოყენებაში დადანაშაულება.**

**ამერიკასა და ევროკავშირს ნაკლებად აწუხებთ სირიის ხელისუფლების ამ დანაშაულებთან კავშირი. დასავლეთის ქვეყნები სირიას აზრჩობენ იმის ნაცვლად, რომ მას ომის დასრულებაში დაეხმარონ.**



2013 წლის 21 აგვისტოს ღამეს დამასკოს მახლობლად მდებარე რამდენიმე ქალაქში, რომლებსაც ერთდროულად სამთავრობო ჯარები და ოპოზიცია აკონტროლებდნენ, აფეთქებების ხმები გაისმა. მალე სოცქსელებში გაჩნდა კადრები საავადმყოფოებიდან, სადაც ადამიანები ხველებით იხრჩობოდნენ და ძლიერი ტკივილების გამო კრუნჩხვებში ვარდებოდნენ.

ჩანაწერების ნამდვილობის დადგენა შეუძლებელი იყო, თუმცა ექსპერტები ამტკიცებდნენ, რომ სირიაზე ქიმიური შეტევა განხორციელდა. ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთს ადანაშაულებდნენ. სამოქალაქო ომის



პერიოდში, რომელიც „არაბულ გაზაფხულს“ მოჰყვა, ეს ბრალდებები არ შეწყვეტილა.

სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ ჭორები ადრეც არსებობდა, თუმცა მხოლოდ 21 აგვისტოს შემთხვევაზე არსებობდა მტკიცებულებები. გაეროს მისიამ, რომელიც ადგილზე აწარმოებდა გამოძიებას, დაადასტურა, რომ იმ დღეს საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად 800 ადამიანზე მეტი გარდაიცვალა. თეთრ სახლში განაცხადეს, რომ ქიმიკატებთან სირიის ხელისუფლების კავშირის დამამტკიცებელი საბუთები ჰქონდათ. ისინი არ გამოუქვეყნებიათ, მაგრამ ბარაკ ობამა ბაშარ ასადს დაემუქრა, რომ სამხედრო ძალას გამოიყენებდა. ამ მომენტიდან დასავლეთის ქვეყნებმა და აშშ-მ აქტიური მზადება დაიწყეს სირიაში სამხედრო ოპერაციის განხორციელებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ გაეროს მისიას არ განუცხადებია, თუ ვინ იყო ტრაგედიაზე პასუხისმგებელი.

### ურთიერთობები სანქციების თანხლებით

ქიმიური შეტევები, რომლებიც თითქოსდა სირიის ხელისუფლებამ მოაწყო, მხოლოდ სანქციების მორიგი პაკეტის დაწესების საბაბი იყო, რომლებიც სირიაზე 1979 წლიდან ხორციელდება, იმ დროიდან, როცა ქვეყანა ტერორიზმის სპონსორთა სიაში მოხვდა. ამერიკელები მიიჩნევდნენ, რომ რეგიონში არსებული შეიარაღებული დაჯგუფებები — „ჰეზბოლა“ და „ჰამასი“ სირიელების ფულით ფინანსდებოდა.

სინამდვილეში, სირიულ-ამერიკული ურთიერთობები 1978-1979 წლებში კემპ-დევიდში შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ დაიძაბა, რომელსაც ეგვიპტესა და ისრაელს შორის მშვიდობა უნდა უზრუნველეყო. გარიგება აშშ-ის შუამდგომლობით შედგა და არაბული ქვეყნების, პირველ რიგში, სირიის მკაცრი კრიტიკის პირობებში მიმდინარეობდა. ამიტომაც გაისმოდა სირიის ხელისუფლების მხრიდან შეიარაღებული მოძრაობების, მათ შორის, „ჰეზბოლას“ მხარდამჭერი განცხადებები. ჰაფეზ ასადი არ მალავდა უარყოფით დამოკიდებულებას ისრაელისა და მისი მხარდამჭერების მიმართ.

1979 წელს დაწესებული სანქციებით ამერიკულ კომპანიებს აეკრძალათ სირიის ეკონომიკის პირდაპირი ინვესტირება. ამას ჩვეულებრივი მოქალაქეების, მმართველი ელიტის ცხოვრებასა და ბიზნესზე დიდი გავლენა არ მოუხდენია, რადგან ადგილობრივმა მეწარმეებმა მალევე იპოვეს გამოსავალი — ამერიკელ პარტნიორებს მეზობელი ლიბანის შუამავლობით დაუკავშირდნენ, რომლის ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა ვაჭრობის განვითარების ნოყიერ ნიადაგს იძლეოდა. თუმცა სირიასა და აშშ-ს შორის ტვირთბრუნვა 300 მილიონ დოლარს არასოდეს აღემატებოდა და სირიის ეკონომიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენდა.

მეტიც, შეერთებულ შტატებსა და სირიას შორის ურთიერთობები 1990-იან წლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა, როცა ამერიკელებმა ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ დაიწყეს (დაახლოებით 17 ათასმა სირიელმა, საერთაშორისო კოალიციის მხარეს რომ იბრძოდნენ, ქუვეიტი სადამ ჰუსეინის ჯარისგან გაათავისუფლა). შედეგად, 1993 წელს ამერიკამ ოდნავ შეარბილა სანქციები, რომლებსაც სირიაზე ახორციელებდა.

თუმცა, თეთრ სახლში ჯორჯ ბუში-უმცროსის მოსვლისა და ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებული გლობალური ომის შემდეგ, 2001 წელს აშშ-მ კვლავ გააძლიერა სირიაზე ზეწოლა. აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა სირია საერთაშორისო ტერორიზმის — კერძოდ, „ჰეზბოლას“ მხარდაჭერაში, სადამ ჰუსეინთან თანამშრომლობასა და მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაშიც კი დაადანაშაულა.

2004 წელს სირიის წინააღმდეგ ახალი ზომები შემოიღეს. სანქციები ქვეყანას უკრძალავდა ამერიკული საქონლის შეძენას, გულისხმობდა აშშ-ში სირიული ანგარიშების გაყინვას და ავიამიმოსვლის შეწყვეტას. გამონაკლისი მხოლოდ მედიკამენტები და სურსათი იყო.

პირველი სანქციების დაწესების შემდეგ ამერიკასთან ტვირთბრუნვა მცირდებოდა, სირიელებს კი უკვე ჰქონდათ ალტერნატიული პარტნიორების მოძიების გამოცდილება. ამერიკული საქონლის უმრავლესობის ჩანაცვლება მალევე მოხერხდა, მათ შორის, ადგილობრივი წარმოების ხარჯზეც. რაც შეეხება ანგარიშების გაყინვას, მას შემდეგ, რაც 1979 წელს ამერიკულმა ბანკებმა სირიას კრედიტებზე უარი უთხრეს, სირიელებმა დაკარგეს ინტერესი ამერიკის ფინანსური დაწესებულებების მიმართ და, პრაქტიკულად, დასაყადაღებელიც აღარაფერი იყო.

ექსპერტების შეფასებით, მორიგი სანქციები ორიენტირებული იყო ამერიკელ მომხმარებელზე — მორიგი არჩევნების წინ საზოგადოება დაერწმუნებინათ, რომ ტერორიზმთან ბრძოლა კვლავ მთელი ძალით მიმდინარეობდა.

### ომის პარტია

სანქციების ნამდვილი ომი „არაბული გაზაფხულის“ მოსვლისთანავე დაიწყო. 20011-2014 წლებში აშშ-მ პერსონალური სანქციები დაუწესა სირიელ მაღალჩინოსნებს და სტრუქტურების უმრავლესობას, აკრძალეს ბევრი ნივთის ექსპორტი და რეექსპორტი, იმპორტი და სირიულ ნავთობთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები. ანალოგიური შეზღუდვები დააწესა ევროკავშირმაც.

### „არაბული გაზაფხული“ და სამოქალაქო ომი სირიაში

მორიგი სანქციების დაწესებისთვის კარგი საბაბი გახდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების სასტიკი ჩახშობა და ის, რომ ასადს ოპოზიციასთან დათმობაზე წასვლა არ უნდოდა. დასავლეთს სირიაში ხელისუფლების შეცვლაც უნდოდა და ამის მისაღწევად ყველა მიზანს გამართლებულად მიიჩნევდა, მათ შორის სამოქალაქო ომსაც, რომელიც ნებისმიერ სანქციებზე ბევრად ეფექტიანი აღმოჩნდა.

გარდა იმისა, რომ სირია ახლო აღმოსავლეთში უკვე დიდი ხნის განმავლობაში ამერიკის ანტაგონისტი იყო, იმ მომენტისთვის ის რეგიონის ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა გახდა, რომელსაც ლიდერობაზე ჰქონდა პრეტენზია. 2009 წელს სირიის ხელისუფლების შემოსავალმა 600 მლრდ სირიული ლირა შეადგინა (დაახლ. 418 მლრდ დოლარი), საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის 80%-ს შეადგენდა, ნავთობის გაყიდვით სირია დამატებით დაახლოებით 150 მლრდ ლირას იღებდა.

სირიის გავლით, გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, სპარსეთის ყურის ქვეყნებში შეიძლებოდა სამრეწველო და სასურსათო საქონლის გატანა ევროკავშირიდან, ისრაელიდან, ეგვიპტიდან და თურქეთიდან. ეს შესაძლებელი იქნებოდა მრავალზოლიანი მაგისტრალების ქსელის წყალობით, რომლებიც სირიაში შეიარაღებულ კონფლიქტამდე შეიქმნა (გზები აერთიანებდა თურქეთს, ერაყს, იორდანიას და ლიბანს). გარდა ამისა, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ირანს შეეძლოთ ნავთობისა და გაზის გადაქაჩვა სირიაზე გამავალი მილებითა და ხმელთაშუა ზღვის ტერმინალებით, მაგრამ აშშ-ს არ აწყობდა რეგიონში ასეთი ძლიერი და არამეგობრულად განწყობილი მოთამაშის გამოჩენა.

ზეწოლა სირიაზე ძლიერდებოდა. 2011-2018 წლებში ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი თითქმის ორჯერ შემცირდა და დაახლოებით 20 მლრდ დოლარი გახდა. უცხოური ვალუტის რეზერვები მცირდებოდა, საერთაშორისო საფინანსო და სხვა აქტივები მიუწვდომელი იყო. რა თქმა უნდა, სირიის ეკონომიკის პრობლემები მხოლოდ სანქციებს არ გამოუწვევია, ამას ემატებოდა ომით გამოწვეული უზარმაზარი ხარჯები და ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში არსებული ნავთობსაბადოების უმრავლესობის დაკარგვაც.

2019 წელს ამ რეგიონში შეიქმნა ბუფერული ზონა, რომელსაც ჯერ ამერიკელი და თურქი, შემდეგ კი რუსეთის ჯარები უწევდნენ პატრულირებას. ამგვარად მხარეებს თავიდან უნდა აეცილებინათ თურქი ჯარისკაცების შეტაკება ამერიკის მთავარ მოკავშირეებთან — სირიის ოპოზიციასთან (სირიის დემოკრატიული ძალები). საქმე ის გახლავთ, რომ სირიის დემოკრატიულ ძალებს, რომლის შემადგენლობაში ბევრი ქურთია, ანკარა ქურთისტანის მუშათა პარტიის ქვედანაყოფად მიიჩნევს, რომელიც თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციად არის აღიარებული. და, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პირობა დადო, რომ სირიიდან ჯარებს გაიყვანდა, შეზღუდული კონტინგენტი მაინც დატოვა იმ რაიონში, სადაც სირიის ნავთობსაბადოები მდებარეობს. ამერიკის მოქმედებების შედეგად სირიის ნავთობის მრეწველობის დანაკარგებმა 92 მლრდ დოლარი შეადგინა.

ექსპერტების თქმით, ამერიკის ხელისუფლების ორიდან ერთ-ერთი მთავარი მიზანი სირიის კონფლიქტის დროს ქვეყნის რესურსების ხელში ჩაგდება იყო. მათივე განცხადებით, ამერიკელები სირიის ნავთობმომპოვებელი საწარმოების ხელში ჩაგდებას იმით ხსნიან, რომ თითქოს ტერორისტებისგან მათი დაცვა უნდათ, სინამდვილეში, ისინი რეგიონში ნავთობზე კონტროლს და ამ რესურსების საკუთარი შეხედულებებისამებრ განკარგვას გეგმავენ. აშშ-ის პოლიტიკის მეორე მიზანი მათთვის არასასურველი ბაშარ ასადის განდევნაა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

# გახდება თუ არა რეპერი ამერიკის პრეზიდენტი?

## სამიტი – სამიტისთვის

შუალედური არჩევნების დასრულებისა და შედეგების გამოცხადების შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გულდამშვიდებული გაემგზავრა აზიაში. კამბოჯაში უშედეგოდ დასრულებული აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სამიტის შემდეგ ინდონეზია „დიდი ოცეულის“ ქვეყნების შეხვედრას მასპინძლობდა. შეგახსენებთ, G-20 მსოფლიოში ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისთვის შეიქმნა. თუმცა ბოლო წლებში G-20 პოლიტიზირებული გახდა, მონაწილეების უმრავლესობას ნაკლებად აინტერესებს ღარიბი ქვეყნები, სადაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, მოსახლეობის უმრავლესობა შიმშილობს და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა აფრიკის კონტინენტზე.

G-20 სამიტის დაწყებამდე ნათლად გამოჩნდა, რომ, ქვეყნების შეხვედრაზე რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა არ მოხდებოდა. პესიმისტური პროგნოზების საფუძველი პოლიტოლოგებს ნამდვილად ჰქონდათ. ინდონეზიაში ჩასვლაზე უარი განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. რუსეთის დელეგაციას კამბოჯის სამიტის მსგავსად, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ხელმძღვანელობდა. მსოფლიოში არსებული დაძაბული, რთული პოლიტიკური ვითარების დროს პუტინის ინდონეზიაში არჩასვლამ სამიტი დააკნინა.



სამიტის დაწყებამდე ჯო ბაიდენი არ მალავდა, რომ იგი ინდონეზიაში სწორედ სი ძინპინთან შესახვედრად გაემგზავრა. თუმცა დაბეჯითებით ვერავინ ამბობდა, შედგებოდა თუ არა ორი ლიდერის პირისპირ საუბარი, რადგან მათ ქვეყნებს შორის ურთიერთობა გამწვავებულია.

პირისპირ შეხვედრა ჯო ბაიდენსა და სი ძინპინს შორის შედგა და თითქმის სამ საათს გაგრძელდა. რაზე ისაუბრეს ორი ქვეყნის მეთაურებმა, უცნობია, რადგან მხარეები მხოლოდ ზოგადი, მოკლე კომენტარებით შემოიფარგლნენ. სავარაუდოდ, სი ძინპინი და ბაიდენი ვერანაირ შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ. G-20-ის დასრულების შემდეგ მონაწილეებს ტრადიციული ერთობლივი ფოტო არ გადაუღიათ. ამიტომაც შეაფასეს მიმომხილველებმა შეხვედრა უარყოფითად.

სამიტის მიმდინარეობისას პოლონეთის სოფელში, უკრაინის საზღვართან ახლოს ჩავარდა რაკეტა. დაიღუპა ორი პოლონელი. უკრაინის ხელისუფლებამ უმალ რუსეთს დააბრალა მომხდარი. ინციდენტის შემდეგ სიტუაცია სამყაროში უკიდურესად გამწვავდა. საჭირო გახდა ინდონეზიაში მყოფი ჯო ბაიდენის გაღვიძება. მან განაცხადა, რომ ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ რაკეტა რუსების მიერ, მით უფრო, რუსეთიდან იყო გაშვებული. გერმანიის კანცლერს ოლაფ შოლცს და საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს კომენტარი არ გაუკეთებიათ. ნატოშიც უარყვეს, რომ რაკეტა რუსებმა ისროლეს.

## ნატოსთან პროვოკაცია ჩაიშალა

რუსეთის მხარის მტკიცებით, იმ რეგიონში არანაირი სამხედრო ოპერაცია არ განუხორციელებიათ. მათ დაამტკიცეს, რომ რაკეტა მათ არ ეკუთვნოდათ. პოლონეთმა მომხდარზე გამოძიება დაიწყო. უკრაინა ითხოვდა, მოკვლევაში მათი გამომძიებლებიც ჩაერთოთ, რაზეც პოლონელებმა უარი უთხრეს და მხოლოდ დამკვირვებლებად მიიწვიეს. უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ გაეროს უშიშროების საბჭოს მოწვევა მოითხოვა. ადრე დიდ ღონისძიებებში ის დისტანციურად ერთვებოდა, ამჯერად ეს აღარ იკადრა და გაეროში მხოლოდ ვიდეოჩანაწერი გააგზავნა. ინციდენტის შემდეგ ექსპერტებმა უკრაინა პირდაპირ დაადანაშაულეს პროვოკაციაში. მათი შეფასებით, ზელენსკიმ სცადა ნატოს ჩათრევა შეიარაღებულ კონფლიქტში, რაც მსოფლიო ომში გადაიზრდებოდა. უკრაინელებმა პროვოკაციის განხორციელება ვერ შეძლეს.

## ჯონსონის სკანდალური აღიარება

სენსაციური აღმოჩნდა ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის მიერ CNN-ისთვის მიცემული ფასიანი ინტერვიუ. მან, ფაქტობრივად, აღიარა, რომ უკრაინელები საბრძოლო მოქმედებებისკენ მან წააქეზა. ჯონსონის თქმით, გერ-



მანელებს საერთოდ არ უნდოდათ ომი. მისივე განცხადებით, გერმანიას მიაჩნდა, რომ უკრაინა ომის დაწყებისთანავე რომ დანებებულიყო, კარგი გამოსავალი იქნებოდა და ევროპის ეკონომიკასაც წაადგებოდა. „რატომ ფიქრობს (მხედველობაში ჰყავდა შოლცი) ასე, არ ვიცი“, — თქვა ჯონსონმა. იმავე ინტერვიუში მან აღიარა, რომ სტამბოლში რუსეთ-უკრაინის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე პირადად მან ჩაშალა. ექსპერტების შეფასებით, ანგლოსაქსებმა, ფაქტობრივად, ევროპის ეკონომიკაზე განახორციელეს შეტევა და გაიმარჯვეს. უკრაინის მოსახლეობასთან ერთად ომის მსხვერპლი ევროპელებიც არიან.

## მოლაპარაკებების გარეშე უკრაინის სახელმწიფო აღარ იარსებებს

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ ჟურნალისტებს პირდაპირ უთხრა: „...ზელენსკის არაფერი უჭირს, კარგად არის, დაპურებულია. რატომ არის ომი მისი ქვეყნის ტერიტორიაზე, ამაზე აქვს პასუხი გასაცემი. ზელენსკი თუ მოლაპარაკებაზე არ წავა, უკრაინის სახელმწიფო აღარ იარსებებს“.

ვითარება უკრაინაში მძიმეა. ბრძოლის ველზე მიღწეული ეპიზოდური წარმატებების შემდეგ ახლა პოზიციების დათმობა უხდებათ. აშშ-მ ახალი, 400-მილიონიანი დახმარების პაკეტი გამოყო უკრაინის შეიარაღებისთვის. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის, ლოიდ ოსტინის თქმით, „...ვიცით, რა მდგომარეობაში იმყოფება უკრაინა, მაგრამ ჩვენ ერთად გავუძლებთ, შეიარაღებით კვლავ დავეხმარებით“. მინისტრის ოპტიმიზმს არ იზიარებენ სამხედრო ექსპერტები. მათი შეფასებით, ევროპის ქვეყნებს თავად შეექმნათ შეიარაღების კუთხით დეფიციტი. ამიტომაც მომჭირნეობენ და ადრინდელივით ხელგაშლილად აღარ აწვდიან შეიარაღებას უკრაინელებს.

პოლიტიკურადაც უცნაური ვითარება შეიქმნა უკრაინაში. შეფარულად უკვე საუბრობენ პრეზიდენტის ჩანაცვლებაზე. ზელენსკის ადმინისტრაციის უფროსი ჩვენს მიმართ არაკეთილგანწყობილი არესტოვიჩი აპირებს პრეზიდენტის პოსტის დაკავებას. ის ადგილობრივი ტელევიზიის ჟურნალისტს ლოგინში ესაუბრა.





მართალია, საწოლში ორივე ჩაცმულები იყვნენ, მაგრამ გაურკვეველია, რატომ იწვნენ ლოგინში სასაუბროდ. არისტოვიჩი პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში ლგბტ თემის გაფეტიშებას ჰპირდება საზოგადოებას და არ უარყოფს, რომ თავადაც გეია.

„...ჩემთვის ნებისმიერ არასასურველ ადამიანს უყოყმანოდ დავახლი ტყვიას“, — განაცხადა არესტოვიჩმა. ამის გარდა, უკრაინის ხელისუფლებამ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშნა გერმანიაში უკრაინის ყოფილი ელჩი, ვინმე მელნიკი. პიროვნება, რომელმაც ოლაფ შოლცი „ლივერის (გულ-ღვიძლის) ძეხვად“ მოიხსენია. საერთოდაც, მელნიკს სხვა არაკორექტული გამონათქვამებისთვისაც დაატოვებინეს ელჩის თანამდებობა. საკადრო ცვლილებამ უკრაინის ერთგული გულშემატკივარი, პოლონეთის ხელისუფლებაც გააოცა.

მწვავე ენერგეტიკული კრიზისის გამო კიევის მერი ვიტალი კლიჩკო მოსახლეობას მოუწოდებს, ვისაც სადმე წასასვლელი აქვს, დატოვოს ქალაქი. თუმცა ამას ევაკუაციას არ უწოდებს. ამასობაში ზელენსკი მოკავშირე ქვეყნებს უკვე კი აღარ სთხოვს, არამედ კატეგორიულად მოითხოვს მათგან ფინანსებს და შეიარაღებას, რითიც უკვე გააღიზიანა ევროპელი და ამერიკელი მხარდამჭერები.

## უკრაინელები მართლმადიდებლობის აკრძალვას აპირებენ

ტრადიციულად, უკრაინა მართლმადიდებლურ ქვეყნად მიიჩნევა. თუმცა ეკლესიაზე შეტევა „მაიდანის“ მოვლენების შემდეგ ჩვეულებრივ ამბად იქცა. ჯერ ყოფილმა პრეზიდენტმა პოროშენკომ ორად გახლიჩა ეკლესია, რაც დღემდე გრძელდება. გასულ კვირას კი უკრაინის უშიშროების სამსახურმა ჩხრეკა მოაწყო კიევის პეჩორის ლავრაში, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთი წმინდა ადგილია. მიზეზს მნიშვნელობა არა აქვს, თავად ფაქტია საგანგაშო. უფრო შორს წავიდნენ რადაში, სადაც დეპუტატების ნაწილი გამოვიდა ინიციატივით — უკრაინაში გაუქმდეს კანონიკური მართლმადიდებლური ეკლესია! ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინაში, მაგრამ საქართველოში ყურადღებით უნდა ვიყოთ, რათა აქაც არავის მოუვიდეს თავში მსგავსი იდეა!

## სავაჭრო ომი ამერიკასა და ევროპას შორის

ურთიერთობა იძაბება აშშ-სა და ევროპის ქვეყნებს შორის. მიზეზი ეკონომიკური კრიზისია. აშშ ცდილობს, „ბებერი ქალბატონის“ კონტიტენტიდან გადაქაჩოს საწარმოები, რადგან ამერიკაში ენერგომატარებლები შედარებით იაფია. გამოცემა „პოლიტიკო“ გასულ კვირას წერდა: „...ევროპა მზად არის აშშ-სთან სავაჭრო ომისთვის, რათა კონტინენტი სამრეწველო უდაბნოდ არ გადაიქცეს“. ვნახოთ, თუ შეძლებს ევროპა საკუთარი მრეწველობის გადარჩენას.

## გაწბილებული ბაიდენი

აშშ-ში პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი გამოჩნდა — რეპერი-მილიარდერი კანიე უესტი, რომელმაც გამარჯვების შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტის პოსტი შესთავაზა დონალდ ტრამპს... მოქმედმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გასულ კვირას მადლიერების დღე აღნიშნა. დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით შეიწყალა ორი ინდაური. ერთ-ერთთან გასაუბრებაც სცადა, მაგრამ ფრინველმა არ უპასუხა... ჯო ბაიდენი, თავის მხრივ, ინდაურს თბილად მოეფერა, აკოცა კიდეც...

* * *

გასულ კვირას სომხეთის დედაქალაქი ერევანი კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის სამიტს მასპინძლობდა. დაფიქსირდა საინტერესო ფაქტი: მასპინძელმა, პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა ორ დოკუმენტს ხელი არ მოაწერა. თუმცა, ორგანიზაციის „შეფს“, ვლადიმირ პუტინს პომპეზურად დახვდა, აეროპორტიდან და უკანაც მისი მანქანით იმგზავრა... რა გაგრძელება მოჰყვება ყოველივეს, გამოჩნდება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ᲕᲐᲜᲝᲡ ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ: ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲪᲘᲮᲔᲨᲘ, ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ – „ᲜᲐᲪᲛᲝᲡ“ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ!

## „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ – ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲓᲐᲐ



***გვესაუბრება პოლიტოლოგი, მეცნიერი პეტრე მამრაძე:***

**— ბატონო პეტრე, ხაბეიშვილმა პოლიტიკური წარღვნა დააანონსა, რაც მართლაც მოხდა, ოღონდ, „ნაცმოძრაობაში“. რამ არია ნაცებში მონასტერი?**

— ეს ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მოხდა. შეგახსენებთ, 2020 წელს სააკაშვილი საქართველოდან შვიდი წლის წასული იყო, მაგრამ მაინც „ნაცმოძრაობის“ ერთპიროვნულ ლიდერად დარჩა და მისი ბრძანებები უსიტყვოდ სრულდებოდა. საპარლამენტო არჩევნებში მან „ნაცმოძრაობის“ პირველ ნომრად ბუბა კიკაბიძის კანდიდატურა დააყენა. მიუხედავად ამისა, პარლამენტში 36 ადგილი მოიპოვა. ამომრჩეველმა ხმა პირადად მიშას მისცა. დანარჩენ ოპოზიციას ერთად აღებულს მხოლოდ 24 ადგილი ერგო. 2016 წელს „ნაცმოძრაობას“ გამოყოფილმა ბოკერიამ 28 მოპოვებული ადგილიდან 22 კაცი თავის პარტიაში წაიყვანა, ექვსი კი გოცირიძესთან დარჩა. მიუხედავად ამისა, ბოკერია 2020 წელს არჩევნებში ჩაფლავდა და მხოლოდ შვიდი ადგილი აიღო. ანუ, სააკაშვილის მიერ მოპოვებულ ხმებზე (36 ადგილი) ხუთჯერ ნაკლები. ამის მერე მიშამ ნაცებს პარლამენტის სრული ბოიკოტი და ხელისუფლების სწრაფად დასრულება მოსთხოვა. ამ მეთოდმა არ გაამართლა — დასავლეთმა მხარი არ დაუჭირა მოსაზრებას, თითქოს არჩევნები გაყალბდა. შემდეგ გრიგოლ ვაშაძემ პარტიის თავმჯდომარის პოსტი დატოვა. ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა ვაშაძე სააკაშვილის ნების წინააღმდეგ წავიდა. ამის მერე მოვლენები კიდევ უფრო დრამატულად განვითარდა — სააკაშვილმა პარტიის თავმჯდომარედ ლევან ვაშალომიძის დანიშვნა მოინდომა, მაგრამ ჰოი, საოცრებავ — პარტია მას პირველად აუჯანყდა და მიშას ჯინაზე თავმჯდომარედ მელია აირჩიეს. ვინც სააკაშვილს კარგად იცნობს, დამეთანხმება — ეს მისთვის საშინელი დარტყმა იყო. მსგავს რამეს სააკაშვილი ვერ ითმენს. შემდგომ, უარესი მოხდა — მელიას დაპატიმრება უცხოეთის, თითქმის, ყველა წამყვანმა ტელევიზიამ აჩვენა: „სი-ენ-ენ“-მა, „ბი-ბი-სი“-მ, „ევრონიუსმა“ და სხვებმა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მის მიერ შექმნილი პარტიის წარმომადგენელმა, თანაც მის ჯინაზე თავმჯდომარედ არჩეულმა მელიამ, საერთაშორისო მასმედიაში სააკაშვილი დაჯაბნა. რთული დასაჯერებელია, მაგრამ **ᲕᲘᲜᲪ ᲛᲘᲨᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ, ᲓᲐᲛᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ — ᲛᲐᲡ ᲔᲠᲩᲘᲕᲜᲐ, ᲤᲔᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲔᲙᲘᲓᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲨ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲨᲔᲔᲜᲗᲝᲗ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲖᲔ ᲛᲔᲚᲘᲐᲡ „ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ“ ᲛᲝᲔᲗᲛᲘᲜᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲟᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ.** მიაქციეთ ყურადღება, რა თქვა ამ პერიოდში ღარიბაშვილმა პირდაპირ ეთერში: **ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲝ. ᲓᲘᲐᲮ, ᲐᲡᲔ ᲘᲫᲘᲐ ᲨᲣᲠᲘ ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ, ᲘᲒᲘ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲘᲯᲓᲐ.**



ახლა გადავხედოთ, როგორ იქცეოდა სასამართლო პროცესებზე სააკაშვილი — პირდაპირი გაგებით, ბოდავდა: აქ რა მინდა, დროს მაკარგინებთ, რეგიონული ლიდერი ვარ, თქვენთვის სად მცალია და ა.შ.

თუნდაც ეს განცხადება რად ღირს: „ქართულმა ოცნებამ“ ძალლი გაწვრთნა და საკნის ფანჯრიდან ხალხს რომ მივმართავ, ისიც ყეფას იწყებს. ხმას რომ ავუწევ, ძაღლიც ყეფას უმატებსო. სწორედ იმ პერიოდში, **ᲛᲘᲨᲐᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲛᲐ ᲔᲥᲘᲛᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔᲛ ᲗᲥᲕᲐ: ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲘᲪ ᲓᲐ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲪᲝ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑ: ᲛᲘᲨᲐᲡ ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲮᲐᲜ ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ, ᲮᲐᲜ — ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲗᲐᲜ.** თემურ ალასანია მეგობრებთან ხშირად აღნიშნავდა: რა მოვუხერხო ჩემს გიჟ დისშვილსო. ამ ფონზე სამადაშვილის სატელეფონო საუბარი, სადაც მიშას უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს, გასაკვირი არაა. თავის დროზე, მიშა ამ ნამუსგარეცხილი ადამიანებისთვის, რომლებიც მას ზურგსუკან აგინებდნენ, კეთილდღეობის წყარო იყო. მისი წყალობით მილიონერები ხდებოდნენ და პარლამენტშიც თბილ სავარძლებს იკავებდნენ. ზურგს უკან ყველა გიჟს ეძახდა, მაგრამ ღიად ამ თემაზე არავინ საუბრობდა. „ნაცმოძრაობაში“ მხოლოდ სააკაშვილი გახლდათ საერთაშორისო ფიგურა, ვისაც დასავლეთში ანგარიშს უწევდნენ. იგი აკონტროლებდა ფულს და ტელევიზიებს არამარტო პრეზიდენტობის, არამედ შემდგომ პერიოდშიც. ახლა სააკაშვილის ფაქტორს საყრდენი გამოეცალა და ნაცებმა ფიქრი დაიწყეს: რა მოიმოქმედონ, რომ არ ჩაიძირონ. ნაცების ერთი ნაწილი მილიონერები არიან, მეორე — ეკრანზე აღარც ჩანს, რადგან ქონება დააგროვა, რომელსაც არავინ ართმევს, მშვენივრად ცხოვრობს და თავის ატკივება აღარ უნდა. დღეს გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც ფინანსებს და ტელევიზიებს ერთპიროვნულად წარუძღვება, არ ჩანს. ამიტომ სახეზეა დაპირისპირება, რამაც უკვე საჯარო სივრცეში გადაინაცვლა.

**— ანუ, სააკაშვილის პარტია ფულს, ძალაუფლებას, გავლენებს ვერ იყოფს, თუ რისთვის მიდის ბრძოლა?**

— **„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲔᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲑᲐᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲗ.** შესაბამისად, ამ ბანდის შიგნით სუფევდა ზიზღი, ძალადობა, ტყუილი, ერთმანეთის მიმართ ანგარიშსწორებაც და ა.შ. ახლა მიშას სახით შემაკავებელი ფაქტორი აღარ არსებობს — ბრძოლა პოლიტიკური არსებობისთვის, პოზიციების შენარჩუნებისთვის მიდის. **ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ“ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ. ᲜᲐᲪᲔᲑᲡ ᲣᲐᲠᲔᲡᲘ ᲩᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲐ ᲔᲚᲘᲗ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲔᲡ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲛ ᲘᲬᲕᲜᲘᲐ.** ბანდის თავმჯდომარეობა ხაბეიშვილმა მოინდომა, რომელსაც, როგორც ამბობენ, თურმე კეზერაშვილი უჭერს მხარს. ვიცი ის, რომ კეზერაშვილის სახელზე უცხოეთში დიდი ფული ინახება. სააკაშვილმა, როცა კეზერაშვილი დააკავეს, საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს მისწერა: კეზერაშვილი „ნაცმოძრაობის“ ძირითადი სპონსორია და გაათავისუფლეო.

**— ბატონო პეტრე, ვისია ეს ფული — მხოლოდ კეზერაშვილის თუ „ნაცმოძრაობის“? ვინ იქნება ნაძარცვი აქტივების განმკარგავი?**

— კეზერაშვილი არ გახლავთ მაღალი ინტელექტის ადამიანი, თუმცა, ტაქტიკური უნარ-ჩვევები ნამდვილად აქვს. მეორე მხრივ, გვესმის მოსაზრებები, რომ ვანო მერაბიშვილი გააქტიურდა და ხაბეიშვილის თავმჯდომარედ გაყვანა სურს. მას ძალიან კარგად ვიცნობ, ამიტომ ერთს ვიტყვი: მერაბიშვილმა მხოლოდ ერთადერთი კრიტერიუმით შეიძლება ვინმე შეარჩიოს — ეს პიროვნება მის მიერ უნდა გაკონტროლდეს. დიახ, მერაბიშვილს სჭირდება ადამიანი, რომელსაც ბოლომდე გააკონტროლებს და იგი ამის შესაბამის ბერკეტებსაც ფლობს. გავიხსენოთ, სად იყვნენ კახა ოქრიაშვილი და ცეზარ ჩოჩელი „ქართული ოცნების“ გამარჯვების მერე? — ოქრიაშვილი მმართველი პარტიის დეპუტატიც კი გახლდათ. მაგრამ მერე რა მოხდა? — მერაბიშვილი ციხიდან გამოვიდა და ორივე მიიხმო. მათაც მიირბინეს, ერთად სურათიც კი გადაიღეს. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მულტიმილიონერია, მერაბიშვილის დაძახილზე მასთან მივიდნენ. უცებ ოქრიაშვილი და ჩოჩელი ისევ „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები გახდნენ. სამაგიეროდ, პოლიტიკური თვალსაზრისით, მერაბიშვილი „ნაცმოძრაობის“ მესაფლავეა. მან 2012 წელს შეცდომების კასკადი დაუშვა, რამაც იმ პერიოდში „ნაცმოძრაობის“ გაკოტრებას შეუწყო ხელი, ყველაფერი ეს კი ციხის წამების კადრებით დაგვირგვინდა. ციხეში არსებული ვითარებაც მერაბიშვილს უკავშირდება. ასევე, გვახსოვს „ქართუ ბანკის“ მანქანის ძარცვა, მისი გაკოტრების მცდელობა, ანტენების „დაპატიმრება“ და ა.შ. ახლა, რაც შეეხება ხაბეიშვილს, მას პოლიტიკური ალღო არ აქვს. ყველა ვხედავთ, იგი რასაც წარმოადგენს. თავმჯდომარეობის მეორე კანდიდატმა გიორგი მუმლაძემ განაცხადა: ჩვენი პარტიის მიზანია, სააკაშვილი ციხიდან გამოვიყვანოთო. ეს რისთვის სჭირდებათ? ამას ერთადერთი ახსნა აქვს — იქნებ, სააკაშვილის ელექტორატის ნაწილი მაინც გადმოიბირონ. თუმცა, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ელექტორატის დიდი ნაწილი მიშამ უკვე დაკარგა. დავუბრუნდეთ, პოლიტიკაში კეზერაშვილის გააქტიურებას. გავიხსენოთ მისი სატელეფონო საუბრები ნარკომან მეგობრებთან, ანუ, თავადაც ნარკომანი ნარკოტიკების შეძენასა და მოხმარებაზე ლაპარაკობს. ასე რომ, იგი არანაირი პოლიტიკური ფიგურა არ გახლავთ. არ მგონია, კეზერაშვილი ამ ფულს ერთპიროვნულად განკარგავდეს. ეს უფრო ნაცების „ობშიაკია“.

**— რა წარმომავლობისაა კეზერაშვილის კაპიტალი?**

— მე ვიცი, რომ კეზერაშვილს საკუთარი ინიციატივით არას-



დროს არავინ გაუძარცვავს. ამას არც ადეიშვილი მოუთმენდა და არც მერაბიშვილი. კეზერაშვილი მხოლოდ სააკაშვილის ბრძანებებს ასრულებდა. იგი მოლარე გახლდათ. კეზერაშვილი რა თანამდებობაზეც უნდა დანიშნულიყო, იგივეს აკეთებდა, რასაც საფინანსო პოლიციის უფროსობის პერიოდში — კერძოდ, მანამდე დამოუკიდებელი ბიზნესმენების ბიზნესების ათვისება ხდებოდა. სქემა მარტივი იყო: ვთქვათ, რაღაც მომგებიანი ბიზნესი გამოჩნდა (საგადასახადო სამსახურში ხომ ყველაფერი ჩანს — ვის რამდენი შემოსავალი აქვს), თავად ქმნიდნენ იმავე წესდების ფირმას, მერე ამ ადამიანებს იბარებდნენ და წილებს ართმევდნენ. ანუ, ერთსა და იმავე ნოტარიუსთან ბიზნესების „გადაწერა“ ხდებოდა. შედეგად, მალევე საქართველოში არცერთი დამოუკიდებელი ბიზნესმენი აღარ დარჩა. ბიზნესმენები, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარ ბიზნესში მენეჯერებად დატოვეს. ამის დადასტურებაა ისიც, რომ საქართველოში რეფინანსირება აღარ მომხდარა. ფირმები გადასახადს ბოლომდე იხდიდნენ, ხოლო დანარჩენი თანხა ნაცების „ობშიაკში“ მიდიოდა. შემდეგ, კეზერაშვილი თავდაცვის მინისტრობიდან რომ გადააყენეს, ვაკეში „პიქსელის“ შენობაში იმყოფებოდა. მისი ოფისი, იცით, რით იყო ცნობილი? — მასთან ყოველდღე ბიზნესმენების უწყვეტი ნაკადი მიედინებოდაა. ისინი ანგარიშს აბარებდნენ და მათი თანხები ნაცების „ობშიაკში“ მიედინებოდა. ნამდვილად არ ვიცი, ყველაფერი მხოლოდ კეზერაშვილთან იყრიდა თავს თუ სხვაგანაც. ალბათ, სხვაგანაც, რადგან ვფიქრობ, ყველა კვერცხს ერთ კალათაში არ ჩადებდნენ. ამ თანხებს კი არ ამწნილებენ, არამედ ფულს ფული მოაქვს. ფაქტია, რომ მილიარდებია წაღებული. ფაქტია ისიც, რომ იმ პერიოდში საქართველოს საგარეო ვალი 3 მილიარდიდან 13,5 მილიარდამდე გაიზარდა. ნაცები 500-მილიონიან კრედიტებს იღებდნენ, მანამდე ლონდონის ბირჟაზე აქციები განათავსეს და ა.შ. პარლამენტისთვის ოფიციალურად 600 მილიონ დოლარზე მეტი იყო გადარიცხული. აქედან თანხის ნახევარიც არ ათვისებულა. ვინმე დაინტერესდა, თანხის ნახევარი სად გაქრა?! თემურ ალასანია სატელეფონო საუბარში მიშას ეუბნებოდა: ჩამოდი, ტრამპის გვერდით კოტეჯები იყიდება და შეათვალიერეო. მერე, თავის დას — გიულის ურეკავს და ილანძღება: სანდრა მოეთრა და ყველაზე კარგი კოტეჯის გასაღებს მთხოვსო. ამას ხომ ფული სჭირდება!

**— თუ ნაცების პარტიაში დატრიალებული ორომტრიალის უკან კეზერაშვილი დგას, რა ღირებულებებს შეიძლება ხედავდეს ხაბეიშვილში?**

— გამორიცხულია, კეზერაშვილი ხაბეიშვილში რამე ღირებულს ხედავდეს. ეს კეზერაშვილის ინტელექტს და ინტერესს მოწყვეტილია. აი, მერაბიშვილი კი შეიძლება ხაბეიშვილში ხედავდეს ადამიანს, რომელიც მას ყოველთვის დაემორჩილება და რასაც ეტყვის, იმას გააკეთებს. ზოგადად ნაცბანდას საერთო დანაშაული აერთიანებს. მისი პოლიტიკური მომავალი განწირულია.

**— ოპოზიცია ამბობს: ხელისუფლების რღვევა ქუჩიდან უნდა დაიწყოსო. დღეს რადიკალიზმზე მოთხოვნა არის?**

— მათ მშვენივრად ესმით, რომ რადიკალიზმზე მოთხოვნა არ არის, უბრალოდ, არ იციან, სხვა რა თქვან. 2020 წლის არჩევნების შემდეგ ორი წელი გავიდა და მათ კარგად იციან: რა ჯდება ასეთ პირობებში რეგიონებიდან ხალხის ჩამოყვანა ან თუნდაც, თბილისელების ქუჩაში გამოყვანა, მერე საათების განმავლობაში მათი მიტინგზე გაჩერება. რამდენი მიტინგი ჩაატარეს და დაშალეს. მერე რას მიაღწიეს ამით? რევოლუციას ვეღარ მოაწყობენ. ამბობდნენ: სექტემბრიდან საყოველთაო დაუმორჩილებლობას ვიწყებთო და თავად ხედავთ, რეალურად რაც ხდება. გაიძახიან: გავიმარჯვებთ, ეს ნამდვილი წარღვნა იქნებაო. რეალურად, ეს პოლიტიკის ნაცვლად, კლოუნების თეატრია.

**— ბატონო პეტრე, რას იტყვით იმის თაობაზე, რომ სააკაშვილის ორგანიზმში მძიმე მეტალები აღმოაჩინეს?**

— სააკაშვილი ამ განცხადებას გაემიჯნა. მიზანი მისი ციხიდან გამოყვანაა. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: სააკაშვილი დაბადებიდან პირველადი ფსიქოპათია. შესაბამისად, მისთვის სრულიად შეუთავსებელია ასეთ შემოსაზღვრულ სივრცეში, თუნდაც საავადმყოფოში ყოფნა. ციხეში უარესად იქნებოდა. მას შეიძლება მართლაც დაემართოს დეპრესია, რაც იმუნიტეტის მოშლას ან სხვა დაავადებებს გამოიწვევს. განა ეს საფუძველია, რომ ასეთი დამნაშავე ციხიდან გამოუშვა?! ასე ხომ ნებისმიერი დაიბრალებს: ციხისთვის შექმნილი არ ვარო. მანდელშტამი რომ დააპატიმრეს, ციხის კედელს თავს ურტყამდა და ყვიროდა: გამიშვით, მე ციხისთვის შექმნილი არ ვარო. იგი გენიოსი იყო. მიშა ფსიქოპათია. **ციხეში მიშას შიმშილობის ამბავი თავიდან ბოლომდე ფეიკია, რადგან დანამდვილებით ვიცი, რომ ჩიტის რძეს არ აკლებენ.** უბრალოდ, ვერ ეგუება, რომ ციხეშია. ეგოისტი და ეგოცენტრულია. ფსიქოპათის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, რომ სულ ტყუის. ამიტომ პრეზიდენტობის დროს ხშირად ამბობდა: ასობით სამუშაო ადგილი შევქმენიო და ამ დროს კონკრეტულ ობიექტებზე მხოლოდ 4-6 ადამიანი იყო დასაქმებული. დიახ, სააკაშვილის პირად ექიმს ნიკოლოზ ყიფშიძეს უნდა დავეთანხმოთ: მას ფსიქოლოგი და ფსიქიატრი სჭირდება. რაც შეეხება ჯიშკარიანებს და სხვებს, მინდა გითხრათ, რომ მიშას ბავშვობის პერიოდიდან ოჯახის ახლობელი ექიმები მკურნალობდნენ. მათ შესანიშნავად იციან, ზოგს ჩემთვისაც მოუყოლია, თუ რა სჭირდა მას ბავშვობიდან. ეს ადამიანები ოჯახის წევრებივით არიან და მის საქმეში ახლაც ფიგურირებენ. ამიტომ მათგან ობიექტური მიდგომა გამორიცხულია. ზოგმა პირდაპირ თქვა: ეს წმინდა ფსიქიკური მდგომარეობაა, სხვა არაფერიო. ნიკოლოზ ყიფშიძე საერთოდ გაერიდა ამ სიტუაციას. სხვა რა გითხრათ, ყველაფერი ნათელია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ამერიკა და რუსეთი მალე ჩინეთს დარჩება?!

← 5 გვ.

სუფლების იუველირულად გათვლილი და ზუსტი მოქმედებები 24 თებერვლიდან დღემდე. დიახ, სწორედ პოლიტიკურ ნაგავს — „ნაცმოძრაობას“ და მის მომხრე გარე ძალებს უნდოდათ საქართველოს ომში ჩართვა. საბედნიეროდ, ხელისუფლებამ, ღარიბაშვილის მეთაურობით, შეუძლებელი შეძლო და დღეს ქვეყანაში არა მარტო მშვიდობაა, არამედ ეკონომიკური აღმავლობაც.

**— ისე დაახასიათეთ ხაბეიშვილი, მგონი, ზედგამოჭრილი კანდიდატურაა?**

— კი, ასეა. „ნაცმოძრაობამ“ მის შესაფერის კანდიდატს მიაგნო. ხაბეიშვილს მელიას ვერც შევადარებ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მელიას 10-15 წიგნი მაინც აქვს წაკითხული, ხოლო ხაბეიშვილს, დარწმუნებული ვარ, ცხოვრების მანძილზე გაზეთიც კი არ წაუკითხავს. იგი კუნთებზე იყურება. რა პოლიტიკოსიცაა, მის სახეზეა ასახული — კვირაში ერთი-ორჯერ კარგად ნაცემ-ნაბეგვია. ტყუილად არავის ცემენ. „ნაცმოძრაობაში“ იმდენი ოდიოზური ფიგურაა შეკრებილი, სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია — მათი მეთაური სწორედაც ხაბეიშვილი უნდა იყოს.

**— მერაბიშვილის გააქტიურება რით არის განპირობებული?**



— **ფულით, რა თქმა უნდა. ვინმეს ჰგონია, რომ მერაბიშვილები, ცისკარიშვილები, ბარამიძეები, ან უკრაინაში მყოფი ნაცბანდა იქ უკრაინელების დასახმარებლად დადიან?! არა, ბატონო, უკრაინაში ბიზნესები აქვთ. მათ ბიზნესს საფრთხე რომ დაემუქრა, იმიტომაც იყვნენ იქ ჩასულები.** კეზერაშვილსაც და მერაბიშვილსაც ძალაუფლების სიყვარული და ფული აერთიანებთ. კიდევ ერთ რამეზე არიან ჩასაფრებულნი: უკრაინაში დღეს-ხვალ ომი დასრულდება და დასავლეთიდან თანხები წამოვა. გახსოვთ, ჩვენთან გეტოებში რომ ჩაასახლეს ხალხი, რამდენი ფული ჩაიდეს ჯიბეში. ამ ყველაფერში მერაბიშვილს დიდი გამოცდილება აქვს. ომის პერიოდში ფულის შოვნაში არანაკლები გამოცდილება აქვს კეზერაშვილს. ახლა ეს ორი თაღლითი, კრიმინალი შეიკრიბა, რომელთაც უნდათ, აქ დიდძალი ფულის მეშვეობით გადატრიალება მოახდინონ, მაგრამ ვერ ეღირსებიან. ამისთვის პოლიტიკური ძალა და მის სათავეში ისეთი მონა-მორჩილი პირი სჭირდებათ, როგორიც კუნთებმაგარი, მაგრამ გონებასუსტი ხაბეიშვილია.

**— მერაბიშვილი ხომ ყველა დანაშაულის სულისჩამდგმელია. რა გამოდის, პარტია ღიად უბრუნდება ჩვეულ სტილს?**

— დიახ, ქვეყანაში ისევ იმ უბედურებების დატრიალება სურთ. ისინი მარტო როდი მოქმედებენ. მათ უკან დასავლეთში არსებული უბნელესი ძალები დგანან, რომელთაც ნაცები 9 წლის მანძილზე ხელისუფლებაში აბოგინეს და კოლექტიურ სააკაშვილს და მერაბიშვილს „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდნენ. აი, რაზე არიან გადართული დღევანდელი დასავლეთის უბნელესი ძალები, ევროკავშირში არსებული ლობისტი, მექრთამე ევროდეპუტატები. დღეს ნაცები ხალხის ნულოვანი მხარდაჭერით სარგებლობენ. ქართველი ხალხისგან, სახელმწიფოსგან მათ მიმართ დანდობა არ იქნება. თუ ზღვარს გადავლენ და იმას გააკეთებენ, რაც საქართველოში ორჯერ უკვე ვიხილეთ — 1991-92 წლების მიჯნაზე და 2003 წელს, ქართველი ხალხი სათანადო პასუხს გასცემს.

**— ამ პროცესში სად არის სააკაშვილი?**

— სააკაშვილი თავს იმკვდარუნებს. **დასავლეთის უბნელეს ძალებს სააკაშვილის გაცოცხლება, ქვეყნიდან გაყვანა, მისი „შეიარაღება“ უნდათ. ითხოვენ, სააკაშვილი ვითომ სამკურნალოდ, საქართველოდან გაიყვანონ. არადა სააკაშვილი სამკურნალო არ არის.** კომიკური სიტუაცია შეიქმნა. ადვოკატი ამბობს: მიშა მოწამლულიაო. სააკაშვილი ამბობს: მოწამლული არ ვარო. ორივე ადვოკატი — გელბახიანი და ხაჭაპურიძე უხერხულ სიტუაციაში აღმოჩდნენ. მერე სააკაშვილის დედას დააბრალეს, პოსტი მან დაწერაო. სახელმწიფომ ექსპერტიზის ჩატარება შესთავაზა და უარი განაცხადეს. სააკაშვილმა იცის, რაც მოელის — ექსპერტიზა რეალურ დასკვნას დადებს. **სააკაშვილი საავადმყოფოში ფერმის ბულასავით არის და ამის გამოაშკარავება არ სურთ.** ნახეთ, როგორ დაიწყო საქართველოს პრეზიდენტმა ჭიკჭიკი, რაც შემთხვევითი არ არის. მან დასავლეთში ვიზიტის შემდეგ თქვა: სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოსო. სად გაქრა პათოსი — არა და არასოდეს! ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები მიდის. ეს უბნელესი ძალები მოწადინებულნი არიან, სააკაშვილი საქართველოდან გაიყვანონ და მოაცოცხლონ. მათ კვლავ არეულობა, გადატრიალება, ქვეყნის დაქცევა უნდათ. სალომე ზურაბიშვილმა და აქ მოქმედმა მეხუთე კოლონამ, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული, სჯობს გონს მოუხმონ, თორემ ქართველი ხალხი მათ საკადრის პასუხს გასცემს. ხალხი თუ განრისხდა, მისი შეჩერება ძნელია. მიშას შეეძლო, ადამიანურად მოქცეულიყო — ხომ დაამთავრა პრეზიდენტობის ვადა, წავიდა, მაგრამ უკრაინაში მეხუთე კოლონის საყრდენი ცენტრები შექმნა და იქიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნგრევა დაიწყო. ასევე, შემოგზავნა რეზიდენტები, ვისაც ჩვენი ქვეყნის დაქცევა სურთ. ასე რომ, სააკაშვილი მხოლოდ ერთ რამეს — სასჯელის ბოლომდე მოხდას იმსახურებს. ზურაბიშვილი მიშას ვერ შეიწყალებს, რადგან საქმეებზე ძიება დასრულებული არ არის და განაჩენი ბოლომდე ჯერ არ გამოტანილა. ამიტომ გაჰყვირიან: ძიება სასწრაფოდ დასრულდესო. ერთი სიტყვით: მეფე შიშველია! სააკაშვილი, მისი ე.წ. ადვოკატები და თანამეინახენი ვერავის ვერაფერს მოატყუებენ.

**— ჯიშკარიანმა, მიშას თმის ღერში საშიში მეტალები აღმოჩნდა, რაც სასჯელის გადავადების კი არა, მისგან გათავისუფლების პირობაცაააო.**

— ასეთი ჯიშკარიანები, ჩემო ბატონო, ვაგონებით არის ჩამომდგარი დასავლეთიდან და იმ ძალებისგან, რომელთაც ამ ქვეყნის აოხრება სურთ. ჯიშკარიანი, ეტყობა, კარგი გამაზულია, მოღონიერებულია და ამიტომ ლაპარაკობს ასეთ სისულელეებს. ხალხი სახელმწიფო ექსპერტიზას ენდობა. ვიმეორებ, სააკაშვილს არაფერი სჭირს — იგი პრეზიდენტობის დროს მიშა-ჩაკეტილად იქცა და დღესაც ჩაკეტილშია მოქცეული.

**— მიშას შეწყალებასთან ერთად აქტუალურია გვარამიას გათავისუფლების მოთხოვნაც, რაც დასავლეთიდან მოდის. რა მოსაზრება გაქვთ ამ ყველაფერზე?**

— მოდით, კითხვა დავსვათ: დასავლეთი ახლა რომ ითხოვს გვარამიას შეწყალებას, რატომ მაშინ არ ამოიღეს ხმა, როცა მან მთვარისა ნავერიანი სახალხოდ სცემა?! ეს არავის გაუპროტესტებია. ასევე, რატომ არავინ ლაპარაკობს იმაზე, როგორი უშვერი სიტყვებით ლანძღა, აბუჩინგა მან საქართველოს პრეზიდენტი?! თანაც, გვარამია დაგვპირდა: თქვენს სისხლს დავლევო. ეს თქვა, სისხლისფერი ნაყენი პირზე მიიყუდა და ნება-ნება დალია. ამ ყველაფრის მერე რა ვუწოდოთ იმ ხალხს, ვინც გვარამიას გათავისუფლებას ითხოვს? — ყველანი კოლექტიური გვარამიები არიან.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „მომავალ შეხვედრამდე უნგრეთ-პოლონეთის საზღვარზე!“






უკრაინაში რუსეთის შეჭრის მე-9 თვის დასასრულს, ოკუპანტობის მოყვარულმა რუსეთმა ისეთი რისხვა დაატეხა თავს „წაქეზებულ მურიას“, ერთიანად წაუხდათ საქციელი „იხვის ტოლმა“ ზელენსკის და მის წამქეზებლებსაც. დაემთხვა თუ ასე იყო დროში გაწერილი, ვინ იცის, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ორი დღით ადრე რუსეთი ტერორისტ სახელმწიფოდ გამოაცხადეს უკრაინის „მეგობრებმა“ და თვითონვე ხარობდნენ მარტივად მოაზროვნე თავები აქაც, იქაც და იმის იქითაც.

იქცევა უკრაინა და კაცი არაა სიტყვის დამსველებელი, გვეყოს სისხლისღვრა და ხალხის გამეტება, დავილაპარაკოთო. არა, პირიქით, აქეზებენ აქეთაც და იქითაც. პრინციპში, რუსეთს აქეზებენ, თორემ უკრაინა სიტუაციური მძევალია მიზეზთა გამო და მას ვინ ეკითხება, როდის რა შეწყვიტოს. ისე გამოსდით — „სისხლი ღვარონ ვირებმაო, ჭამონ ბრიგადირებმაო!“

თავდაპირველი მსოფლიო აღშფოთება-შეშფოთება-თანაგრძნობა სადღაც გაქრა და დარჩა მხოლოდ აშშ-ის მიერ უკრაინისთვის მილიარდების გადარიცხვა და საბრძოლო




ტექნიკით მომარაგება. მოკლედ რომ ვთქვათ, ხალხი ჩამოშორდა „საქმეს“ და ცალკეული ევროპული სახელმწიფოების უმაღლესი პირებისა და აშშ-ის დონეზე ხდება მხარდაჭერა მხოლოდ ამ ორი მიმართულებით, ასეთი მიდგომა კი არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. რეალურად რა ხდება?

არ დააყოვნა ჭორ-მართალმაც და გაისმა: უკრაინა მესამე ქვეყნებში ყიდის საბრძოლო ტექნიკასო (ლამაზად ასეა, თორემ ისე, ტერორისტებს ასყიდისო); „ატკატები“ ხდება, აბა, ასე უშურველად გადარიცხული მილიარდები სად მიდის, წარმოადგინონ ხარჯთაღრიცხვაო და ა.შ. ისიც ითქვა, „დიდი ბიჭები“ თამაშობენ, პატარა უნდა „გაწეწონ“ და ვაცადოთ, ჩვენ სად უნდა შევეტენოთო. სხვის ჭირზე ძალიან „დიდი ჩხირია“ გაკვეხილი ღობეში...

ვინცხა იმისი არ იყოს, ყველაფრის საწყისი ის ხომ არ არის, რომ უკრაინის გადანაწილება ხდება?

რატომ მგონია პირადად მე, ერთ რიგით ქართველ მოქალაქეს ასე? ალბათ, იმიტომ, რომ მაქვს ეჭვის საფუძველი. მაგალითად, უნგრეთის დეპუტატმა ლასლო ტოროცკიმ პოლონეთს დამოუკიდებლობის დღე საკმაოდ უცნაურად მიულოცა: **Today is Polish Independence Day. God bless Poland! Let's meet again at the common Polish-Hungarian border!** „დღეს პოლონეთის დამოუკიდებლობის დღეა. ღმერთმა დალოცოს პოლონეთი! მომავალ შეხვედრამდე უნგრეთ-პოლონეთის საზღვარზე!“ ეს ინჩ მაზალო ტიპა?!

რაც მე რუკას ვუკირკიტე, დაველმდიღა, მაგრამ ვერაფრით მივასაზღვრე ერთმანეთს ეს ორი სახელმწიფო. პოლონეთის მოსაზღვრე, შეიძლება, იყოს (არის): რუსეთი, ლიეტუვა, ბელარუსი, უკრაინა, სლოვაკეთი, ჩეხეთი, გერმანია, მაგრამ უნგრეთი?

თვალი ხომ არ მატყუებს — უნგრეთი და პოლონეთი ერთმანეთს როგორ ჩაეხუტებიან, როდესაც შუაში მურმანის ეკალივით ჰყავთ ჩაჩხერილი უკრაინის დასავლეთი ნაწილი?

ეს გაურკვევლობა არ მქონდა გადაყლაპული და ახლა პოლონეთში გამოიფინა 2022 წლის 11 ნოემბერს, თავიანთი დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მსვლელობისას პლაკატი, სადაც წერია „ლვოვის გარეშე არ არის პოლონეთი!“ (ნეტაი, ლვოვში, ისევ არის „ტალკუჩკა?)

გონზე მოსვლა ვინ მაცადა, ახლა თვით უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი გახდა თავსატეხი თავისი კაშნეთი და გაეხვია კიდეც 22 ნოემბერს სკანდალში. პატივცემული პრემიერი ფეხბურთის მატჩზე საზოგადოებას წარმოუდგა ყელზე მოხვეული კაშნეთი, რომელიც გადაწყვეტილი იყო უნგრეთის ნაციონალურ თეთრ, წითელ და მწვანე ფერებში, კალთებზე კი გამოსახული იყო უნგრეთის სახელმწიფო რუკის კონტურები. ვითომ რა მოხდა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ რუკის კონტურები ემთხვეოდა არა დღეს არსებული უნგრეთის რუკას ევროპის რუკასთან თანხვედრაში, არამედ იმ უნგრეთისას, როცა დიდი ნაწილი იყო ავსტრია-უნგრეთის იმპერიისა. იმ დროს უნგრეთი სიდიდით მესამე სახელმწიფო იყო ევროპაში, ხოლო ავსტრია-უნგრეთი — ერთადერთი იმპერია, რომელიც მთლიანად მდებარეობდა ევროპის ტერიტორიაზე დღევანდელი ხორვატიის, სლოვაკეთის, რუმინეთისა და უკრაინის ნაწილით.

რა თქმა უნდა, უკრაინელებმა მაშინვე შეამჩნიეს ორბანის კაშნეზე დატანებული რუკა, საშინლად აღშფოთდნენ და სასწრაფოდ დაიბარეს საგარეო საქმეთა სამინისტროში უნგრეთის ელჩი, ცხადია, საპროტესტო ნოტას გადასაცემად. ჯერჯერობით უცნობია, როგორ დასრულდა უნგრულ-უკრაინული საქმის გარჩევა ერთმანეთში, მაგრამ ისიც უცნობია, პოლონეთის გამოხტომებზე რა აზრისაა უკრაინა, ან პირიქით, პოლონეთი რას ფიქრობს უკრაინის მიერ მის ტერიტორიაზე ჩამოგდებულ რაკეტებზე. გარედან ისე ჩანს, რომ ყველას ერთმანეთი უყვარს, მაგრამ როგორ დავიგინო, მაშ მტყუვნისო?

დაგაცდის ვინმე მშვიდად ყოფნას? — ახლა ანჯეი დუდა გაეხვია საერთაშორისო სკანდალში. რუსმა ე.წ. პრანკერებმა მაკრონის სახელით დაურეკეს. 8-წუთიან საუბარში დუდა რამდენჯერმე უმეორებს „მაკრონს“, რომ მას რუსეთთან ომი არ სურს: „ემანუილ, დამიჯერე, უკიდურესად ფრთხილი ვარ! რუსეთს არ ვადანაშაულებ — ემანუილ, ეს ომია... ვფიქრობ, რომ ჩვენ არ გვჭირდება ესკალაცია რუსეთსა და „ნატოს“ შორის... როგორ ფიქრობ, მე რუსეთთან ომი მინდა? — ნამდვილად არ მინდა და ასე რომ, დამიჯერე, ძალიან, ძალიან, ძალიან ფრთხილი ვარ.“ ეს ჩვენის ბლანჯო, თუ ასე აჟიმჟიმებდა, რას იბრიქებოდა, ჩემი კაი, თუ უკრაინას რუსული ტანკები არ მივცე ჩემი მხრიდანო? არკი მისცა, „გადააგდო“, მაგრამ...

მაიტა, ალალადა ვთქვათ! თითოეულმა ჩვენგანმა რომ პუტინის ადგილზე წარმოვიდგინოთ თავი, მისნაირი რუსული ოკუპანტურ-პატრიოტული სამხედრო შემართებითა და შესაძლებლობებით, სანამ ყირიმზე სახმელეთო გასასვლელს არ გახსნიდით, შეჩერდებოდით? რადგან რუსული საბრძოლო მანქანა დაიქოქა, ის აღარ გაჩერდება მანამ, სანამ „ა“ პუნქტიდან გასული მონიშნულ „ბ“ პუნქტამდე არ მივა. საქმე ის გახლავთ, რომ გორბაჩოვისა და შევარდნაძის „პერესტროიკამ“ მსოფლიო ხელახალი გადანაწილების დროს რუსეთი გვერდზე ჩააჩოჩა, ლოთბაზარა ელცინმა სულ ფეხზე დაიკიდა „ბოთლა არყად“ დიდი რუსეთი, ჩაამძორა, ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნებით გაპეზანებული რუსეთი.

კარგა ხანს იყო ჩუმად რუსეთი და კონკრეტულად პუტინის ხელისუფლება და როცა ჩათვალა, რომ მზადყოფნაშია, ჯერ ტკბილი სიტყვითა და ურთიერთშეთანხმებით დააპირა რუსეთისთვის წალღეტილის დაბრუნება, შემდეგ ხმა ამოიღო — ჯერ თითი იქნია, მაგრამ რომ შეხედა ტურები ნადავლს ნებით არ შეელეოდნენ, გამოწვევებზე მოქმედებით უპასუხა და, ფაქტობრივად, განაცხადა, გეყოთ მარტოს თქვლეფა, ჩემი წილი მიმქვს, ახლიდან გაიყოფა მსოფლიოსო. ახლა ეშარბიან, შე ზიზია რუსეთო, რათა ზარ ეგეთი მავნებელი გრძელხელებაო? იიიიო, მოკლე რა მაქვსო? — ტლინკები უკუღმა ჰყარა „ვანიამ“.



აშშ-ს თავს არავინ ესხმის, თუმცა სიამოვნებით ომობდა, ომობს და იომებს სხვის ტერიტორიაზე, მაგრამ ევროპას რაში აწყობდა ომი, მით უმეტეს, საკუთარ ტერიტორიაზე, არანაირ საზღაურად რომ არ უნდოდა და ასტეხეს „შაირივით ძალადა?“

2021 წლის 11 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ „ნატოს“ მიმართა, გაეუქმებინა 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე დადებული პირობა საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, მაგრამ „ნატოსგან“ პასუხად მიიღო, ყველას თავისი არჩევანის უფლება აქვს თავდასაცავად სად გაწევრიანდებაო. მცირე ხანში ახლა სხვა რამის შესრულება მოსთხოვა, დაუბრუნდით 1997 წლის მაისის განლაგებას „ნატო“ და აშშ-იო და სულაც, თავი გაანებეთ უკრაინას, აღმოსავლეთ ევროპას, კავკასიასა და ცენტრალურ აზიას, მე მიდევს ტორიო! — არ გაიგეს, გენავ!

თქვა აშშ-ის ახალი უსაფრთხოების ცენტრის ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების პროგრამის გენერალურმა დირექტორმა ანდრეა კენდალ-ტეილორმა: „რუსეთმა ისწავლა, თუ რამეს პოლიტიკურად ვერ გააკეთებს, სამხედრო ძალით იზამს. ასე რომ, ეს სახიფათოა“, მაგრამ ვინ დაუჯერა, კუნთებს ათამაშებს და სულ ესააო; რუსეთს ჯავშანტექნიკა და შეიარაღება ღიად გადააქვს დასავლეთის საზღვრებთან და ისე განათავსებს, საბრძოლო დანადგარები კამუფლიაჟირებულიც კი არა აქვს, უეცარი თავდასხმა რომ ჰქონდეს განზრახული, მეტი სიფრთხილით მოიქცეოდა; ომის დაწყებას რომ აპირებდეს, საჰაერო თავდაცვის სისტემებს დაამონტაჟებდაო; ინდე, თუ არა!..

ამ ყველაფერს „ფაზლივით“ თუააწყობს ადამიანი, ყველაფერი ისე ლოგიკურად ჯდება ერთმანეთში და ერთმანეთთან, როგორც კაი ცხელი შოთი პური და გუდის ყველი. ასე რომ, ვერავინ იტყვის, არც არაფერი გვეგონა და არც არაფერს ველოდითო. არ ელოდნენ კი არა, იმდენი უჩიჩხინეს რუსეთს გავა-დუმაში, სანამ არ გადარიეს...

პირველი მკვლელობა ძმის მიერ ძმის მოკვლა იყო, ასე რომ, ფაქტობრივად, არც არაფერია გასაკვირი... საკუთარი ძმათამკვლელი ომი არ შეგვიცხადებია ქართველებს, არც მშვიდობიანობაში კვლა და რუსეთ-უკრაინის კვლის შესაცხადებელი ადგილი სად დარჩათ საქართველოს სახელმწიფო დროშის ლურჯ-ყვითლად გადამღებავებს, გელა მუხაშავრიაც ვერ იპოვის...

ჩვენდა საბედნიეროდ, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები არიან საპასუხისმგებლო თანამდებობზე, რომ აბსოლუტურად ცივი გონებით იღებენ ყველანაირ ინფორმაციას და ცივი გონებით შეუძლიათ განსჯა...

ჯერ თავო და თავოო, მერე ცოლო და შვილოო...

ერთს ვიკითხავ: ვითომ რატომ არ ენდომება უკრაინის ყველა მეზობელს მისი დაქუცმაცება და გაცამტვერება, თუ თავისას უკან მიიღებს? ერთი თურქეთია „შესაბრალისი“ — როგორც ჩვენ გვაქვს აუხდენელი ოცნება თურქეთის მიერ საქართველოსგან მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნებისა, ისე დარჩება მასაც ოცნება „ყირიმის სახანოს“ დაბრუნებისა. არადა, ეს საბურთაოდ გამხდარი ყირიმი სულაც კოლხეთის ნაწილი იყო...

მოკლედ რომ მოვჭრათ, რასაც ვხედავთ, მხოლოდ ის ჩანს, რომ უკრაინა ცუდ დღეშია, ერთ ანტილოპას რომ გიენების ხროვა ყველა მხრიდან ჯიჯგნის, ისეთი სურათი იხატება სამომავლოდ...

ანჯეი დუდას აჟიმჟიმებს რუსეთთან ომის ხსენებაზე, „ნატოს“ წევრ ქვეყანას და ასევე „ნატოს“ წევრი ქვეყანა, უნგრეთი, რუსეთის წინ არ მიხტის, ჩვენ სადღა გვეპატიჟებიან რუსეთთან ომში თავის გასაყოფად, ამ ჩვენისებს „ზემოთა უბანში“ მაგრადა ჰყავანან, თუ რა პაპიჩვენის თაფლა ვირი უნდათ, ჰა?

**ზურაბ ოქხერელი**

# ქართული პროკურატურა ანგაჟირებული მედიის პირისპირ – რა იწვევს გამამართლებელი განაჩენების რაოდენობის ზრდას?



დღეს სკანდალებს აყოლილი ზოგიერთი მედიასაშუალება შეგნებულად დუმს სახელმწიფოს მიერ მიღებულ იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელთა ძირითად მიზანი ადამიანის უფლებების დაცვაა. ამასთან, ფაქტია, რომ აღარც პროკურატურაა ისეთი მონსტრი, როგორადაც ახლო წარსულიდან გვახსოვს.

მედიის ყურადღების მისაპყრობად მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო პოლიტიკის წყალობით, ახლა მომნანიე პატიმარს ბრალდებულს კანონი საშუალებას აძლევს, სახელმწიფოს ბიუჯეტის სასარგებლოდ ყოველგვარი თანხის წინმსწრებად ჩარიცხვის გარეშე მიაღწიოს საპროცესო შეთანხმებას, თავისუფლებას. იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ქალბატონი თეა წულუკიანის ფრაზას თუ მოვიშველიებთ, „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში პრიორიტეტი გახდა ადამიანი და არა ფული. მისასალმებელია, რომ ძველ მავნე პრაქტიკას საპროცესო გარიგებებთან დაკავშირებით, „ოცნების“ ხელისუფლებამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი!..

ზოგიერთ მედიასაშუალებას კარგად ახსოვს უფუნქციოდ დარჩენილი პროკურორები, საქმის მასალების ნაცვლად ე.წ. ბლოკნოტებით ხელში, რომლებიც ყველნაირ განაჩენს ხელს აწერდნენ. დღეს კი დამოუკიდებელი სასამართლო აიძულებს მათ, იმუშაონ საკუთარ თავზე, იყვნენ უფრო სამართლიანები და პროფესიონალები.

ხარვეზები პროკურატურის სისტემაში რომ ბევრია, ფაქტია, მაგრამ ამჟამად ფრიად აქტუალურ საკითხს შევეხებით, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, საზოგადოების, უფრო კი სამართლის სპეციალისტთა განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს. აი, ერთ-ერთი მათგანიც. სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, დღეს გამოძიებას ზედამხედველობს პროკურატურა. რაც, უბრალო ენით რომ ვთქვათ, გამომძიებლის ნაცვლად ყველა სახის გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. საგამოძიებო მოქმედებებს, მაგალითად, ჩხრეკას, ამოღებას და ა. შ. უშუალოდ პროკურატურა ხელმძღვანელობს და, ფაქტობრივად, გამომძიებელს ავტონომიის ფუნქცია დაკარგული აქვს. ამჟამად პარლამენტში გამომძიებლისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭების შესახებ მიმდინარეობს განხილვა. ახალი საკანონმდებლო რეგულაციაც მივიღეთ, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო, რომ გამოძიება კვლავ პროკურატურის ნებაზე დამოკიდებული რჩება. იყო დრო, როცა გამომძიებელს თავად გამოჰქონდა სისხლის სამართლებრივი დევნის როგორც დაწყების, ასევე შეწყვეტის დადგენილებები და მხოლოდ რევიზიისათვის უგზავნიდა პროკურატურას. ახლა კი მათი როლი გამოძიებაში, როგორც ვთქვით, გაუგებარია!

ელიზავეტა კვარაცხელია წლებია, მეუღლის, გიორგი ქებურიას გარდაცვალების ფაქტის დადგენას ითხოვს. თუმცა, ბევრი დაპირების მიუხედავად, საქმე ადგილიდან არ იძვრის.

„2018 წლის 4 მაისს, შპს „გალაქსი კონტრაქშენის“ მშენებარე ობიექტზე უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევის გამო, სსკ 170 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვაკე-საბურთალოს პროკურატურამ მოქ. გიორგი ქებურიას სიკვდილის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. დღემდე საქმე ადგილიდან არ იძვრის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არაერთგზის გამოცვალეს პროკურორი და გამომძიებელი, არ კითხულობენ საქმეს, არ ეცნობიან მასალებს, არ სვამენ გამოძიებისთვის საჭირო კრიტიკულ კითხვებს, რასაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ გამოძიება თავიდან არასწორი კვალიფიკაციით დაიწყეს, თითქოსდა გიორგი ქებურიას გარდაცვალების მიზეზი თვითმკვლელობამდე მიყვანა იყო, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები. მეტსაც გეტყვით, დიდი დიღმის პოლიციაში, სადაც საჩივრები შეგვქონდა, საქმის მასალები დაიკარგა და მათ კვალს დღემდე ვერ მივაკვლიეთ. ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც შემდგომ განვითარდა. კერძოდ, ლევან სამხარაულის ბიუროს ექსპერტიზამ, რომელიც გამოძიებამ ჩაატარა, დაადგინა, თითქოს გიორგი ქებურიას გარდაცვალების მიზეზი იყო გულის იშემიური დაავადება, რასაც არ ვეთანხმებით, რადგან, პირველ რიგში, გარდაცვლილი იყო სრულიად ჯანმრთელი, რასაც კატეგორიულად ადასტურებენ მოწმეებიც. ამას მოწმობს ასევე ალტერნატიული ექსპერტიზაც, სადაც კატეგორიულად ხაზგასმულია, რომ გულის იშემიურ დაავადებას წინ უნდა უძღვოდეს ფილტვის შეშუპება, სისხლძარღვევის მწვავე უკმარისობა. დამოუკიდებელ სამედიცინო დასკვნაზე კანონით დადგენილ დროში პროკურატურას გადაწყვეტილება არ მიუღია. დაბნეული ვარ, მჯერა ალტერნატული შეფასების, რასაც სრულიად ეთანხმება ჩხოროწყუს რაიონის „ევექსის“ განყოფილებიდან გამოთხოვილი ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ გიორგი ქებურიას გულის ჩივილებით არასოდეს მიუმართავს და არც სამედიცინო აღრიცხვაზე ყოფილა არასდროს აყვანილი(?!).

ელიზავეტა კვარაცხელია იმედს არ კარგავს, რომ სამართალი ადრე თუ გვიან მაინც იზეიმებს. დარწმუნებულია, რომ მისი მეუღლის სიცოცხლე სამშენებლო კომპანიის მიერ უსაფრთხოების წესების დარღვევას შეეწირა და არა გულის იშემიურ დაავადებას.

არაკვალიფიციურობა და გულგრილობა საქმისადმი ხელს უშლის სამართლიანობის მიღწევას და, სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები გვიტოვებს იმის განცდას, რომ სახელმწიფო კრიმინალთან ბრძოლაში თითქოსდა უსუსურია!

„ავი ენები ხშირად ამბობენ, რომ სასამართლების მიერ გამამართლებელი განაჩენების გამოტანის მიზეზი ხშირად არაკვალიფიციური გამოძიებების შედეგია. მგონი, ამ ხუმრობაში ლოგიკის მარცვალი ზემოთ მოყვანილი შემთხვევის ფონზე ნამდვილად არსებობს, რადგან ახალი კანონმდებლობის მიხედვით, დეტექტივ-გამომძიებლად დასანიშნ პირს დღეს უკვე აღარ მოეთხოვება უმაღლესი იურიდიული განათლება, გამომძიებლად დანიშვნისთვის საკმარისია პოლიციის აკადემიაში ექვსთვიანი კურსის გავლაც. ლოგიკურია, რომ გამოუცდელ გამომძიებელს ბევრს ვერაფერს მოჰკითხავ!

ცნობისათვის (რაც კანონის არმცოდნე საზოგადოებას ხშირად აბნევს), სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მიხედვით, გამამართლებელი განაჩენები იმ შემთხვევებშიც დგება, როცა პირი ნამდვილად დამნაშავეა, ფაქტი სახეზეა, მაგრამ არასაკმარისი მტკიცებულებების გამო სასამართლო იძულებულია, საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, გამამართლებელი განაჩენი დაადგინოს და რეალური დამნაშავე სახლში გაუშვას. სხვა მიზეზებთან ერთად, ეს ფაქტორებიც ზრდის გამამართლებელი განაჩენების რიცხვს, რომლის ხელოვნებასაც, ვისთვის საბედნიეროდ, წარმატებით ფლობენ გამოცდილი ადვოკატები.

გენერალური პროკურორის, ბატონი ირაკლი შოთაძის ხელმძღვანელობით საქართველოს პროკურატურა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს დამნაშავეობასთან ბრძოლაში და მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო საგამომძიებლო სტრუქტურებთან, მაგრამ, როგორც ვთქვით,ზოგიერთი ანგაჟირებული მედიასაშუალება მხოლოდ იმას ამბობს და აშუქებს, რასაც მავანნი მიზანმიმართულად უკვეთავენ.

ბოლო დროს გახმაურებულ საქმეთაგან რეზონანსულია ე. წ. ქოლცენტრების საქმე, რომელშიც თურმე ყოფილი თავდაცვის მინისტრი, დავით კეზერაშვილი ფიგურირებს. პროკურატურის მიერ გაშიფრული სავარაუდო დანაშაულებრივი სქემა ასეთია:

პროკურატურის ოფიციალური ინფორმაციით, 2015 წელს, საქართველოსა და ისრაელის მოქალაქეებმა, პირდაპირი ფინანსური და სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით ჩამოაყალიბეს შეთანხმებულად მოქმედი, სტრუქტურული ფორმის მქონე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი. უწყება ამბობს, რომ ჯგუფის წევრებმა საქართველოში დააფუძნეს 6 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომელთა ბაზაზე მოაწყვეს ე.წ. ქოლცენტრი. პროკურატურის ინფორმაციით, ქოლცენტრში ოპერატორებად დაასაქმეს უცხო ენის მცოდნე ადამიანები და მათი სამიზნე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეები იყვნენ.

უწყება ამბობს, რომ ე.წ. ქოლცენტრის დანაშაულებრივი ფუნქციონირებისთვის შეიქმნა ათეულობით ელექტრონული სავაჭრო პლატფორმა, რომელთა საშუალებითაც თაღლითურად მოპოვებული თანხები დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების ანგარიშებზე ირიცხებოდა.

კერძოდ, პროკურატურის ინფორმაციით, ე.წ. ქოლცენტრის თანამშრომლები, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ცრუ სატელეფონო ნომრების გამოყენებით უკავშირდებოდნენ გერმანიისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, ეცნობოდნენ გამოგონილი სახელებით, მათი კომპანიის ადგილსამყოფელის შესახებ აწვდიდნენ ყალბ ინფორმაციას და სთავაზობდნენ ფასიანი ქაღალდების, აქციების, სასაქონლო აქტივების, ვალუტების და კრიპტოვალუტების ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.

„ოპერატორები მომხმარებლებს არწმუნებდნენ, რომ მათი დახმარებით ფასების ზრდა-შემცირებაზე ელექტრონული ვაჭრობის შემთხვევაში, შეძლებდნენ სოლიდური მოგების მიღებას. მომხმარებლისგან თანხმობის მიღების შემდგომ, მათგან ელექტრონული ვაჭრობისთვის გამოყოფილი თანხების განთავსება ხდებოდა დანაშაულებრივი ჯგუფის კონტროლის ქვეშ არსებულ საბანკო ანგარიშებზე", — აცხადებენ უწყებაში.

როგორც პროკურატურა ამბობს, შემდეგ ეს თანხები თავსდებოდა ორგანიზებული ჯგუფის მიერ უცხოეთში დაფუძნებული კომპანიების ანგარიშებზე, საიდანაც ფიქტიური დანიშნულებით, თითქოსდა გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, ირიცხებოდა საქართველოში, მათივე კომპანიების ანგარიშებზე.

უწყების ინფორმაციით, ამ სქემით მათ 9 490 991 ევროს, 716 642 დოლარისა და 218 000 ბრიტანული გირვანქა სტერლინგის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინეს.



საქართველოს პროკურატურის მიერ მოკვლეული და დადგენილი დანაშაულებრივი სქემა თავისი მასშტაბებით საქართველოს ფარგლებს უკვე გასცდა და საბოლოო სიტყვა ახლა დამოუკიდებელმა სასამართლომ უნდა თქვას.

ჩვენ მიმოვიხილეთ საქართველოს გენერალური პროკურატურის დღევანდელი მდგომარეობა, მთლიანად საგამოძიებო სისტემა ნაკლოვანებებებთან და წარმატებებთან ერთად. ბოლო დროს გახმაურებული ე. წ. ქოლცენტრების საქმის გამოძიებაც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ აღნიშნული სახელმწიფო სტრუქტურა დამნაშავეობასთან ბრძოლას აქტიურად განაგრძობს და, რაც მთავარია, თავისი პოლიტიკით სრულიად განსხვავდება წინამორბედისგან.

**ლევან ჭიღლაძე**

# ნუ უფრიალებთ ქართველ ხალხს წითელ მულეტას!

ნატო-სა და ევროკავშირის ღია კარის პოლიტიკამ ხალხი ისე „დაასკვაზნიაკა“, მათ უმეტესობას აღარც ნატოში უნდა შესვლა და აღარც ევროკავშირში. განსაკუთრებით „აღმაშფოთებელია“ ნაცლიდერების „სკაზალა-მაზალას ჩორტით,“ მმართველი პარტიისთვის თითის ქნევა და დავალებების გაცემა.

ორი წლის წინათ ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ანგარიშს უყრიდა კენჭს. დოკუმენტში კენჭისყრისთვის ას სამოცდახუთი შესწორება მომზადდა, მათ შორის, კორუფციასთან ბრძოლის, კანონის უზენაესობისა და მედიის თავისუფლების შესახებ. შესწორებების ნაწილი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის 8 მარტის სრულად შეთანხმებას ეხებოდა. არაერთხელ გახლდათ ნახსენები პატიმრობაში მყოფი გიორგი რურუას სახელი და გვარიც. გიგი უგულავა და ოქრუაშვილი მანამდე გაათავისუფლებინეს.



შესწორების „ავტორები“ გახლდნენ ანა ფოტიგა, ჰერმან ტერჩში, კოსმა ზლოტოვსკი, იაჩეკ სარიუზვოლსკი, ანდრეა ანდრიუს კუბილიუსი, რასა იუკნევიჩიანე, სანდრა კალნიეტე, მირიამ ლექსმანი. არადა, ყველამ იცის, „რა მოხელე ნაჩალნიკები“ იყო სამივე „პატიმარი“ და რომ არა ევროპარლამენტარების უხეში ჩარევა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, დღესაც ციხეში იქნებოდნენ. მაშინ ნაცებმა გაიმარჯვეს.

მომხდარით აღშფოთებული ხალხი სოციალურ ქსელში წერდა, რომ კოჰაბიტაცია მკვლელების, ბანდიტების, გარეწრების „ლივლივის გამწვანების“ ბრძანება სწორედ ევროპელი და ამერიკელი „მამებისგან“ მოდიოდა.

**დიდებულია, როცა მოთმინების უნარი გაქვს, მაგრამ, როცა შენი ქვეყნისა და შენ ღირსებას ეხებიან, გაუმართლებელია.** მისასალმებელია, რომ სწორედ ამ მიზნით ჯერ აშშ-ის ელჩი მიიჯირყვნა და შემდეგ ამერიკის სენატორებმაც მიიღეს დამსახურებული მწვავე პასუხი.

მოძრაობა „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერმა, დიმიტრი ხუნდაძემ ამერიკის სენატორებს ჯინ შაჰინს, ბენ კარდინის და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ევროპის საკითხებში კარენ დონფრიდს ასე უპასუხა: „ჩვენ უკვე მიგვაჩვიეს იმას, რომ ევროპიდან თუ ამერიკიდან რიგი პოლიტიკოსების შეურაცხმყოფელ შეფასებებს უნდა ვუსმინოთ, შემდეგ ფრთხილი კომენტარები ვაკეთოთ და ბოლოს, როგორც ყოველთვის, მობოდიშებით წარსულს ჩავაბაროთ. ამ ქმედების ახსნას კი „მორჩილები“ შემდეგნაირად გვთავაზობენ: ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და პასუხის გაცემის უფლებაც კი არ გვაქვს, აღარაფერს ვამბობ შელახული ღირსების დაცვაზე. მოძრაობა „ხალხის ძალა“ სწორედ ამ დოგმებს ამსხვრევს. სენატორმა ჯინ შაჰინმა განაცხადა: „ხომ არ არის დრო, რომ გადავხედოთ ჩვენს სტრატეგიას საქართველოსთან მიმართებაში“. მინდა ვუპასუხო, დიახ, ამის დრო ნამდვილად დადგა. ჩვენი მოძრაობაც სწორედ ამაზე მიუთითებს, რომ აუცილებელია, შეიცვალოს არა ჩვენი სტარტეგიული არჩევანი აშშ-სთან მიმართებით, არამედ მათთან პარტნიორობის ფორმა. უნდა შეიცვალოს დღეს არსებული არასწორი ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ამან მიიღოს ღირსეული, თანასწორული და ორმხრივი პარტნიორობის სახე. ის, რაც დღეს მოვისმინეთ, სხვა არაფერია, თუ არა უსაფუძვლო დადანაშაულება საქართველოს ხელისუფლების. მინდა იცოდეს ყველამ, რომ საქართველოს ხელისუფლება სიტყვას ასრულებს ყველა საკითხზე, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ხალხთან და მერე სხვა ქვეყანასთან. არავის დაავიწყდეს, რომ ევროატლანტიკური კურსი კონსტიტუციით სწორედ ჩვენ გავამყარეთ და თუკი ეს არის „დემოკრატიული უკუსვლა“, მაშინ უნდა აუხსნან ქართველ ხალხს, როგორია დემოკრატიული წინსვლა. ისეთი, როგორსაც ხედავდნენ 2012 წლამდე? ღია მკვლელობებს, ბიუჯეტის ძარცვას, რუსეთისთვის საქართველოს ტერიტორიების მიყიდვას, პატიმრების წამებას და კიდევ ბევრ სხვა ბოროტებას, რასაც ისინი იწონებდნენ და რასაც დღესაც ღიად უჭერენ მხარს? მათთვის „ჭეშმარიტი დემოკრატია“ მხოლოდ კრიმინალი და რადიკალური ოპოზიციაა, ვისაც ჩვენმა ხალხმა უთხრა უარი. სენატორის მიერ ნთქვამი სიტყვა „ქართველი ხალხი არ არის დამნაშავე, ეს მათი მთავრობაა“, პირდაპირი ჩარევაა ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში და მოქალაქეების წაქეზებაა ხელისუფლებასთან დასაპირისპირებლად. ეს ჩვენი ამომრჩევლის შეურაცხყოფაა, რადგან მათ ყველაზე კარგად იციან, თუ ვის უნდა მისცენ ხმა. საკუთარ პოზიციას რიგი ამერიკელი პოლიტიკოსები უკვე აღარ მალავენ და იმასაც კი აცხადებენ, რომ უნდა იფიქრონ სხვა გზებზე, რადგან, „როგორც ჩანს, ის, რასაც ახლა აკეთებენ, არ მუშაობს“. ეს „სხვა გზები“ უკვე ცნობილია ჩვენთვის. ამ გზაზე დგას დავით კეზერაშვილი ამერიკის გავლენიან პირებთნ შეხვედრისას; ამ გზაზე დგანან უკრაინის მთავრობის ქართველი კრიმინალები, როდესაც ჩვენს ხალხს მოუწოდებენ ხელისუფლების ცვლილებისკენ და ომისკენ; ამ გზაზე დგანან ევროპარლამენტის რიგი დეპუტატები, რომლებიც ამ სენატორების მითითებებს უსიტყვოდ ასრულებენ; ამ გზაზე დგას ის უფერული ოპოზიცია, რომელსაც ვერაფრით წონა ვერ შესძინეს ქართველ ამომრჩეველში, მაგრამ მაინც ჯიუტად რევოლუციურ სცენარს მიუყვებიან. რაც შეეხება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მიერ ჩვენი მოძრაობის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიას, რომ ჩვენი ქმედება „ძირს გამოუთხრის საქართველო-ამერიკის პარტნიორობას“, მინდა გარკვევით ვუპასუხო კარენ დონფრიდს: ჩვენ კი არ ვუთხრით ძირს ჩვენი ქვეყნების პარტნიორობას, ამას თქვენ და ის სენატორები სჩადიხართ, რომლებიც ღიად აქეზებთ ქართველ ხალხს ხელისუფლების წინააღმდეგ, რისი უფლებაც თქვენ არ გაქვთ. სწორედ ეს უთხრის ძირს საქართველო-ამერიკის პარტნიორულ ურთიერთობებს.

ჩვენ ეთიკის ნორმებში ლეგიტიმური კითხვები დავუსვით ამერიკის ელჩს და ეს ელჩზე თავდასხმად მონათლეთ. ის კი, რაზეც თქვენ ისაუბრეთ და რისი უფლებაც საკუთარ თავს მიეცით, დემოკრატიული ქმედებაა თუ ქართველი ხალხის შეურაცხყოფა, რომელმაც თურმე არ იცის, ვინ უნდა აირჩიოს და როდის უნდა მოსთხოვოს პასუხი საკუთარ ხელისუფლებას. მოგმართავთ ყველას, ვინც ბოლო პერიოდში ევროპაში თუ ამერიკაში იყენებთ მაღალ პოლიტიკურ ტრიბუნას ჩვენი ქვეყნის დასამცირებლად, ნუ უფრიალებთ ქართველ ხალხს წითელ მულეტას! ჩვენ ნამდვილად გვსურს ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორული ურთიერთობა, ოღონდ ისეთი, როგორსაც ქართველი ხალხი იმსახურებს და არა ისეთი, რა პოზიციიდანაც თქვენ ესაუბრებით დღეს საქართველოს“.

სენატორ ჯინ შაჰინის განაცხადებას, რომ საქართველოში არის დიდი უკუსვლა, „ქართული ოცნების“ არაერთი წევრისგან სენატორის კრიტიკა მოჰყვა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა,რომ უსამართლო კრიტიკას ფასი არ აქვს და დაფინანსებაზე NGO-ებმა ინერვიულონ. ერთადერთი იყო სენატორი შაჰინი, რომელმაც ისაუბრა გადახედვაზე, სხვას არავის უსაუბრია გადახედვაზე, შაჰინი 2012 წლამდე იყო „ნაცმოძრაობის“ მეგობარი და დღემდე რჩება, სამწუხაროდ, „ნაცმოძრაობის“ მეგობრად. რაც შეეხება დაფინანსების გადახედვას, ირაკლი კობახიძის თქმით, ეს არ მოხდება ერთი მარტივი მიზეზის გამო - ამ დაფინანსების უდიდესი ნაწილი მიდის ენჯეოებზე და ენჯეოებს იმ თანხებს არავინ ჩამოაჭრის...



ჰანტერ ბაიდენი

რა უხერხულია „უფროსი ძმებისგან“ კორუფციაზე, ოლიგარქებზე, დემოკრატიაზე მკაცრი ტონი როცა სულ ახლახანს „რესპუბლიკელებმა“, რომლებმაც წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობა მოიპოვეს, აშშ-ის პრეზიდენტის ვაჟის, ჰანტერ ბაიდენის წინააღმდეგ გამოძიება დააანონსეს. კონგრესმენებმა, ჯეიმს კომერმა და ჯიმ ჯორდანმა გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ პრეზიდენტი ბაიდენი აქტიურად იყო ჩართული საზღვარგარეთ ბიზნეს გარიგებებში თავის ვაჟთან ერთად. „ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რის დამალვას ცდილობს ბაიდენის ადმინისტრაცია ამერიკელი ხალხისგან. იყო თუ არა ჯო ბაიდენი უშუალოდ ჩართული ჰანტერ ბაიდენის ბიზნეს გარიგებებში და არის თუ არა ის კომპრომეტირებული? ასევე განაცხადეს, რომ მათ გამოავლინეს მტკიცებულებები თაღლითობის, საბანკო თაღლითობის, უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტის დარღვევის, ფულის გათეთრების, გადასახადებისგან თავის არიდებისა და სხვა დანაშაულების შესახებ. ჯო ბაიდენის 52 წლის ვაჟი 2014-2019 წლებში უკრაინული ბუნებრივი აირის კომპანია **Burisma**-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო. იმ პერიოდში, როდესაც ჯო ბაიდენი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს იკავებდა, უკრაინის გენერალურმა პროკურორმა ვიქტორ შოკინმა კომპანიისა და მისი დამფუძნებლის, მიკოლა ზლოჩევსკის საქმიანობაზე გამოძიება დაიწყო, თუმცა 2016 წელს ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მის გათავისუფლებას ხელი ჯო ბაიდენმაც შეუწყო და ეს საჯაროდაც განუცხადებია. ბაიდენს მიაჩნდა, რომ შოკინი საკმარისს არ აკეთებდა კორუფციასთან საბრძოლველად. მიუხედავად იმისა, რომ მის გათავისუფლებას მხარს სხვა დასავლური ქვეყნები და საერთაშორისო სავალუტო ფონდიც უჭერდნენ, ტრამპის მხარდამჭერები ამბობენ, რომ ბაიდენმა ეს თავისი შვილის დასაცავად გააკეთა. ბაიდენმა ისიც თქვა, რომ უკრაინას ერთი მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის დახმარების შეჩერებით დაემუქრა, თუ შოკინს, რომელიც იმ პერიოდში ბურისმას საქმეს იძიებდა, თანამდებობიდან არ გაათავისუფლებდნენ. „მე ვთქვი, თქვენ ვერ მიიღებთ მილიარდს. მე აქაურობას დავტოვებ, დაახლოებით, 6 საათში. შევხედე მათ და ვთქვი - „მე მივდივარ 6 საათში. თუ პროკურორი გათავისუფლებული არ იქნება, თქვენ ფულს ვერ მიიღებთ“. „ის გაათავისუფლეს“. – ასე იხსენებს ბაიდენი საკუთარ როლს შოკინის გადაყენების საქმეში.

ასევე, რუსულენოვან მედიაში, მეორე მხრივ კი, სოციალური ქსელ ფეისბუქის ქართულენოვან მომხმარებლებში, აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია უკრაინაში ბიოლოგიური იარაღის შექმნაში ჰანტერ ბაიდენის შესაძლო მონაწილეობის შესახებ. რუსულენოვანი გამოცემები აღნიშნულ ინფორმაციას ძირითადად ორ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებდნენ, ესენია: რუსეთის არმიის ატომური, ბიოლოგიური და ქიმიური თავდაცვის ძალების მეთაურის – იგორ კირილოვის 24 მარტს გამართული ბრიფინგი და ბრიტანული გამოცემის – **Daily Mail**-ის 25 მარტს გამოქვეყნებული სტატია. რუსეთის პირველი არხი **Daily Mail**-ის სტატიასა და კირილოვის ბრიფინგზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ ამერიკული კომპანია **Metabiota** უკრაინაში ჰანტერ ბაიდენის დახმარებით გამოჩნდა და ის სიცოცხლისთვის საშიში, პანდემიის გამომწვევი პათოგენების კვლევაზე კლასიფიცირდება.

რუსეთის პირველმა არხმა 28 მარტს გამოქვეყნებულ სიუჟეტში აღნიშნული ინფორმაცია უკრაინის ბიოლაბორატორიებთან ჰანტერ ბაიდენის შესაძლო კავშირის შესახებ აპოკალიპტური სცენარის აღსაწერად გამოიყენა, რომლის მიხედვითაც ამერიკის მიერ დაფინანსებული ბიოლაბორატორიიდან ვირუსის გავრცელება ხდება და მისი სამიზნე რუსეთში შინაური პირუტყვის განადგურებაა. ამასთანავე, გამოცემა **The Sun**-მა გამოაქვეყნა ბაიდენის ვაჟის მორიგი სკანდალური ვიდეო, რომელიც მის მიერვეა გადაღებული. ეს არის 2019 წლის ჩანაწერი, როდესაც ჰანტერ ბაიდენი მკურნალობის კურსს გადიოდა ნარკოდამოკიდებულებაზე. ვიდეოზე ჩანს, რომ ის თერაპიის კამერაში მოიხმარს ნარკოტიკს და სვამს ალკოჰოლურ სასმელს. ჰანტერის მკურნალობის საფასურს ჯო ბაიდენი იხდიდა. მან შვილს სამოცდათხუთმეტი ათასი დოლარი გადაურიცხა მკურნალობის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, მაგრამ, რისთვის დახარჯა მან ეს ფული, ვიდეოდან ჩანს. ჰანტერის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ უკრაინულ მედიაშიც უამრავი მასალა მოიპოვება.

კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს და სანამ ამერიკელი კონგრესმენები ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს თითს დაუქნევენ და ჭკუას დაარიგებენ, თეთრი სახლის ბინადრებს და მათ ჩასვრილ საქმეებს მიხედონ!

**ქეთევან ზარნაძე**

# ჭიდაობის ლეგენდა რომან რურუა 80 წლისაა

სპორტის ქართველ ქომაგებს სახელოვანი და წარმატებული მოჭიდავეებით ვერ გააკვირვებ; მსოფლიოსა და ევროპის მასშტაბებით ტიტული არ დარჩენილა, ჩვენს ფალავნებს რომ არ მოეპოვებინათ. მათ ლამაზი ჭიდაობითა და ჩემპიონთა ტიტულებით ძალიან გაანებივრეს ქართველი ხალხი - საქართველოში ჭიდაობა ეროვნულ საუნჯედ და კულტურულ მემკვიდრეობად არის აღიარებული.



მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ოთხგზის (1966-67-69-70 წ.წ.) ჩემპიონი, საკავშირო სპარტაკიადის სამგზის (1964-65-70 წ.წ.) ჩემპიონი, სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1984-87 წ.წ.) სპორტის რაინდი (2012 წ.), 2010 წლიდან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის დიდების დარბაზის წევრი, სოკის, ფილას ღირსების და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი (2018 წ.), ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და ღირსების ორდენის კავალერი. 1999-2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი; 1966-1970 წლებში მან ზედიზედ მოიგო ოლიმპიადა და მსოფლიოს ოთხი ჩემპიონატი, 5 უმაღლესი ტიტული - ეს საუკეთესო შედეგია ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ისტორიაში. ამ რეგალიების უკან დგას მიზანდასახული, შრომისმოყვარე, უშიშარი და ნიჭიერი კაცი, რომელმაც საკუთარი ბედი და ისტორია თვითონ გამოჭედა.

რომან რურუას პირველი სპორტული გატაცება ფეხბურთი გახლდათ: 1955 წელს მშობლიური მუხურჩიდან სწავლის გასაგრძელებლად თბილისის 57-ე სკოლაში გადმოვიდა, პარალელურად „ნორჩ დინამოში“ გრიგოლ გაგუას ხელმძღვანელობით განაგრძო ვარჯიში. ფეხბურთიდან ჭიდაობაში ილია ტულუშის რჩევით გადავიდა. თანაკლასელ შოთა დრიაშვილთან ერთად ჭიდაობის ცნობილ „პეტრეს დარბაზს“ მიაკითხა და ვარჯიში ცნობილი მწვრთნელის, ნერსეს აკოფოვის ხელმძღვანელობით განაგრძო.



პირველი სპორტული ნათლობა 1961 წელს ქუთაისში, საკავშირო ჩემპიონატში მოხდა, დებიუტანტმა მე-5 ადგილი დაიკავა. საქართველოს ნაკრებში უფროსი მეგობრის, მერაბ ღუდუშაურის რეკომენდაციით ჩაირიცხა და აღიარებული ფალავნები დაამარცხა: კარავაევი, ზუბკოვი, ვირუპაევი და სტაშკევიჩი. მისი ჭიდაობით აღფრთოვანებულ ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის გენერალურ მდივანს, მილან ერცეგანს უთქვამს, სახელოვანი მოჭიდავეების გვერდით გამოჩნდა ახალგაზრდა რომან რურუა, რომლის შესახებ მალე გაიგებს მსოფლიოს ჭიდაობის სამყაროო.

მოახლოებული 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადაზე წამსვლელთა სია ტალინში შეხვედრებს უნდა გადაეწყვიტა, სადაც რომან რურუასთან ერთად იური გრიგორიევი და გენადი საკუნოვი იბრძოდნენ. ქართველმა მოჭიდავემ ორივე კონკურენტი იოლად დაამარცხა. ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე რომან რურუამ ფინალური საგზური მოიპოვა, სადაც ტიტულოვან 37 წლის უნგრელ იმრე პოიაკს დაუპირისპირდა. მეტოქეს ნაკლები საჯარიმო ქულები ჰქონდა და მას ჩემპიონობისთვის ფრეც ჰყოფნიდა. არაობიექტური მსაჯობით აშკარად დაიჩაგრა ქართველი მოჭიდავე და ჩემპიონი უნგრელი სპორტსმენი გახდა. მოგვიანებით, უნგრელი ოლიმპიურ სოფელში შეხვდა რომან რურუას და მიკერძოებული მსაჯობისათვის მოუბოდიშა: „მე მიმავალი ვარ, შენ - მომავალი, შენ ჩემპიონი აუცილებლად გახდები!“ ამის შემდეგ მათი ხანგრძლივი მეგობრობა სამაგალითო იყო.

2010 წლის ნოემბერში იმრე პოიაკის დაკრძალვაზე ბატონი რომანი საპატიო სტუმრად იყო მიწვეული უნგრეთში.

1968 წლის მეხიკოს ოლიმპიურ თამშებზე საბჭოთა დელეგაციას ერთადერთი ოქროს მედალი სწორედ რომან რურუამ მოუტანა. მის ლამაზ გამარჯვებებს ტაშს უკრავდნენ მსოფლიოს ქალაქებში.

რომან რურუას კარიერაში არის შეხვედრები, რომელთა გამეორებას, სავარაუდოდ, მსოფლიოს ვერცერთი სახელოვანი მოჭიდავე ვერ შეძლებს. თვითონ განსაჯეთ, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მექსიკის ქალაქ ტოლედოში 6 მეტოქეს ჯამში 82 ქულა ისე აართვა, თავად ქულაც არ დაუკარგავს, ხოლო 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კანადის ქალაქ ედმონტოში ჩატარებულ ფინალურ შეხვედრაში იაპონელ ტაკასისთან შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა, რომლის ანალოგიც დღემდე არ მოიძებნება. 8 წამი არ იყო გასული, მან მეტოქეს 10 ქულა აართვა და საბოლოოდ 21:0 დაასრულა შეხვედრა. მისი წარმატებული კარიერის შესახებ საყოველთაოდ აღიარებული ვეტერანი სპორტული მოღვაწის, ბატონ არჩილ გოგელიას სიტყვებს მოვიშველიებ: „ჩემი ღრმა რწმენით, ფალავანთა კაშკაშა თანავარსკვლავედში ყველაზე საპატიო ადგილი რომან რურუას უჭირავს, რომელიც განასახიერებდა თავისებურ იდეალს ნიჭით, აზროვნებით, საოცარი მიზანდასახულობითა და ფანტაზიამდე მისული თვითკონტროლით!“



მოუშუშებელმა ტრავმებმა გარკვეულწილად დაღი დაასვა მის წარმატებულ კარიერას და მან 32 წლის ასაკში გადაწყვიტა დიდ სპორტთან დამშვიდობება, ხოლო 10-წლიანი წარმატებული კარიერა ასე შეაფასა: „1962-1972 წლებში პირველობა არავისთვის დამითმია, დავთმე და დავამთავრე კიდეც! ყველაფერს თავისი დრო აქვს, რაც უნდა ძლიერი იყო და ავტორიტეტი გქონდეს, დასასრული ყველაფერს აქვს! იცით, რაზე მწყდება გული? ქვეყანაში არეულობა რომ დაიწყო, 49 წლის გახლდით, საქმის კეთების სურვილი მქონდა, მაგრამ ისე გაიარა წლებმა, საქართველოს ვერაფერში გამოვადექი. ყველაზე დიდი სინანული, რაც სამარეში ჩამყვება, ეს გაცდენილი წლებია, მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, დღესაც კვლავ ქართული სახელმწიფოს სამსახურში მინდა ვიყო!“

ჩვენს თანამედროვეს, ბრწყინვალე წარსულის მქონეს, კაცობის ეტალონს, ჭიდაობის ბერმუხას, ბატონ რომან რურუას 2022 წლის 25 ნოემბერს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

თქვენ წარმატებით დაიპყარით 80-წლიანი მწვერვალი; თქვენი ბედის დრამატურგია რთული და საინტერესოა. მშვენიერი სპექტაკლი, რომელსაც სიცოცხლე ეწოდება, კიდევ დიდხანს უნდა გაგრძელდეს, რადგან თქვენ მასში გამარჯვებულის როლი გაკისრიათ. დიდი სურვილი მაქვს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობითაც იყოთ სამაგალითო, რაც აუცილებლად გაახარებს თქვენს ოჯახს, შთამომავლობას და აურაცხელ, ერთგულ გულშემატკივრებს.

ღვთისმშობელმა დაიფაროს თქვენი ოჯახის კერა და სიწმინდე.

გფარავდეთ უფალი!

**ბეჟან ჩხეიძე**
555 41 97 33



### გულითადად ვულოცავთ ბატონ რომან რურუას სახელოვან იუბილეს

**წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას, ულევ ენერგიას და ახალგაზრდულ შემართებას ვუსურვებთ.**

**გვეამაყება, რომ ბატონი რომანი ჩვენი თანამემამულე, თანამედროვე და ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარია!**

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

# ყავა წონის დაკლებაში დაგეხმარებათ!

## როგორ გავარჩიოთ ნატურალური ყავა ყალბისგან?






*ვაგრძელებთ საუბარს აკადემიკოს რამაზ გახოკიძესთან*

**— ბატონო რამაზ, შოკოლადი და ყავა განუყოფელია. მის სარგებლიანობაზე რას იტყვით?**

— ყავის ყველაზე აქტიურ კომპონენტს კოფეინი წარმოადგენს, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორია. სწორედ მასთან არის დაკავშირებული ყავის სარგებლობაც და ზიანიც. ინგლისელი მედიკოსების აზრით, კოფეინი ადამიანისთვის აუცილებელია. იგი ხსნის კუნთების ტკივილს. რაციონიდან კოფეინის შემცველი პროდუქტების (ყავა, ჩაი, შოკოლადი) გამორიცხვით იზრდება თავის ტკივილისა და ნევროზების ალბათობა. ადამიანმა შეიძლება მიიღოს კოფეინის ის რაოდენობა, რომელსაც შეიცავს ორი ფინჯანი ყავა, სამი ფინჯანი ჩაი ან ნახევარი ფილა შავი შოკოლადი. ყავის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე ინდივიდუალურია და მის თავისებურებაზეა დამოკიდებული. კოფეინის დიდი რაოდენობით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოზები, ეპილეფსია, არამოტივირებული აგრესია. ყავაში შემავალი ნივთიერებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პოლიფენოლები, რომელთაც ანტიოქსიდანტური მოქმედების გამო ანთებისა და კიბოს საწინააღმდეგო ეფექტი ახასიათებს. ანტიოქსიდანტების შესანარჩუნებლად ყავა არ უნდა მიიყვანოთ ადუღებამდე. ყავა ანტიოქსიდანტების შემცველობით აღემატება წითელ ღვინოს, მწვანე ჩაის, ხილსა და ბოსტნეულს. მასში შემავალი ანტიოქსიდანტები ხელს უწყობს სისხლის ნორმალურ შედედებას. ისინი გვიცავენ სიგარეტის ბოლისგან, ინფრაწითელი გამოსხივებისა და რადიაციისგან. ყავა ასტიმულირებს შემოქმედებით აზროვნებას, აუმჯობესებს შრომისუნარიანობას, დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ამაღლებს გამძლეობას სტრესებისა და დეპრესიის მიმართ. ყავის მოხმარება, ასევე, ხელს უწყობს მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტის პროფილაქტიკას. ყოველდღიურად ორი ფინჯანი ყავის მიღებით მცირდება კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოსა და ღვიძლის ალკოჰოლური ციროზის განვითარების რისკი. ცნობილია, რომ მწეველებში საშარდე ბუშტის კიბოს რისკი 7-ჯერ იზრდება, ხოლო ყავის აქტიურ მომხმარებლებში ეს რისკი 43%-ით მცირდება. ყავის მოხმარება აფერხებს პარკინსონის დაავადების განვითარებასაც. ამ დროს იშლება ტვინის უჯრედები, რაც იმუშავებს დოფამინს და პასუხისმგებელია ადამიანის მოძრაობის კოორდინაციაზე. ყავა ამ პროცესს ეწინააღმდეგება, რითაც დაავადების რისკს აქვეითებს. ყავა ისეთი დაავადებების პროფილაქტიკის საშუალებას წარმოადგენს, როგორებიცაა: შაკიკი, ჰიპერტონია, ნაღველ-კენჭოვანი დაავადება, ასთმა, ათეროსკლეროზი, ინფარქტი. კოფეინის გავლენით ფართოვდება თავის ტვინისა და გულის სისხლძარღვები, რაც ინსულტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადების პროფილაქტიკაა. ყავა ეფეტური საშუალებაა მამაკაცთა რეპროდუქციული ფუნქციის გასაუმჯობესებლად. იგი ზრდის სპერმატოზოიდების აქტიურობას. ყავაში შემავალი ნივთიერებები აძლიერებს კუჭის სეკრეციას — ამაღლებს კუჭის წვენის მჟავიანობას. ეს თვისება სასარგებლოა მათთვის, ვისაც აწუხებს გასტრიტი დაბალი მჟავიანობით. ყავა ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. ყავა ზრდის ანტიბიოტიკების ეფეტიანობას, იცავს ნიკრისის ქარისგან. იგი გვეხმარება გახდომაშიც. დიეტის დაცვის დროს ყავა ხელს უწყობს ორგანიზმს ენერგიის მისაღებად მხოლოდ ცხიმები გამოიყენოს. უშაქრო ყავა დარიჩინთან ერთად საუკეთესო საშუალებაა წონის დასაკლებად. ყავა ანტიოქსიდანტების შემცველობის გამო ხელს უწყობს ახალგაზრდობისა და სილამაზის შენარჩუნებას.

**— ყავის მავნე თვისებებზეც მოგვიყევით?**

— მავნე თვისებებს რაც შეეხება, ყავას ნერვული აგზნებადობის დროს უძილობისა და ტაქიკარდიის პროვოცირება შეუძლია; ძლიერი ყავის გადაჭარბებული მოხმარება უკუნაჩვენებია მათთვის, ვისაც აწუხებს ჰიპერტონია, რადგან შეუძლია ჰიპერტონული კრიზის გამოწვევა; ყავა ზრდის კუჭის წვენის მჟავიანობას; ყავის მიღება უნდა გამოირიცხოს თირკმლების დაავადებების, უძილობის, მომატებული აგზნებადობისა და გლაუკომის შემთხვევაში; ყავის მიღება არ შეიძლება ბავშვებისთვის, რადგან იგი აფერხებს მოზარდის ზრდასა და განვითარებას; სპეციალისტების აზრით, ყავა უარყოფითად მოქმედებს ორსულებზე. კოფეინი, შედის რა პლაცენტასა და ნაყოფში, იმავე ზემოქმედებას ახდენს, როგორც დედაზე; ყავას შეუძლია ორგანიზმიდან სასარგებლო ელემენტები გამოდევნოს: კალციუმი, მაგნიუმი, კალიუმი, ნატრიუმი, B1 და B2 ვიტამინები; იგი მოქმედებს კბილების ფერზე. შავი ყავის ხშირი მოხმარებით ყვითლდება კბილების ემალი. ნაყინთან ერთად ყავის მიღება ხელს უწყობს ემალის დაშლას ტემპერატურათა სხვაობის გამო; ქალის მკერდის ზომის შემცირებას მეცნიერები ყავის ყოველდღიურ მოხმარებას უკავშირებენ; მისმა დიდმა დოზამ შეიძლება სხვადასხვა დარღვევა გამოიწვიოს. მაგალითად, დადგენილია, რომ ყოველდღიურად ოთხი და მეტი ფინჯანი ყავის მიღება ორჯერ ზრდის რევმოარტრიტის განვითარებას; ყავის უზომო მოხმარება იწვევს ორგანიზმის გაჯერებას ესტროგენებით — ქალის სასქესო ჰორმონებით, რაც უარყოფითად აისახება მამაკაცურ პოტენციაზე. მათი შემცველობა ხსნად ყავაში უფრო მეტია, ვიდრე ნატურალურში. ასევე საჭიროა ყავისგან თავშეკავება პროსტატიტის შემთხვევაში; კვლევებმა აჩვენა, რომ ვინც შვიდ და მეტ ფინჯან ყავას სვამს, გააჩნია ჰალუცინაციების მაღალი რისკი; კოფეინი კუჭის წვენის გამოყოფის უძლიერესი სტიმულატორია. ამიტომ, ვისაც კუჭის დაავადებები აწუხებს, ყავა უზმოზე არ უნდა მიიღოს. გარდა ამისა, ხსნადი ყავა ხასიათდება მაღალი მჟავიანობით და ხშირად იწვევს ძმარვას, თუ მას რძის დამატების გარეშე მიიღებთ; ყავა აფერხებს მიკროელემენტების შეთვისებას. ამიტომ, ყავის მოყვარულთათვის რეკომენდებულია ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი პროდუქტების მიღება. ყოველდღიურად ოთხ ფინჯან ყავაზე მეტის მიღება ზრდის ოსტეოპოროზის განვითარების რისკს, ამიტომ, აუცილებელია კალციუმით მდიდარი პროდუქტების, მაგალითად, რძის მიღება; ყავას ახასიათებს შარდმდენი უნარი, ამიტომ კოფეინშემცველ პროდუქტებს ერთი ჭიქა წყალი უნდა დააყოლოთ დაკარგული სითხის შესავსებად. რადგან კოფეინი აღიზიანებს ლორწოვან გარსს და აძლიერებს კუჭის წვენის სეკრეციას, ამიტომ ყავა უნდა მიიღოთ ორცხობილასა და ნამცხვართან ერთად. კარგია მისი მიღება ლიმონთან ერთად. ლიმონის მჟავა ნაწილობრივ ანეიტრალებს კოფეინს.

**— ბატონო რამაზ, ისევე, როგორც შოკოლადი, ალბათ, არც ყავაა დაზღვეული ფალსიფიცირებისგან. როგორ გავარჩიოთ ნატურალური ყავა ყალბისგან?**

— შემოგთავაზებთ რამდენიმე რჩევას: პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეთ ყავის სპეციფიკურ სუნს; რამდენიმე მარცვალი ჩაყარეთ ცივ წყალში და მოურიეთ. ნატურალური ყავა ოდნავ გაიბერება და წყალი შეიფერება, ფალსიფიცირებული კი ფსკერზე ნალექს წარმოქმნის; მარცვალი შუაზე გაჭერით. ნატურალური ყავის შემთხვევაში გადანაჭერზე ნათლად შეიმჩნევა ყავის მსხვილი გარსი და ბირთვი; ცივ წყალში ჩაყარეთ ერთი კოვზი დაფქული ყავა. ვარდკაჭაჭას შემცველობის შემთხვევაში წყალი ყავისფრად შეიღებება და გამწარდება; თიხის აღმოსაჩენად ყავის მარცვალი მოათავსეთ სანაყში და ქვასანაყით დაამტვრიეთ. ნატურალური ყავა წვრილ ნამტვრევებად დაიმსხვრევა, თიხის შემცველი კი ფხვნილად დაიშლება; დაყენებულ ყავაში ჩააწვეთეთ იოდის ერთი-ორი წვეთი. ხსნარი ლურჯად თუ შეიღებება, ე.ი. იგი სახამებელიან და ფქვილოვან მარცვლებს შეიცავს; ყავის მარცვლები მოათავსეთ ქაღალდის ხელსახოცში და გასრისეთ. ხელსახოცს ჭუჭყიანი კვალი თუ დააჩნდება, ყავა შეღებილია ტყვიის საღებავებით, რაც ჯანმრთელობისთვის ძალიან მავნეა; ხსნადი ყავა სწრაფად უნდა გაიხსნას. თუ რამდენიმე წუთი ურევთ მუქ კოშტებს, იცოდეთ, ეს არ არის ყავა; მაღალხარისხიანი ყავა დიდხანს არ ინახება. მისი შენახვა შესაძლებელია მაქსიმუმ 18 თვე.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06

სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); ბესიკ ცარციძე.

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge

რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99